ცხელი შოკოლადი

ოქტომბერი 2013 №95
ფასი 7 ლარი

1439/2
2013

მილენიუმის თაობა

ინტერვიუები

ვენსან მუნი
ჯო ბოიდი

თბილისის ქალაქგანვითარების გამოწვევები

გრეგორი რეჯინის რუბრიკა „ცხელი შოკოლადი მოდა“

ISSN 1512-2220

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოიწერეთ ჟურნალი "ცხელი შოკოლადი"

შექმენით ქართული ფილმების უნიკალური კრებული

მიიღეთ ყოველთვიურად თქვენთვის სასურველ მისამართზე

www.shokoladi.ge

ONLAIN გამოწერა

მშვენიერი ელენა

ჩუბიკა: ნინო ჩუბინიშვილი

ბანკი რესპუბლიკა და თანამედროვე ხელოვნება

პოსტმოდერნულ ხანაში ლაბირინთი აზროვნების ერთ-ერთ პარადიგმად ჩამოყალიბდა. ამაზე არ მიფიქრია, როდესაც ნინო ჩუბინიშვილის შესახებ დავიწყე წერა, მაგრამ სიტყვა „ლაბირინთი“ თავისთავად ამოტივტივდა ჩუბიკას ნამუშევრებთან მიმართებით და მას უნებურად დაუკავშირდა მთელი შემდგომი მსჯელობა.

ლაბირინთი გრძელ და გაურკვეველ მოგზაურობაში გვითრევს, მაგრამ ამ გაურკვევლობას იმ წესრიგს ანიჭებს, რომელიც შემოქმედებაში ყველაზე რთულად მისაკვლევი და დასამყარებელია. ქაოსი ასევე წარმოადგენს ჩვენი, უკვე პოსტ – პოსტმოდერნული დროის პარადიგმას. შეიძლება ქაოსში წესრიგის დასამყარებლად არის ყველაზე მოსახელთებელი ლაბირინთი. ნინო ჩუბინიშვილის მიერ წლების წინ შექმნილ მინიატურულ წიგნს ფურცელ-ფურცელ თუ დაათვალიერებთ და მისი ფანქრის მოძრაობას მიჰყვებით, ლაბირინთში აღმოჩნდებით, რომელიც ბოლოს მის თეთრ სკულპტურასთან მიგიყვანთ, სახელწოდებით „ელენა.“ ორივე მის შვილს, – ელენეს ეძღვნება. წიგნი ძალიან ინტიმური ნამუშევარია. პატარა გოგონამ სთხოვა დედას, პრინცი დამიხატეო და ნინომ დახატა ზღაპარი, სადაც ლაბირინთში ანგელოზის სახით იმ სკულპტურის პროტოტიპიც ჩნდება, რომელიც 2013 წელს მან ბანკ „რესპუბლიკის“ დახმარებით განახორციელა. ქანადაკება თითქმის 2 მეტრია სიმაღლით, მაგრამ სითეთრის და ბავშვურად მორიდებული პოზის გამო მცირე ზომის წიგნისთვის დამახასიათებელი სინაზის და სიფაქიზის მატარებელია. ლაბირინთი, რომელზეც ვსაუბრობთ, ნინოს 20 წლის შემოქმედებითი მუშაობის ამსახველია. წიგნსა და სკულპტურას შორის, მის მიერ სხვადასხვა ეტაპზე შექმნილი არაერთი ნამუშევარია.

პროფესიული განათლებით ჩუბიკა თეატრის მხატვარიც არის და მოდის დიზაინერიც. შესაბამისად, კოსტიუმი მისი ძირითადი მუშაობის (და შესწავლის) საგანია. ამდენად, მის შემოქმედებაში აისახება სამოსის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ცოდნა, რაც მჟღავნდება ცალკეულ ელემენტებში, რომლებიც ასოციაციებს აღძრავენ ანტიკურ ხანასთან, გოთიკასთან, ბაროკოსთანაც, და სხვა და სხვა. მთლიანობაში კი ეს თანამედროვე ხელოვნების ნიმუშებია, რომლებშიც თავს იყრის, ახლიდან, ახალ ერთიანობაში „იბადება“ მრავალი ელემენტი და თითოეული არის არა ცალკეული მინიშნება, არამედ ერთი მთელის ნაწილი. ტყავის მასალაც, რომელსაც ის სრულიად უჩვეულოდ იყენებს, ასევე მოგვაგონებს სხვადასხვა ეპოქას, მაგრამ მთლიანად ტყავიდან ჩამოსხმული გრძელსახელოებიანი კაბა, ან ორმეტრიანი ტყავის ქანდაკება მხოლოდ მასთან გვხვდება. და ამ შემთხვევაში ეს მასალა ისევე „მოგვითხრობს“ ამოუცნობზე, როგორც სიმბოლური გამოსახულებები მის კაბებაზე, ჩანთებზე, სამაჯურებზე, ბალთებზე, ჩექმებზე... ... მოგვითხრობს არა წარსულზე, ან იმ ობიექტებზე, რომლებთანაც ისინი ასოციაციებს იწვევენ, არამედ ჩუბიკას შინაგან სამყაროზე, მის თავგადასავლებზე. მოგვითხრობს იმაზე, რაც თვითონ ავტორისთვისაც გაურკვეველია და მხოლოდ შემოქმედებაში შეიძლება აისახოს, როგორც გამოსავალი, რომელიც კითხვაზე პასუხს არ იძლევა, მაგრამ წარმოსახვითი სამყაროს ლაბირინთში იწვევს მაყურებელს.

დღესდღეობით სცენოგრაფია არა მხოლოდ თეატრის ან კინოს „დამხმარე“ დარგია, არამედ გამოხატვის, სივრცეში იდეის ინსტალირების დამოუკიდებელი ტექნიკა. ჩუბიკა თვითონ დგამს საკუთარი ნამუშევრების „ჩვენებას,“ უფრო სწორად, ინსტალაციას.

მწერალთა სახლში ბანკ „რესპუბლიკის“ მიერ მოწყობილ გამოფენაზე მან თავის კოსტიუმებს სარკეები დაუწყო გარშემო, რათა შექმნილიყო აღქმის ახალი ასპექტები, ახალი შინაარსი შეეძინათ ობიექტებს. და თეთრი ელენა აბსტრაქტულ სივრცეში (ცის სითეთრეში) გადაეშვა, მისი გრაფიკული პროტოტიპის მსგავსად.

ნინო ჩუბინიშვილმა სამხატვრო აკადემია დაამთავრა. შემდეგ პარიზში, ფრანგული მოდის ინსტიტუტში სწავლობდა. პარიზი ნებისმიერ ჩვენგანში, სულ მცირე ასაკიდან შემოდის როგორც მუდმივი შთაგონების წყარო. ნინოს ბაბუამ, ხელოვნების ისტორიკოსმა ვახტანგ ბერიძემ 1960-იან წლებში ამ ქალაქს წიგნი მიუძღვნა, რომელიც შემდეგ ბევრს უწევდა მეგზურობას „ხელოვნების ქალაქში.“ წლების შემდეგ ნინო პროფესიულად ამ ქალაქში ჩამოყალიბდა, ხოლო 2011 წელს პიერ კარდენისთვის რამდენიმე კოსტიუმის პროექტი მოამზადა.

სამოსის კერვა თავისთავად მოგვაგონებს ლაბირინთს, რადგან ძაფი ტარდება შესაკერი ობიექტის სხეულში. ნინოსთან სამოსის ზედაპირი ხშირად არის დატვირთული მრავალი ნაოჭით ან ნაკეცით ან ზემოდან დაკერებული ან ჩაქსოვილი სხვადასხვა ფაქტურის და ფერის ზოლებით, რაც ამბებით და ისტორიებით ტვირთავს ტანსაცმელს. ზოგჯერ ამ ფუნქციას

ნამუშევარზე დაკერებული ან ამოტვიფრული ქალის სახე ასრულებს, რომელიც უცნაურ ანგელოზს ჰგავს და ტანსაცმელზე, ფეხსაცმელზე, აქსესუარზე, სამკაულზე, სავარძელზე მიჩენილი ადგილის მიხედვით თითქოს გამომეტყველებასაც იცვლის. ზოგ შემთხვევაში რამდენიმე ფიგურის რელიეფური კომპოზიციით არის „გაფორმებული“ სამოსი. მაგრამ ეს დეკორატიული ორნამენტები არ არის. ისინი ყურადღებას ითხოვენ, რადგან საიდუმლო აზრის მატარებლები არიან.

ნინოს შემოქმედებაში თეთრი და შავი დომინირებს, თუმცა ის ფერად კოსტიუმებსაც ქმნის. მრავალფერსაც. აქვს ფერადი ტყავის ქანდაკებაც, რომელიც მრავალი სხვადასხვა ფერის ტყავის „ნაჭრით“ არის აწყობილი და სტრუქტურით ისევ იმ პატარა წიგნს მოგვაგონებს, რომლის ყოველი გვერდი არა მხოლოდ ფანქრით არის შესრულებული, არამედ მაკრატლით არის გამოჭრილი და გამოსახულებები ფენებად ედება და აყალიბებს ერთმანეთს. ფერადი ქანდაკების თავში ლინზაც არის ჩასმული, რაც გარკვეულ ასოციაციებს ბადებს მოდერნიზმის ხანის ნამუშევრებთან (დავით კაკაბაძესთანაც), მაგრამ სრულიად ინდივიდუალურად არის გამოყენებული. ეს აღსანიშნავია, რადგან ნინოსთან ყველა წყარო ისეა ახლიდან გააზრებული, რომ გარეგნული დეკორატიულობის საშიშროება არ დგას. აღნიშნული განსაკუთრებით შესამჩნევია, როდესაც ჩიტების თემას ვეხებით მის შემოქმედებაში. ისინი მისი კაბების (პიერ კარდენისთვის შემნილი პროექტები) ზედაპირზე კი არ სხედან, არამედ შეზრდილნი არიან სამოსის სხეულთან. ამიტომ შეერწყა ორგანულად ჩიტების თემაზე აგებული საუნდ და ვიდეო კომპონენტები (ავტორები: ნიკა მაჩაიძე და ნატალია ბერიძე) მის ინსტალაციას მწერალთა სახლში.

არქიტექტურა კიდევ ერთი წყაროა, რომლითაც იკვებება ჩუბიკას ფანტაზია. მასზე ადრეული ასაკიდან ცნობიერ გავლენას ახდენს ეტიენ-ლუი ბულეს კლასიცისტური არქიტექტურა, მისი ნამუშევრების გეომეტრიული სრულყოფილება და სიმბოლურობაზე დაფუძნებული შინაგანი ექსპრესიულობა. ამ ასოციაციებიდან არის ამოზრდილი ჩუბიკას მიერ შექმნილი ზოგი მცირე ფორმის (მაგალითად, შავი ტყავის ჩანთა) აგებულება.

ნინოს მიერ ჩაფიქრებული და დახატული სამოსის თუ კოსტიუმის მასალაში გადატანა, მათი განხორციელება საკმაოდ რთულია. შესრულებას, ცხადია, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რათა ჩანაფიქრი არ გაუფასურდეს. მის ტყავის ქანდაკებებს, სამოსს, აქსესუარებს სრულყოფილად ასხამენ ხორცს ირაკლი და ვახო ბოჭორიშვილები.

ჩუბიკა სათეატრო და სამოდელო სამოსის შექმნის პროცესმა მიიყვანა სკულპტურამდეც, ინსტალაციამდეც, პერფორმანსამდეც. და ეს ყოველივე ერთად ქმნის თეატრს, რომელიც მის ინდივიდუალურ სამყაროს წარმოგვიდგენს.

მან შესანიშნავად იცის ადამიანის აღნაგობა და მოძრაობის მექანიზმიც, მაგრამ ზოგ შემთხვევაში მასალით გამიზნულად ბოჭავს მის მოძრაობას. იცის, რომ მის მიერ შექმნილი ზოგი სამოსი სატარებლად მოუხერხებელია, მაგრამ არ უფრთხის ამას, რადგან აკეთებს იმას, რასაც მისი შემოქმედებითი აზროვნება კარნახობს და მუშაობის პროცესში იბადება ახალი დამოკიდებულება ობიექტთან.

შემოქმედებითი ნიმუში დროის პროდუქტიც არის და წარმოაჩენს კიდეც დროს. ნინო ჩუბინიშვილის ნამუშევრების მინიშნებული მახასიათებლები ზოგადად თანამედროვე ხელოვნების თავისებურებებსაც ავლენს. მისი ნამუშევრები იმდენად განეკუთვნება მოდის დიზაინს, რამდენადაც სცენოგრაფიას, ზოგადად თანამედროვე თეატრს, – სხვადასხვა მხატვრულ დისციპლინას, ერთ ობიექტში შერწყმულთ.

თანამედროვე ხელოვნებამ ჟანრებს შორის ზღვარი წაშალა. ჩუბიკა იმ დარგ(ებ)ს წარმოადგენს, რომელთაც მოდერნიზმის აპოლოგეტები მაღალი ხელოვნების დარგებად არც მიიჩნევდნენ, მაგრამ სწორედ ამ დარგებმა დაანგრიეს ხელოვნების მათ მიერ ჩამოყალიბებული პოსტულატები. თეატრის შეჭრამ სახვითი ხელოვნების ფარგლებში გარდაქმნა არა მხოლოდ სახვითი დარგების, არამედ თავად თეატრის და სცენოგრაფიის, ისევე როგორც მოდის დიზაინის და სხვა დარგების შინაარსი. თანამედროვე ნაწარმოები უმეტესად უტილიტარულ ან დადგენილ ნორმებს არღვევს და ავტორის პირად სათქმელს, დამოკიდებულებას გამოხატავს. აქ წინ წამოიწევს ცოცხალი სტრუქტურის პრობლემა, რომელიც, და ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ნინო ჩუბინიშვილთან ოსტატურად არის მიგნებული.

ალბათ მეანდრის ხატვა, დაუსრულებლად ერთი და იგივე ფორმის გამეორება ამშვიდებს და აწესრიგებს ადამიანის სულიერ მდგომარეობას, წონასწორობას აპოვნინებს აფორიაქებულ გონებას. ამ თვალსაზრისით ის შემოქმედების სიმბოლურ გამოხატულებად შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან ფორმას აძლევს გაურკვევლობას.

ელენა იმდენად მშვენიერი იყო, რომ ქალღმერთებსაც შურდათ მისი. ჩუბიკას ქანდაკება დაგვანახებს, რომ უმანკოება მშვენიერების უცვლელი კომპონენტია.

ქეთევან კინწურაშვილი



ახალი მოკოლაღი

N95, ნოემბერი 2013



ყდა: გური სულთანიშვილი
ფოტო: გრეგორი რეჯინი

	06	რედაქტორის სვეტი
	08	ავტორთა სვეტები
ანონსი	12	5 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ ***სალომე აფხაზიშვილი***
	14	რწმენა, იმედი და კინო-სამოთხის სხვა შემადგენელი ნაწილები ***დავით ბუხრიკიძე***
კომენტარი	18	ისევ ხუდონჰესი 25 წლის თავზე ***არჩილ ქიქოძე***
ინტერვიუ	22	Vincent Moon – დიდი მოხეტიალე ***თინათინ ხომერიკი***
	30	მუსიკა და თავისუფლება ***ცირა გვასალია***
მთავარი თემა – ურბანისტიკა	38	თბილისის ქალაქგანვითარების გამოწვევები ***ზურაბ ბაქრაძე***
	48	პარტიზანული მებაღეობა თბილისში ***ნატა ფერაძე***
თაობა	50	Generation Y ***ნინო ჩიმაკაძე***
საავტორო	60	ბლუზი მტკვრის პირას ***ბიძინა მაყაშვილი***
რეცენზია	68	„გულივერი“, „მაკბეტი“ და სხვა თამაშობანი ლეპაჟის მთვარის შუქზე ***დავით ბუხრიკიძე***
მიმოხილვა	72	წიგნები ***სალომე აფხაზიშვილი***
	74	მუსიკა ***ლევან ძნელაძე***
მოდა	75	generation Y

LE LANGAGE DE LA PEAU

LIERAC

PARIS

MESOLIFT

იდეალური ფერი & გაჯანსაღება

ესთეტიური მედიცინისგან შთაგონებული პროდუქტი ლიერაკისგან!

პროდუქცია, რომელიც გთავაზობთ 5 ვიტამინის, 6 მინერალისა და ჰიალურონის მჟავის კოქტეილს, რათა გახადოთ კანი ხავერდოვანი, ნათელი, მბზინვარე და დაივიწყოთ დაღლილობა.

ჯიპისი GPC

LIERAC – კოსმეტიკა, რომელიც საუბრობს კანის ენაზე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
მალხაზ ხარბედია

რედაქტორის თანაშემწე
თინათინ ხომერიკი

მოდის რუბრიკის რედაქტორი
გრეგორი რეჯინი

სტილი და კორექტურა
ინა არჩუაშვილი

დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე

ნომერზე მუშაობდნენ:
სალომე აფხაზიშვილი, დავით ბუხრიკიძე, ნინო ჩიმაკაძე, ცირა გვასალია, ბიძინა მაყაშვილი, ზურაბ ბაქრაძე, ლევან ძნელაძე.

ფოტო
გრეგორი რეჯინი, კახა კახიანი, მაკა გოგალაძე

ილუსტრაცია
მაია სუმბაძე

დირექტორი
შალვა ჩუბინიძე

პროექტის მენეჯერი
ქეთევან ბაბუნაშვილი

გაყიდვების დირექტორი
დადუ თადუმაძე

მარკეტინგის მენეჯერი
ია შენგელია

პარტნიორებთან ურთიერთობების მენეჯერი
ნუცა ქირია

დისტრიბუცია
მიხეილ მამუჩიშვილი

რეკლამის განთავსება
ტელ.: მობ.: 577 579900

გამომცემლობა
შპს „ცხელი შოკოლადი"
მისამართი: თბილისი,
თერგის ქ. 14ა
სხვა გამოცემები
„ქართული ღვინის გზამკვლევი"

სტამბა
„სეზანი", თბილისი, წერეთლის 140, ტელ.: 235 70 02
ჟურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან

© „ცხელი შოკოლადი" საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება გამომცემლობის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

ნოემბერი. თავისუფლება.

ნოემბრის თვე ყოველთვის ძალიან დატვირთულია საქართველოში. წელს განსაკუთრებით. ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია ლამის ვარდების რევოლუციის 10 წლისთავზე გაიმართა (ჰოი, მუხთალო წუთისოფელო!). უსახლკაროთა თავშესაფართან დაკავშირებულ ფაქტების დამახინჯებაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ საპატრიარქო, სხვადასხვა მედია საშუალება, პოლიტიკოსები, მოცლილები. აგრესიული რეკლამით და ლოცვა-კურთხევით შემოიჭრა ქართულ ბაზარზე ელიტური სასაფლაოების თემა. გავიგეთ ახალი პრემიერ მინისტრისა და ახალი შინაგან საქმეთა მინისტრის ვინაობა. გაირჩა ქვეყნის პირველი ქალისა და პირველი მეგობარი ქალის თემაც. ჩატარდა ნათლობა, მონათვლისშედგომი რიტუალები, მოჰყვა მხარზე ხმლის დადებები, კისერზე ჯაჭვები, ისევ კურთხევები და საერთო-სახალხო ხორხოცი ამ რიტუალებზე.

სულ ცოტათი ნაკლები დრო და ენერგია დაეთმო მედიის და სოციალური ქსელების მხრიდან ხუდონჰესის ამბებს, თუმცა ენერგეტიკის მინისტრს მაინც გვარიანად შეატოპინეს და მუქარებიც კი დააცდენინეს გამპროტესტებლებმა. დღევანდელი ნომრის გაცნობაც მინდა პირველ რიგში ხუდონის თემით დაიწყოთ, არჩილ ქიქოძის ესეთი, შემდეგ კი ლოგიკურად გადახვალთ ზურაბ ბაქრაძის მიკროსკოპული სიზუსტითა და გამოზომილი ვნებებით დაწერილ სტატიაზე და ნატა ფერაძის გულახდილ ამბავზე, სადაც იგი „პარტიზანული მებაღეობის" რეალისტურ იგავს გიამბობთ, ნამდვილ ამბავს დაუჯერებელ ერთსულოვნებაზე. ყველა პუბლიკაციაზე ვერ შევჩერდები, მიუხედავად იმისა, რომ ნოემბრის ნომერი უფრო თხელია წინა ნომრებთან შედარებით, ამიტომ შევეცდები მოკლედ აღვწერო ის შემკვრელი ხაზი, რომელიც ბოლო წამს გამოიკვეთა: ესაა თავისუფლება წარსულში, სევდიანი კომენტარებით და რეტროსპექტული ხედვით (ჯო ბოიდი), თავისუფლება და სპონტანურობა აწმყოში (ვენსან მუნი), თავისუფლების იმიჯი, როგორც თაობის სახე (მილენიუმის თაობა) და მომავლის თავისუფლების შესაძლებლობაზე ფიქრი და განსჯა, რომელსაც ზურაბ ბაქრაძე გვთავაზობს. აი მოკლე ციტატა:

„თანამედროვე „მომხმარებლისთვის" მომავალი არ არსებობს. იგი მხოლოდ სიტყვაა, რომელიც რაღაც ისეთ არარეალურს აღნიშნავს, რომელიც რეალობა გახდება მაშინ, როცა გარკვეული ხდომილებების შემდეგ წარსულად იქცევა".

ასე ხდება საზოგადოებაში, სადაც ყველაზე დიდი რეალობა წარსულშია განფენილი, მომავალი კი არასუბსტანციურია და ყოველგვარ პასუხისმგებლობას მოკლებული.

მალხაზ ხარბედია

THE 14th TBILISI INTERNATIONAL FILM FESTIVAL

14-ე თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი

02 - 08. 12. 2013

კ/თ ამირანი, რუსთაველი

www.tbilisifilmfestival.ge

Georgian National Film Center
adjarabet.com
Marriott TBILISI
TBILVINO
თბილისი ბანკი TBC BANK
BRITISH COUNCIL
GOETHE-INSTITUT GEORGIEN
INSTITUT FRANÇAIS
Austrian Embassy Baku
Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra
Embassy of Switzerland in Georgia
Tbilisi Yunus Emre Turkish Cultural Centre
SWEDEN
Si. Swedish Institute
ISRAEL 65
Embassy of the Republic of Poland in Tbilisi
POLISH FILM INSTITUTE
Samoseli Pirveli
106.9 FM FORTUNA
Forbes
ego

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზურაბ ბაქრაძე

პოსტსაბჭოური ხანის თბილისის ქალაქგანვითარება ეწერება ამ დროის საზოგადოებრივი ცხოვრების საერთო სურათში. იგი ამ უკანასკნელის ტრაგიზმს ასახავს. ამით გამოთქმულია ქალაქის სოციალური მდგომარეობის და სივრცულ-ესთეტური სახის დამოკიდებულება ჩვენში განვითარებულ სოციალურ პროცესებზე, მიუთითებს ამ მიმართების კანონზომიერებაზე და გვიბიძგებს შემეცნებითი დასკვნისკენ – როგორებიც ვართ, ქალაქიც ისეთი გვაქვს. ასეთი დასკვნა დამაკმაყოფილებელი იქნებოდა, ჩვენ რომ მორალური არსებები არ ვიყოთ, რომ ჩვენი ბუნებით შემეცნება ქმედების საფუძვლად კი არ გვქონდეს, არამედ ერთგვარ თვითმიზნად. ჰოდა, რადგან მორალური არსებები ვართ, რადგან ვიცით, რომ ჩვენი საქციელი ფორმას აძლევს ჩვენს ქალაქს და ამით პასუხს ვაგებთ ამ ფორმაზე, როგორც თანამედროვეთა, ასევე მომავალი თაობების წინაშე, ასეთი დასკვნა უნდა აღძრავდეს კითხვებს, რომელთა წინაშე შინაგანად მთელი სერიოზულობით დგომა შესაძლოა გახდეს საწინდარი ჩვენი, და ამდენად, თბილისის უკეთესობისა. ვინ ვართ? როგორები ვართ? როგორები გვინდა ვიყოთ? როგორი ქალაქი გვინდა გვქონდეს?

თბილისის ქალაქგანვითარების გამოწვევები

გვ. 38



ნინო ჩიმაპაძე

Never love anybody who treats you like you're ordinary (არასოდეს შეიყვარო ადამიანი, რომელიც ისე გექცევა, როგორც ჩვეულებრივს) – ოსკარ უაილდის ეს სიტყვები ალბათ ყველაზე ზუსტად ასახავს თაობას, რომელზეც სტატიაშია საუბარი. „ნარცისი, საკუთარ თავზე ორიენტირებული და საკუთარ შესაძლებლობებში ზედმეტად დარწმუნებული ახალგაზრდები“ – ასე მოიხსენიებენ ხოლმე მკვლევარები თაობას, რომელიც დაახლოებით 1981-82 წლიდან 1994 წლამდე დაბადებულ ადამიანებს აერთიანებს.

ძნელია ყველაფერი განაზოგადო და მთელს თაობაზე განავრცო, მაგრამ რაღაც ტენდენციები მაინც ყოველთვის იკვეთება. ყველა თაობაში არიან ადამიანები, რომელთაც ახალი ხედვა, ახალი ენერგია შემოაქვთ და ბევრად განსხვავდებიან წინამორბედებისგან. ჩემი სტატიაც სწორედ ასეთ ახალგაზრდებს ეხება. დასავლური გამოცდილების პარალელურად შევეცადე ქართულ რეალობასაც შევხებოდი და რამდენიმე ადამიანს აქაც გავესაუბრე. თანაც, ეს პირველი თაობაა საქართველოში, რომელიც აბსოლუტურად სხვა რეალობაში გაიზარდა და სხვადასხვა ლოკალური თუ გლობალური ფაქტორების გამო სრულიად ახლებური მსოფლმხედველობა ჩამოუყალიბდა.

სტატიაზე მუშაობა ჩემთვის ორმაგად საინტერესო იყო, რადგან თვითონაც ამ თაობის წარმომადგენელი ვარ და საკუთარ თავზე რაღაცების წაკითხვა და მოსმენა ყოველთვის გსიამოვნებს.

Generation Y

გვ. 50

თინათინ ხომერიკი

რეჟისორთან და ექსპერიმენტულ ეთნოგრაფ ვენსან მუნთან შეხვედრა ისეთივე სახელდახელო იყო, როგორც მისი ხელოვნება და ცხოვრების წესი – ერთ მშვენიერ დღეს ვენსანის ერთ-ერთი მაგარი ფილმი ვნახე. მერე შემთხვევით გავიგე, რომ კავკასიაში მოგზაურობდა. ალალბედზე, განსაკუთრებული მოლოდინის გარეშე შევეხმიანე ინტერნეტში ნაპოვნ ელექტრონული ფოსტის მისამართზე და შეხვედრა შევთავაზე. რამდენიმე დღეში პასუხი მივიღე და ინტერვიუ დავგეგმეთ.

ახლა რომ გადავხედე, მივხვდი, რომ ამ ინტერვიუში განსაკუთრებით ერთი რამ მომწონს – გარდა საკუთარი შემოქმედებისა, ეს თავზეხელაღებული ახალგაზრდა კაცი თავისუფლად, მარტივი და გასაგებით ენით საუბრობს ყველაფერზე, რასაც თანამედროვე ფილოსოფოსების, ხელოვანების თუ სოციალური თეორეტიკოსების უმეტესობა ზოგჯერ მძიმედ და არცთუ ყველასთვის გასაგები ფორმით გვიხსნის – ყოველდღიურობაზე, ხელოვანის და აუდიტორიის როლების ხელახალ გააზრებაზე, იდენტობის ცნების მრავალმხრივობაზე, დამთხვევებზე, მუსიკის არსზე, კულტურულ იმპერიალიზმზეც კი. ისე განიხილავს პოსტმოდერნულობის არსს, რომ სიტყვა „პოსტმოდერნს“ საერთოდ არ ახსენებს. მისი მსჯელობა ხაზგასმით სუბიექტური და ზოგჯერ საკამათოა, მაგრამ ნამდვილად საინტერესო და ჩამთრევი.

Vincent Moon – დიდი მოხეტიალე

გვ. 22

ეროვნული ბიბლიოთეკა

MANGO.COM
თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №16 პეკინის გამზ. №19
TBILISI, 16 CHAVCHAVADZE AVE. 19 PEKINI AVE.

MANGO

ეროვნული ბიბლიოთეკა

5 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ

ავტორი: სალომე აფხაზიშვილი

გამოფენა



„სიზმარსა და ცხადს შორის...“

ტატო ახალკაციშვილის პერსონალური გამოფენა

სად: გალერეა „ვანდა“
როდის: 12.11 – 22.11
გახსნა: 19:00
მისამართი: ჭონქაძის ქ№14

ნოემბრის მეორე ნახევრიდან გალერეა „ვანდა“ ტატო ახალკაციშვილის უახლესი ნამუშევრების გამოფენას მასპინძლობს. ათამდე ტილო, რომელზეც მხატვარი ბოლო რვა თვის განმავლობაში მუშაობდა, იმ ემოციებს და მდგომარეობებს ასახავს, რომელსაც ადამიანი რაციონალური განვითარების ეტაპებზე გადის. სიურრეალისტური მომენტები, გაურკვევლობა, ტკივილი, მარტოობა, წარსულის განცდების ტყვეობაში ყოფნა, გენოფონდში დაგროვილი კაცობრიობის გამოცდილება, მუდმივად რაღაც ტრანსცენდენტულის ძიება, საიდუმლოებებით მოცული მომავალის იმედი, ქვეცნობიერში დალექილი ბავშვობის განცდები, ცვალებადობა და მარადისობის განცდა – ეს იმ ძირითადი თემების ჩამონათვალია, რომელთა გამოხატვას ტატო ახალკაციშვილი სხვადასხვა მეტაფორების სახით ცდილობს. ტატო ახალკაციშვილი უკვე წლებია საზღვარგარეთ მოღვაწეობს და მისი ნამუშევრების დიდი ნაწილი სწორედ ქვეყნის გარეთ იქმნება. საქართველოში მისი ბოლო გამოფენა გასული წლის ნოემბერში გაიმართა. ამჯერად დამთვალიერებელი მისი პერსონალური ნამუშევრების სრულიად ახალ სერიას იხილავს.

„მემკვიდრეობა“

საერთაშორისო მულტიმედიური პროექტი

სად: საქართველოს ეროვნული მუზეუმი (შ. ამირანაშვილის ხელოვნების მუზეუმი)
როდის: 14.11 – 24.11
გახსნა: 18:00
მისამართი: ლ. გუდიაშვილის ქ№1

საერთაშორისი მულტიმედიური პროექტი „მემკვიდრეობა“ საზოგადოების მეტად საინტერესო დიალოგში ჩართვის მორიგი შემოქმედებითი მცდელობაა. ეს არის ქართველი და უცხოელი არტისტების ხედვა იმის შესახებ, თუ რა როლი აქვს ისტორიულ, კულტურულ და სოციალურ სტრუქტურებს იდენტობის ჩამოყალიბებაში. პროექტის მიზანია, პირად გამოცდილებებზე დაყრდნობით, იმ ქვეცნობიერი თუ ცნობიერი ფაქტორების წარმოჩენა, რომლებიც ქმნიან პიროვნებას და მას საზოგადოების ერთეულად აყალიბებენ. „ჩვენი საზოგადოება 1990-იანი წლებიდან



ანონსი
ეროვნული ბიბლიოთეკა

მოყოლებული – მას შემდეგ, რაც საბჭოთა წყობილებას დააღწია თავი – აქტიურად ცდილობს საკუთარი იდენტობის პოვნას. მას ძირითადად შორეულ ისტორიულ წარსულსა და „ტრადიციებში“ ეძებს. ხშირ შემთხვევაში აბსოლუტურად არ ითვალისწინებს ახლო გამოცდილებას“ – აღნიშნულია პროექტის კონცეფციაში, რომლის ავტორი ქართველი არტისტი ლევან მინდიაშვილი გახლავთ. მასთან ერთად პროექტში საზღვარგარეთიდან მოწვეული ქართველი და უცხოელი არტისტებიც მონაწილეობენ. მათ შორის არიან: კრისტიან ტონჰაისერი (არგენტინა), უტა ბექაია (აშშ, საქართველო), ირაკლი ბუგიანიშვილი (გერმანია, საქართველო) და ტატო ახალკაციშვილი (საქართველო).

1990-იანი წლების გერმანული ფოტოგრაფია

სად: თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა)
როდის: 20.11 – 10.12
გახსნა: 18:00
მისამართი: სიონის ქ№8

რეალური სივრცე. კონცეპტუალური სივრცე – ასეთია გამოფენის სახელწოდება, რომელიც გერმანელი ფოტოგრაფების – სუზანე ბრიუგერის, თომას დემანდისა და ჰაიდი შპეკერის შემოქმედებას თბილისში უმასპინძლებს. 20 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით, თბილისის ისტორიის მუზეუმში მისული დამთვალიერებელი 1990-იანი წლების გერმანული ფოტოგრაფიის თავისებურებებს და ძირითად ხედვას გაეცნობა.



კონცერტი

ჯუზეპე ვერდის 200 წლის იუბილე საქართველოში



სად: კონსერვატორიის დიდი დარბაზი
როდის: 12.11
დასაწყისი: 19:00
მისამართი: ალ. გრიბოედოვის ქ№8

მეცხრამეტე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული იტალიელი კომპოზიტორის, ჯუზეპე ვერდის 200 წლის იუბილეს, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მსგავსად, საქართველოშიც აღნიშნავენ. ლეგენდარული კომპოზიტორის ცნობილ ნაწარმოებებს, 12 ნოემბერს ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის გუნდი სიმფონიურ ორკესტრთან ერთად შეასრულებს. პროგრამა მოიცავს ფრაგმენტებს, არიებსა და დუეტებს ნაწარმოებებიდან – „ნაბუქო“, „ატილა“, „მაკბეტი“, „ლუიზა მილერი“, „რიგოლეტო“, „ტრუბადური“, „ტრავიატა“, „ბალმასკარადი“, „დონ კარლოსი“, „აიდა“, „ოტელო“ და „სიცილიური მწუხრი“. აღსანიშნავია, რომ სოლისტების – ირინე ალექსიძის, მაყვალა ასპანიძის, სულხან გველესიანის, თეიმურაზ გუგუშვილის, არმაზ დარაშვილის, თეა დემურიშვილის, ირინე თაბორიძის, კახაბერ თეთვაძის, როსტომ იაშვილის, ლეგი იმედაშვილის, ლიანა კალმახელიძის, ნიკოლოზ ლაგვილავას, გია მახარაძის, ირინე რატიანისა და მარიამ ქობალიანის გუნდს დავით მუქერია უდირიჟორებს.

თეატრი

„მოჩვენებები“ მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრში

სად: ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრი
როდის: 21.11, 22.11, 23.11, 24.11
დასაწყისი: 19:00
მისამართი: აღმაშენებლის გამზ№182

ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი ნოემბერის მეორე ნახევარში თეატრის მოყვარულებს ნორვეგიელი მწერლისა და დრამატურგის, ჰენრიკ იბსენის სკანდალური პიესის – „მოჩვენებები“ თანამედროვე გააზრებას შესთავაზებს. პიესა 1881 წელს დაიწერა, 1882 წელს კი თეატრის სცენაზე დაიდგა. კრიტიკოსების შეფასებით, ბევრ ცნობილ პიესას შორის, „მოჩვენებები“ სწორედ იმით გამორჩევა, რომ ის მკითხველს/მაყურებელს მეცხრამეტე საუკუნის ზნეობრივი ღირებულებების საკმაოდ კრიტიკულ ხედვას სთავაზობს. სპექტაკლის რეჟისორი მიშა ჩარკვიანი გახლავთ, რომელმაც წელს, თეატრალური პრემია“ – „დურუჯი“ საუკეთესო ახალგაზრდა რეჟისორის ნომინაციაში, სამეფო უბნის თეატრში განხორციელებული დადგმისთვის („კატცელმახერი“) მიიღო. მისი თქმით, მომდევნო სპექტაკლისთვის იბსენის ეს პიესა იმიტომ შეარჩია, რომ ის ყველაზე ზუსტად ასახავს ქართულ საზოგადოებაში არსებულ მანკიერებებს. ნორვეგიულად პიესის ქართული თარგმანი დათო გაბუნიას ეკუთვნის; სცენოგრაფი – ლევან ოჩხიკიძე, კომპოზიტორი კი – ნიკა ფასური გახლავთ. პიესის მოქმედ გმირებს ახალგაზრდა მსახიობების გარდა, გამოცდილი მსახიობებიც განასახიერებენ. მათ შორის არიან: ზაალ ჩიქობავა, ბუბა გოგორიშვილი, ალექსანდრე ბეგალიშვილი და ანა წერეთელი. „მოჩვენებების“ საპრემიერო წარმოდგენები მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრში, 21, 22, 23 და 24 ნოემბერს გაიმართება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რწმენა, იმედი და კინო-სამოთხის სხვა შემადგენელი ნაწილები

თბილისის მე-14 საერთაშორისო კინოფესტივალის თავისებურებანი

ავტორი: დავით ბუხრიკიძე

არტ-ჰაუსზე დაგეშილი კინომანებისათვის თბილისის ცივი დეკემბერი მაინც ცხელია, რადგან სწორედ ამ დროს იმართება ყოველწლიური საერთაშორისო კინოფესტივალი. ეს კი, პირველ რიგში, ევროპული კინოს დიდი დოზებით მიღებას ნიშნავს. სამწუხარო რეალობაა, რომ თითებზე ჩამოსათვლელი ჩვენი კინოთეატრები ფაქტობრივად, ჰოლივუდის ნაგავსაყრელად იქცა...

წლევანდელი, რიგით მე-14 ფესტივალის (2-8 დეკემბერი) ჟიურის თავჯდომარე ცნობილი ამერიკელი რეჟისორი, მაიკლ ჰოფმანი იქნება. კინოფესტივალის ფარგლებში უჩვენებენ 2009 წელს გადაღებულ ბიოგრაფიულ დრამას „უკანასკნელი სადგური", რონელიც მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი კლასიკოსის, ლევ ტოლსტოის ცხოვრების უკანასკნელ თვეებს ასახავს. ტოლსტოის როლს თეატრისა და კინოს ლეგენდარული მსახიობი, კრისტოფერ პლამერი ასრულებს. მის მეუღლეს, სოფია ტოლსტაიას კი „ოსკაროსან-გლობუსოვანი" ჰელენ მირენი განასახიერებს.

აღსანიშნავია, რომ მაიკლ ჰოფმანმა ბოლო ფილმი „გამბიტი" (2012) ძმები კოენების სცენარის მიხედვით გადაიღო. მთავარ როლებს კი ჰოლივუდის ცნობილი მსახიობები – ალან რიკმანი, კოლინ ფერტი და კამერონ დიაზი ასრულებენ. საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში მაიკლ ჰოფმანი ქართველი სცენარისტებისა და რეჟისორებისათვის მასტერკლასს ჩაატარებს.

წლების განმავლობაში, ფინანსური თუ ორგანიზაციული პრობლემების მიუხედავად, თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალმა საკუთარი „კამერული ფილოსოფია" მაინც შექმნა – ეს არის ახალგაზრდა, დამწყები რეჟი-

სორებისადმი მიმართული ოპტიმისტური მზერა და მათი წახალისება (და ზოგჯერ თავგანწირვაც) ხარისხიანი საავტორო კინოს შესაქმნელად. წლევანდელი საკონკურსო პროგრამაში წარმოდგენილი ათი ფილმი სწორედ ზემოაღნიშნული ფილოსოფიის ფარგლებში ჯდება.

საკონკურსო პროგრამაშია არჩილ ქავთარაძის „კომა", რომელმაც ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებების მიუხედავად, მოულოდნელად შეარყია ქართულ კინოში დამკვიდრებული სტერეოტიპები. ასევე საინტერესოა თურქი ქალბატონის, ერდემ თერეგოზის „ნაწილი" და სომეხი მარია სააკიანის „ვაპირებ შევიცვალო სახელი". ბერძენი რეჟისორის, პენი პანაიოტოპულოს „სექტემბერი", ჩემი აზრით, კონკურსის ერთ-ერთი ფავორიტია. რუფატ ჰასანოვისა და ელვირ ადიგოზელის ფილმი „ქამელეონი" მწვავე და სოციალურია, გაცილებით სასტიკი – იური ბიკოვის „მაიორი". პროგრამაშია ასევე, ლიტველი რეჟისორის, იონას იგნასის „მოთამაშე" და იტალიელი რეჟისორის, ანდრეა პალაოროს ოდნავ თეატრალური კინოენით გამორჩეული Medeas.

პროგრამა „ევროპული ფორუმი" კინოს მოყვარულებს საშუალებას აძლევთ ბოლოდროინდელი ევროპული კინოს ტენდენციები შეაფასონ. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს კალინ პეტერ ნეტცერის „ბავშვის პოზა", რომელიც ბერლინის წლევანდელი კინოფესტივალის გამარჯვებულია. დიდ ინტრესს იწვევს ევროპული კინოს კლასიკოსის, აგნეშკა ჰოლანდის ფილმიც – BURNING BUSH.

ასევ პროგამაშია მარინა გორბაჩის და მეხმედ ბაჰადირის „შემიყვარე" (უკრაინა-თურქეთი), ანდრეი სტემპკოვსკის „დამტარებელი" (რუსეთი), სვეტლანა ბასკოვას „მარქსისთვის" (რუსეთი), სალვატორე მერეუს „ლამაზი პეპლები" (იტალია), პაოლო სორენტინოს „დიდი სილამაზე" (იტალია), ესტონელი რეჟისორის, ილმაგ რა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტიტანიკის სადაზღვევო ისტორია

ავტორი: ელენე კანდელაკი

გასული წლის 12 აპრილს საზღვაო პორტი საუთჰემპტონი თითქოს 100 წლით დაბერდა. წარმოიდგინეთ მეფე ედვარდის დროინდელი ინგლისის ატმოსფერო – გრძელ კაბებსა და შლაპებში გამოწყობილი ქალები და ფრაკიანი ჯენტლმენები. ისინი რიგრიგობით ადიან უზარმაზარი ლაინერიდან ჩამოშვებულ კიბეზე, რათა ზედმიწევნით გაიმეორონ მარშრუტი, რომელიც 100 წლის წინ ლეგენდარულმა „ტიტანიკმა“ ვერ შეასრულა. ხომალდს „ბალმორალი“ ჰქვია, მაგრამ კაიუტები აქ ზუსტად ისეთივეა, როგორც „ტიტანიკზე“. მუსიკაც იგივე უკრავს, მენიუც იგივეა. მხოლოდ სამაშველო ნავების რაოდენობაა საკმარისზე მეტი. „ჩვენ ყველა ის შეცდომა გავითვალისწინეთ, რის გამოც ტიტანიკი ჩაიძირა. 12 დღეში ნიუ-იორკში ვიქნებით,“ – ჰყვება კაპიტანი. ღონისძიებაში, რომელიც „ტიტანიკის“ ჩაძირვის 100 წლის თავს მიეძღვნა, უმსხვილესი სადაზღვევო კომპანიის – Lloyd's-ის წარმომადგენლებიც მონაწილეობენ.

ეს ის კომპანიაა, რომელმაც 100 წლის წინ უპრეცედენტო პირობებით ყველაზე თანამედროვე, მდიდრული და იმ დროისთვის ნამდვილ სასწაულად მიჩნეული ხომალდი – „ტიტანიკი“ დააზღვია.

Lloyd's-ის და „ტიტანიკის ისტორია 1912 წლის 9 იანვარს დაიწყო, როდესაც ბროკერი Willis Faber-ი Lloyd's-ის ოფისში მივიდა და ხელი მოაწერა კომპანია White Star Liner-ის კუთვნილი ლაინერის „ტიტანიკის“ სადაზღვევო დოკუმენტაციას.

იმ დროს ძალიან პრესტიჟულად ითვლებოდა „ტიტანიკთან“ ასოცირება. ყველაზე უსაფრთხო, ყველაზე სწრაფი, ყველაზე დიდი, ყველაზე მდიდრული – სწორედ ამ ეპითეტებით მოიხსენიებდნენ „ტიტანიკს“ მაშინდელ პრესაში. ცხადია, სადაზღვევო ბაზრის ლიდერი Lloyd's-ი სწორედ ის კომპანია იყო, რომელსაც ასეთი ლაინერი უნდა დაეზღვია.

ამ გარიგებიდან რამდენიმე თვეში Lloyd's-ი თავის ისტორიაში ყველაზე დიდ სადაზღვევო ზარალს ნახავს.

1912 წლის 14 აპრილის ღამეს პირველი SOS-სიგნალი ტიტანიკიდან 23 საათსა და 40 წუთზე გაუშვეს. ყველაზე ახლოს მცურავი ხომალდი – „კარპატია“ „ტიტანიკის“ გადასარჩენად მხოლოდ დილის 04. 10 საათზე მივიდა. იმ დროისთვის ლაინერი ფსკერზე იყო. „კაპრატიამ“ მხოლოდ სამაშველო ნავებში მსხდომი 703 ადამიანს მიუსწრო. იმ ღამეს ატლანტიკის ოკეანეში 1554 ადამიანი დაიღუპა.

მთავარ „დაზარალებულებად“ ტიტანიკის სადაზღვევო საქმეში ბრიტანული Lloyd's- ი იქცა. გარდა თავად ხომალდისა, სადაზღვევო კონტრაქტი ეხებოდა იმ აურაცხელი რაოდენობის ძვირფასეულობას, რომელიც იმ დროისთვის ხომალდზე იყო.

ჩაძირვის დროს „ტიტანიკზე“ იყო 8 მილიონი ფუნტი სტერლინგის ღირებულების ოქრო, 5 მილიონის ფუნტი სტერლინგის ღირებულების ბრილიანტები, გარდა ამისა, მგზავრთა პირადი ძვირფასეულობა და უნიკალური კულტურული ღირებულების ნივთები – მათ შორის ომარ ხაიამის „რობაიების“ მანუსკრიპტი და თქვენ წარმოიდგინეთ, ეგვიპტელი ფარაონის – ამინხოტეპ პირველის თანამედროვე წინასწარმეტყველი ქალის კარგად შენახული მუმია.

სწორედ ამგვარი ქონების დაზღვევის ანაზღაურება გახდა სადავო, რის გამოც დღემდე გრძელდება სასამართლო დავები.

რაც შეეხება სიცოცხლის დაზღვევას – ამ ნაწილში სადაზღვევო კომპანიებმა მალევე შეასრულეს ვალდებულებები და 1554 დაღუპული მგზავრის ოჯახის წევრებს კომპენსაცია გადაუხადეს.

გადარჩენილთა მონაყოლისა და ფაქტების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ დიდი სიჩქარით მიმავალი ტიტანიკი აისბერგს შეეჯახა. აისბერგი გემზე გვიან შეამჩნიეს და მიუხედავად მანევრირებისა, შეჯახების თავიდან აცილება ვერ მოახერხეს.

ჯეიმს კამერონის ცნობილ ფილმში, სცენარისტებისა და რეჟისორების ფანტაზიასთან ერთად, ბევრი ისეთი დეტალია ასახული, რაც თავად თვითმხილველებმა გაიხსენეს.

ICOMOS
ეროვნული
ბიბლიოთეკა

29167

მაგალითად, მუსიკა, რომელიც ხმამაღლა უკრავდა გემზე. კაპიტნის განკარგულებით, პირველ რიგში პირველი კლასის მგზავრები უნდა გადაერჩინათ, ამიტომ მესამე კლასის მგზავრთათვის გასასვლელები ჩაკეტეს. და მუსიკაც იმისთვის გახდა საჭირო, რომ მათი ყვირილი არავის გაეგო. გადარჩენილთა დიდი უმრავლესობა სწორედ პირველი კლასის მგზავრები იყვნენ.

მიუხედავად იმისა, რომ აისბერგთან შეჯახება დადასტურებული ფაქტია, დავა იმაზე, თუ რატომ ჩაიძირა ტიტანიკი, უკვე 100 წელია გრძელდება.

დიდხანს უცნობი რჩებოდა „ტიტანიკის" ჩაძირვის ზუსტი ადგილი. ფსკერზე დაშვებულ ჟანგიან კორპუსს მხოლოდ 80-იან წლებში მიაგნეს. ჩაძირული ხომალდის აღმოჩენამ ახალ კვლევებსა და ვერსიებს მისცა დასაბამი.

სადაზღვევო კომპანიების (Lloyd's-ის გარდა "ტიტანიკის" საქმეში რამდენიმე სხვა მცირე სადაზღვევო კომპანიაც ფიგურირებს) მიერ ასანაზღაურებელი ზარალი იმდენად დიდი იყო, რომ ძალიან მალე გაჩნდა ვერსია – ხომ არ იყო ეს სადაზღვევო აფიორა? „ტიტანიკის" მკვლევარი რობინ გარდნერი თავის წიგნში „ტიტანიკი – შეთქმულება" სწორედ ამ სარისკო ვერსიას ეყრდნობა.

მისი აზრით, ეს პომპოზური რეისი გაკოტრების პირას მყოფ გემთმშენებელ კომპანიას იმისთვის დასჭირდა, რომ კატასტროფის იმიტირება მომხდარიყო – მგზავრების ევაკუირების შემდეგ, გემი ფსკერზე ჩაიძირებოდა, კომპანია კი დამზღვევისგან სოლიდურ თანხას აიღებდა. სწორედ ამიტომ, არჩევანი ედვარდ სმიტზე შეჩერდა – კაპიტანზე, რომელიც ცნობილი იყო მართვის ავანტიურისტული სტილით. თუმცა, როგორც წიგნის ავტორი ამბობს, მათ დარტმის სიძლიერი ვერ გათვალეს – გემი ძალიან მალე წავიდა ფსკერისკენ – დაიღუპა მგზავრთა დიდი ნაწილი, მათ შორის, თავად კაპიტანიც.

მიუხედავად იმისა, რომ დეიურე გემის მეპატრონეებს ეს ვერსია არ დაუმტკიცდათ, საბოლოო წერტილი ამ ისტორიაში დასმული მაინც არ არის. ამ ვერსიის სითამამისა და ფანტასტიკურობის მიუხედავად, ტიტანიკის მკვლევარები მას დღემდე განიხილავენ და იკვლევენ.

Lloyd's-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე „ტიტანიკის" ისტორიის შესახებ ბევრი მასალა იძებნება. ყოველი წლის 12 აპრილს ეს კომპანია „ტიტანიკის" ტრაგედიას განსაკუთრებულად იხსენებს. „Lloyd's-ის და „ტიტანიკის" ისტორიები გადაჯაჭვულია" – წერია ამ ვებგვერდის ერთ-ერთ სტატიაში.

მიუხედავად იმისა, რომ 100 წლის წინანდელ საქმეზე სადაზღვევო დავები დღემდე გრძელდება და Lloyd's-მა „ტიტანიკის" საქმეზე დიდი ფინანსური ზარალი ნახა, Lloyd's-ი არ ემიჯნება ისტორიას. პირიქით, სათავისოდ იყენებს მას.

Lloyd's-მა ამ ისტორიის შედეგად კიდევ უფრო გაიმყარა სანდო სადაზღვევო პარტნიორის რეპუტაცია. ამ კომპანიამ დიდი წვლილი შეიტანა საზღვაო მგზავრობის უსაფრთხოების ზომების გამკაცრებაში, ასევე საკუთარი ინიციატივით, ახალ ტექნოლოგიებზე დაყრდნობით მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ხომალდების კავშირი ხმელეთთან.

გარდა ამისა, „ტიტანიკის" დამზღვევებმა, მათ შორის, პირველ რიგში Lloyd's-მა, ლეგენდა შეიძენეს. საქმე იმაშია, რომ ყველაფერი, რაზეც გაცემულია სადაზღვევო ანაზღაურება, დღეს სადაზღვევო კომპანიებს ეკუთვნით. მათ შორის ის ძვირფასეულობა და ნივთები, რაც აღმოჩენილი იქნება „ტიტანიკზე", რომელსაც დღემდე უკირკიტებენ მკვლევარები. ასევე მათი საკუთრებაა 100 წლის წინ ჩაძირული ლეგენდარული ლაინერის ჟანგიანი კორპუსიც.

რუბრიკას წარმოგიდგენთ „ალდაგი"
www.facebook.com/aldagi

ალდაგი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ ხუდონჰესი 25 წლის თავზე

ავტორი: არჩილ ქიქოძე

წელი ისე არ გავა, რომ სვანეთში ერთხელ მაინც არ ავიდე. ხაიში პირველი სვანური სოფელია, რომელსაც ზუგდიდიდან მესტიაში მიმავალი მგზავრი გაივლის. ზემო სვანეთის კარიბჭეა. იქ ჭკადუები ცხოვრობენ. არ ვიცნობ წესიერად ხაიშს. ისე მოხდა, რომ მე გეზს მესტიისკენ და კიდევ უფრო ზევით – უშგულ-ადიშისკენ ვიღებ ხოლმე. ხაიშში კი მხოლოდ ერთხელ გავჩერდი სვანეთში ჩემი პირველი და ბევრი რამის გამო დასამახსოვრებელი მოგზაურობის დროს, როცა თხუთმეტი წლის ასაკში ზურაბ ჟვანიას და სამოქალაქო აქტივისტთა ჯგუფს გავყევი იმ ხუდონჰესის შესაჩერებლად, რომელიც უკვე ოცდახუთი წელია ხაიშელებს დატბორვით და მათ სოფელს გაქრობით ემუქრება.

1988 წელი იყო. ზუსტად მახსოვს, რომ მეცხრე კლასში ვიყავი და იმ ჯგუფში, რომელიც სვანეთში ავიდა, ყველაზე ახალგაზრდა გახლდით. იმედიანი და შეიძლება ილუზიებით სავსე დრო იყო. გარემოს დაცვა და ეკოლოგია პრიორიტეტად ითვლებოდა. სულ ახალი შეჩერებული იყო ტრანსკავკასიური რკინიგზის პროექტი, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩემი ოჯახის წევრები და მთელი მათი საახლობლო აქტიურად იყო ჩართული, მერე ხუდონი იყო – როგორც ხევსურეთის არაგვის ხეობაში არ უნდა ერახრახათ მატარებლის ვაგონებს, ისე სვანური სოფელი არ უნდა დატბორილიყო. ამაზე ყველა შეთანხმებული იყო – ყველა, ვისაც კი ვიცნობდი, ვისაც სიტყვა ეთქმოდა, ჭკუა მოეკითხებოდა და ვისაც საკუთარი თავის პატივისცემა ჰქონდა. და ესეც გამოვიდა – გაჩერდა ხუდონი...

მერე რა იყო, თუ გახსოვთ? უნივერსიტეტის სტუდენტების გამოსვლა დავით-გარეჯის დასაცავად, ყარაიას ველზე მაშინ პოლიგონი იყო. ტანკები და არტილერიის სროლა უდაბნოს უნიკალურ ფრესკებს აზიანებდა. მგონი, არაფერი მეშლება და 1988 წლის ნოემბრის მოვლენები სწორედ დავით-გარეჯში საბჭოთა ჯარის წვრთნების საწინააღმდეგო სტუდენტური პროტესტით დაიწყო და ყველა დანარჩენი მონაწილე და მოთხოვნა მოგვიანებით დაემატა. ესეც გამოვიდა. მართალია უკვე საფუძველმორყეულ, მაგრამ მაინც უზარმაზარ ტოტალიტარულ იმპერიაში ხალხი გარემოს, მთიანი სოფლებისა და ისტორიული ძეგლების დასაცავად იბრძოდა, ერთმანეთის გვერდით სრულიად განსხვავებული ბედისა და მომავალში პოლიტიკური ხედვის ადამიანები იდგნენ და საქმე კეთდებოდა, უფრო სწორად, უკეთურება არ კეთდებოდა. მაშინ ამას ცოტა პათეტიკურ, მაგრამ გულახდილ სახელს – ეროვნულ საქმეს უწოდებდნენ...

გავიდა 25 წელი და დღეს უკვე ხუდონის აშენებას უწოდებენ ეროვნულს არა, მაგრამ სახელმწიფო საქმეს, პროექტის მოწინააღმდეგეებს სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტში, ანდაც პოპულისტობაში სდებენ ბრალს და წინასაარჩევნოდ სვანებისთვის მიცემული დაპირების მიუხედავად, ხუდონს მაინც უპირებენ აშენებას, ხაიშს კი – დატბორვას.

არსებობს ლეგენდა, რომ ქართველები, მართალია, სასტიკად ეპყრობიან ბუნებას, განურჩევლად და დაუნანებლად ჩეხავენ ტყეებს, მდინარეებში თევზს დენით წყვეტენ, ხოლო ჯიხვებზე ვეტმფრენებით ნადირობენ, მაგრამ, სამაგიეროდ, მათ უყვართ ადამიანი.

ეტყობა, ამ 25 წლის მანძილზე სახელმწიფოებრივი აზროვნება არც მე ჩამომიყალიბდა და ისევ ვრჩები ამ პროექტის მოწინააღმდეგედ. მთიანი სოფლის აყრა ისევ ბოროტება მგონია და ამ თემაზე ერთი-ორი სიტყვის დაწერასაც ვბედავ.

მაგრამ რა გინდა რომ დაწერო, როცა ილუზიებისგან აბსოლუტურად დაცლილი ხარ, როცა აღარ გჯერა, რომ შენი სიტყვა, თუნდაც შენზე უკეთესის, რამეს შეცვლის, როცა იცი, რომ გარემოს დაცვა საქართველოში არანაირ პრიორიტეტს არ წარმოადგენს, იცი, რომ პოლიტიკოსთაგან ამაზე არავინ ფიქრობს და თუკი ფიქრობს ვინმე, არ ლაპარაკობს, რადგან გარემოს დაცვით ვერ დაიწერ პოლიტიკურ ქულებს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეკოლოგია არც ჩვენი დამშეული და ორიენტირებდაკარგული საზოგადოებისთვისაა პრიორიტეტული დარგი.

იქნებ ადამიანებზე, ხაიშელებზე, ღირდეს ლაპარაკი, რადგან არსებობს ლეგენდა, რომ ქართველები, მართალია, სასტიკად ეპყრობიან ბუნებას, განურჩევლად და დაუნანებლად ჩეხავენ ტყეებს, მდინარეებში თევზს დენით წყვეტენ, ხოლო ჯიხვებზე ვეტმფრენებით ნადირობენ, მაგრამ, სამაგიეროდ, მათ უყვართ ადამიანი, ბევრად უფრო უყვართ, ვიდრე შინაურ და გარეულ ცხოველებზე, ტყეებზე, პარკებსა და რეკრეაციულ ზონებზე გადარეულ სხვადასხვა ცივილიზებულ გულცივ ჩრდილოელებს... თუ მართლა ასეა, იქნებ ღირდეს ლაპარაკი და ფიქრი იმ ორი ათას ადამიანზე, რომელთაც საკუთარი ფუძე უნდა მიატოვონ და თავიანთ მიცვალებულებთან ერთად სხვა ადგილი უნდა ეძებონ, თუკი უკვე არ მიუჩინეს ასეთი. სოციალურ ქსელში თვალში მომხვდა ენერგეტიკის მინისტრის განცხადება, რომელიც ხაიშის მკვიდრებს ჰპირდებოდა: თქვენი მიცვალებულების გადასვენებაზე სახელმწიფო იზრუნებსო. მოდი, თვალები დავხუჭოთ და ერთად წარმოვიდგინოთ ჰალსტუხია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი ჩინოვნიკების მეთვალყურეობის ქვეშ ეს ამბავი როგორ მოხდება! მე შევეცადე და ბოლო წლებში ბევრჯერ ნანახი და მუდამ შემზარავი სურათი დამიდგა თვალწინ. იარაღში ჩამჯდარი უსახური სპეცრაზმელები და ცოდვის ტირილი. კანონის და სახელმწიფოს ინტერესებით დასაბუთებული ძალადობა, რომელიც, ვშიშობ, საშინელი შედეგების მომტანი იქნება, რადგან სვანები იქიდან ნებით აყრას არ აპირებენ.

ხაიშელებმა ხატზე დაიფიცესო! ეს ამბავი წამში მოედო სოციალურ ქსელებს. რა საშინელებაა, რომელი საუკუნეა, რა დროს ეს არის, როცა სახელმწიფო ჩვენს კეთილდღეობაზე ზრუნავს, რომ დენის ტარიფი გაგვიიაფდეს! – გაიოცა და შეიცხადა ზოგიერთმა ფეისბუქელმა... ფიცის ამბავი, ვეჭვობ, ხუდონჰესის უჩინარ ინვესტორებს და მათზე მეტად ენერგეტიკის სამინისტროს ჩინოვნიკებსაც არ ესიამოვნათ. ინვესტორი ჩრდილშია – არ ჩანს, ჩინოვნიკები მათ მაგივრად სცემენ უსიამოვნო შეკითხვებზე პასუხებს. პირადად მე მათი მსჯელობებიდან მხოლოდ ორი პასუხი მოვისმინე: „თქვენ ენერგეტიკოსი არ ხართ და ამას ვერ გაიგებთ“ და „ეს პროექტი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა, ამიტომ აუცილებლად განხორციელდება“. მოპასუხე ჩინოვნიკებს უკვე სახეზე ცნობენ, ხაიშშიც უწევთ თურმე შეხვედრებზე სიარული, ხაიშელებმა კიდევ ხატზე დაიფიცეს, აქედან ფეხს არ მოვიცვლითო. ცოტა სახიფათოდ ჟღერს, სვანები არიან მაინც – მთის ხალხი...

დიახ, ასეთი ქვეყანაა საქართველო – ოცდამეერთე საუკუნეში სასოწარკვეთილი სოფელი უკიდურეს ზომას მიმართავს და ხატზე იფიცებს, რადგან იმავე ოცდამეერთე საუკუნეში საკუთარი სახელმწიფო წყალში უპირებს დახრჩობას. თუმცა კი, საარჩევნოდ საზეიმო დაპირება მისცა: არ დაგახრჩობო!

წინა ხელისუფლების დროს ჩვენ სახელმწიფო ინტერესებით გამართლებული ადამიანებზე განხორციელებული არაერთი ძალადობა ვნახეთ. რეჟისორმა გოგა ხაინდრავამ ისინი ფილმადაც კი შეკრა და საკმარისად დამთრგუნველი სურათი გამოუვიდა. თუკი აშენდება ხუდონი, ტოტალიტარულ ეპოქაში მოხაზული პროექტი, რომლის წინააღმდეგი მაშინაც და დღესაც იყო მთელი სვანეთი და რომელზე უკეთესსაც 25 წლის მერეც ვერაფერს გვთავაზობს ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფო, ეს მხოლოდ დაშინების და ძალადობის გზით მოხდება. მაშ, ჩვენს ახალ ხელისუფლებასაც იმავე გზით განუზრახავს სიარული და დროა ხაინდრავას ფილმს ბოლოში მიეწეროს: „გაგრძელება იქნება“, რადგან ხუდონი და ხაიში მხოლოდ დასაწყისი მგონია და საქმე ამით არ დამთავრდება.

საქართველოს ახალ ხელისუფლებას თავის წინამორბედისგან მემკვიდრეობით ერგო საათივით აწყობილი დამსჯელი მანქანა, უთვალავი კომპრომატი და ფარული ჩანაწერი (რომელიც გულით მინდა მჯეროდეს, რომ მართლა განადგურებულია) და, რაც ყველაზე ცუდია, უამრავი მაგალითი მოსახლეობის, საზოგადოების, ადამიანების მიერ მათთვის მიყენებული შეურაცხყოფის ჩაყლაპვისა და ამ ყველაფრის მიუხედავად, წინა ხელისუფლება სწორედ ადამიანების და მათი ღირსების არადჩაგდებამ გადაიყოლა. მახსოვს, რამდენიმე წლის წინ ერთი მეგობარი მეუბნებოდა, ყველაზე მეტად იმიტომ მეზიზღება ნაციონალები, რომ დამანახვეს, თურმე ჩემს ხალხს, ქართველებს, რომლებიც სულ სხვანაირები მეგონენ, რამდენის თმენა შესძლებიათო. ამათ მერე სხვები რომ მოვლენ, ისინი იტყვიან, წინებს ხომ უთმენდითო და ახლა ისინი ჩაგვარტყამენო...

არ მინდა ვიფიქრო, რომ ჩემი მეგობრის სიტყვები ახდა და ისევ გვირტყამენ.

სამშობლო მხოლოდ ინვესტორისთვის მიმზიდველი ცა – ფირუზ, ხმელეთ – ზურმუხტი არ არის. ლამაზი პეიზაჟი სხვაგანაც ბევრია, ხევსურეთს ხევსურის გარეშე არც აზრი აქვს და არც ხიბლი, ან, არადა, თითქმის ცარიელია იქაურობა, ცარიელია რაჭაც, ფშავიც, თუშეთიც...

იმიტომ კი არა, რომ ახალი ხელისუფლების მიმართ რამე ილუზია მაქვს, უბრალოდ, მე მეგონა, რომ ახლები ძველების მაგალითს გაითვალისწინებდნენ და შეიგნებდნენ, რომ თმენასაც აქვს საზღვარი.

სამშობლო მხოლოდ ინვესტორისთვის მიმზიდველი ცა – ფირუზ, ხმელეთ – ზურმუხტი არ არის. ლამაზი პეიზაჟი სხვაგანაც ბევრია, ხევსურეთს ხევსურის გარეშე არც აზრი აქვს და არც ხიბლი, ან, არადა, თითქმის ცარიელია იქაურობა, ცარიელია რაჭაც, ფშავიც, თუშეთიც... ცარიელია თითქმის მთელი საქართველოს კავკასიონი, რაც მომავალში, ვშიშობ, არაერთხელ გაგვიხდება ბარელებს სანანებლად. სვანეთს კი მოსახლეობა შემორჩა, სოფლები სოფლობენ და მხოლოდ საფლავთა დარაჯებად ქცეული მოხუცების ანაბარა არ არიან დარჩენილები. სვანეთში თაობები იზრდება, სკოლები მუშაობს და იქიდან მოსახლეობის აყრა და საუკუნეების მანძილზე არსებული სოფლის დატბორვა ბოროტებასთან ერთად დიდი სირეგვნე მგონია.

მე ტურიზმით ვცხოვრობ. უფრო სწორად, სულ სხვა რამეებით ვცხოვრობ, მაგრამ სარჩო-საბადებელი უცხოელი ტურისტების გამყოლობით მაქვს. წელი არ გავა, სვანეთში რამდენჯერმე რომ არ ავიდე. ნუთუ დადგება დღე, რომ ხელს ტბისკენ გავიშვერ და ვიტყვი: აქ იყო სოფელი, რომელიც დატბორეს, ჩაძირეს სახლები და სალოცავები, ხალხი ძალით აყარეს, თავიანთი მიცვალებულები მიწიდან ამოუთხარეს და გაატანეს. არა, პატივცემულო სტუმრებო, ეს არ მომხდარა ავადსახსენებელი ბოროტების იმპერიის ხანაში, როცა ტოტალიტარული სისტემა ადამიანს და ბუნებას არად აგდებდა, ეგ დროც კარგად მახსოვს, მაშინაც სცადეს, მე ჯერ კიდევ სკოლაში ვსწავლობდი, როცა ხალხმა ხმა ამოიღო, ერთად დადგა და დაიცვა, დაღუპვას გადაარჩინა სოფელი. აქაურობა დამოუკიდებელ საქართველოში, ოცდამეერთე საუკუნეში ჩაძირეს, როცა მე და ჩემი ტოლები უკვე ორმოცს გადაცილებულები ვიყავით და ოცნებებისგან დაცლილებს და გაძაღლებული ცხოვრებისგან დაღლილებს უკვე აღარ გვჯეროდა, რომ ჩვენ ან ჩვენს სიტყვას რაიმეს შეცვლა შეეძლო...

რედაქცია მადლობას უხდის „მწვანე ალტერნატივას“ ფოტოების მონოდებისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

VINCENT MOON

დიდი მოხეტიალე

კინოს, მუსიკის, ადამიანების და თანამედროვე სამყაროში ხელოვანის ადგილის შესახებ

ავტორი: თინათინ ხომერიკი
ფოტო : ლექსო სოსელია

ვენსან მუნის ფილმი პირველად ოთხ მეგობართან ერთად ცივ დღეს, კაფეში შეყუჟულმა, ერთ-ერთი მეგობრის ლეპტოპში ვნახე. ჩეჩენი მამაკაცების ბრბო ერთ მოედანზეა თავმოყრილი, ქალები მოშორებით სხედან და უყურებენ. ჯერ თავები ჩანს, უკნიდან, უამრავი თავი – შავი, ჭაღარა, მელოტი, ნახევრადმელოტი. ზოგი თავშიშველია, ზოგს ქუდი ახურავს. პირველად რიტმი გიპყრობს – უცნაური, ერთდროული ზუზუნის, გმინვის და სტვენისმაგვარი ხმა, რომელიც სულ უფრო და უფრო ძლიერდება. მამაკაცები მოძრაობას იწყებენ. მოძრაობა თან რიტმულია, თან რაღაცნაირად, უნებლიე და ქაოტური. სხეულები წინ და უკან მოძრაობენ. მამაკაცები თავებს წინ და უკან იქნევენ, ზუზუნებენ, ყვირიან, გოდებენ. გუგუნის და სტვენის ხმა არ წყდება. კადრი სახეებს ხან უახლოვდება, ხან შორდება. მოძრაობის შუაგულში ხარ, აკვირდები ექსტაზში შესულ, კონტროლდაკარგულ, რიტმულად მოძრავ სახეებს და სხეულებს და უნებურად, მოძრაობას ყვები. ყველაფერი იძვრის, გუგუნებს, ვიბრირებს. სანახაობა თან გითრევს, თან გაძრწუნებს და თავის დახსნა გინდება, მაგრამ იქ ხარ და ვერსად მიდიხარ. უცებ ცოტა სასაცილო და ერთი შეხედვით, შეუსაბამო ასოციაცია გიჩნდება – ეს ყველაფერი ერთსა და იმავე დროს, საბედისწეროდ ნაცნობ მიტინგის სცენასაც ჰგავს და დიდ სტადიონზე გამართულ რომელიღაც მეტალბენდის კონცერტზე შეკრებილი ფანების სიგიჟესაც. უკვე ოფლში გაწურული, სრულიად თავდავიწყებული მამაკაცები ისევ ყვირიან, ხელებს თავში იცემენ, ტორტმანებენ. ქალები კი ისევ შორიახლოს სხედან, უყურებენ და თავებს აკანტურებენ...

ვენსან მუნი (ნამდვილი სახელი – მატიე სორა) 34 წლის ფრანგი რეჟისორი – კინოდოკუმენტალისტი და ექსპერიმენტული ეთნოგრაფია. თავის დროზე ცნობილი გახდა, როგორც მუსიკალური ჯგუფების – The National, R.E.M., Arcade Fire, Beirut – ვიდეოებისა და La Blogothèque-ს პოპულარული ვიდეოპოდკასტების პროექტის, „The Take Away Shows" ავტორი. ეს უკანასკნელი იმპროვიზებული, უჩვეულო ადგილებში, ხშირად – ღია ცის ქვეშ, სპონტანურად გამართული მუსიკალური ვიდეოსესიების მასშტაბური პროექტი იყო, რომლის ფარგლებშიც 4 წლის მანძილზე R.E.M.-ის, Arcade Fire-ის, Beirut-ის, Grizzly Bear-ის, Sigur Rós-ის, Caribou-ს და სხვა შემსრულებლების ორასამდე საველე მუსიკალური ვიდეო შეიქმნა. 2006 წელს წამოწყებულ პროექტს დიდი რეზონანსი მოჰყვა. ამბობდნენ, რომ „The Take Away Shows"-მა სრულიად შეცვალა მუსიკალური ვიდეოს კონცეფცია. „ნიუ-იორკ-ტაიმსი" წერდა: „ვენსან მუნმა მუსიკალური ვიდეო ხელახლა გამოიგონაო".

2008 წელს ვენსან მუნმა შეწყვიტა წარმატებული მუსიკალური ვიდეოარტისტის კარიერული მიმართულებით სვლა და შარაგზას დაადგა. მომთაბარე ცხოვრების შედეგი – კოლექცია „Petites Planètes" – „პაწაწინა პლანეტები" 2011 წელს წარმოადგინა – ზურგჩანთით და კამერით შეიარაღებული ვენსანი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის გარეშე, ერთი ქვეყნიდან მეორეში დამოგზაურობს, იღებს ფილმებს 21-ე საუკუნის ადამიანების, კულტურის, მუსიკის, რელიგიის, რიტუალების და ტრადიციების შესახებ. ბოლო პერიოდში განსაკუთრებით ტრადიციულ და საკრალურ მუსიკაზეა ფოკუსირებული. დღემდე მოიარა: ჩილე, არგენტინა, კამბოჯა, ეგვიპტე, პოლონეთი, ახალი ზელანდია, ისლანდია, ბრაზილია, კოლუმბია, თურქეთი, სარდინია, ინდონეზია, სინგაპური, ჰონგ-კონგი, ავსტრალია, ფილიპინები, ხორვატია, ეთიოპია. შარშან რუსეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში იმოგზაურა, წელს კი სამხრეთ კავკასიაში – საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. ეს ინტერვიუ შვიდ ოქტომბერს ჩავწერეთ, როცა ვენსანი სომხეთიდან საქართველოში სულ რამდენიმე დღით დაბრუნდა. პირველად კი დაახლოებით, ერთი კვირით ადრე – თეატრის და კინოს უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის „საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის" მხარდაჭერით მოწყობილ ფილმების ჩვენებაზე შევხვდით.

ვენსან მუნის ფილმებს თავიდანვე ჩავუჯექი, ავტორის შესახებ კი ბევრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფერი მიძებნია – მხოლოდ აუცილებელი, მშრალი ინფორმაცია და რამდენიმე ფოტო – არ მინდოდა წინასწარ რამე შთაბეჭდილება ჩამომეყალიბებინა. ინტერვიუში მერე თვითონაც ამბობს რაღაც ამის მსგავსს. ფოტოზე რომ ვნახე, რატომღაც მეორე დიდი მოხეტიალის – რობერტ ლუის სტივენსონის ოდესღაც ნანახი სურათი გამახსენდა. სტივენსონი თვითაღწერისას კარლაილის სიტყვებს იყენებს და ამბობს, „ჯოჯოხეთგამოვლილ ბავშვს ვგავარო“. ვენსან მუნი კი არანაკლებ ეგზოტიკურ ადგილებში ყოფილა. სტივენსონი სიტყვებით აღწერის და გადმოცემის ოსტატია, ვენსან მუნი – ხმით და გამოსახულებით. ორივე გამხდარია, წვერულვაშიანი და ორივეს მკაფიოდ გამოკვეთილი თვალები აქვს. მოკლედ, მე მგონი, მართლა გვანან.

პირადად რომ გავიცანი, ცოტა სხვანაირი შთაბეჭდილება დატოვა. ძალიან ენერგიული და მოუსვენარია, აქტიურად ჟესტიკულირებს, ბევრს და სხაპასხუპით ლაპარაკობს ისეთი ფრანგულაქცენტიანი ინგლისურით, რომ სანამ მივეჩვიე, ყველაფერს ორ-ორჯერ ვამეორებინებდი. მეორე გამოკვეთილი მახასიათებელი ის იყო, რომ არასოდეს შემხვედრია აწმყოთი ასე შეპყრობილი ადამიანი – ინტერვიუში ყველაზე ხშირად იყენებს გამოთქმებს: „დღეს„ და „ჩვენს დროში“. სულ რაღაცის მოსწრებას ცდილობს, სულ აქ და ახლაა, ყოველ წამს ნაყოფიერად იყენებს, რაც ჩვენთვის – როგორც წესი, გამუდმებით ბუნდოვან წარსულზე და კიდევ უფრო ბუნდოვან მომავალზე მოფიქრალი ხალხისათვის განსაკუთრებით უჩვეულო და მოულოდნელი უნდა იყოს. მოკლედ, საინტერესო ადამიანია.

როგორ დაიწყე ფილმების გადაღება?

ფოტოგრაფიით დავიწყე. ფოტოგრაფიიდან მოვდივარ. უნივერსიტეტში კინოს ვსწავლობდი, მაგრამ იქაურობას ხეირიანი არაფერი მოუცია. ღამღამობით ფოტოგრაფიის გაკვეთილებზე დავდიოდი ძალიან მაგარ, სრულიად განსაკუთრებულ ადამიანებთან ერთად. ასე ვისწავლე გამოსახულების ენა. სრულიად მომიცვა „ჩარჩოს“ იდეამ – რა არის „ჩარჩო“? რა შეიძლება მოაქციო ან არ მოაქციო მის შიგნით – ანუ სურათს გარეთ და მის შიგნით? ფრანგები ვამბობთ: „le champ et le hors champ“[1] . Le hors champ – ანუ ის, რაც სურათზე არ არის, მაგრამ მისი მნიშვნელობის ნაწილია. რამდენიმე წლის მანძილზე უამრავი ფოტო გადავიღე – საკუთარი სტილის ჩამოყალიბებას ვცდილობდი, თუმცა იმ დროისათვის დიდი ფოტოგრაფების ძლიერი გავლენის ქვეშ ვიყავი. შემდეგ მივხვდი, რომ გამოსახულების ენა გაცილებით უფრო მდიდარია, როცა ბგერასთან არის კომბინირებული. მინდოდა მუსიკა როგორღაც გამომეყენებინა, მაგრამ არ ვიცოდი როგორ. ჯერ სხვადასხვა მუსიკოსის ფოტოების გადაღება დავიწყე. მერე ნელ-ნელა პატარა მუსიკალური ვიდეოების გადაღებაზე გადავედი და ამ გზით ვცდილობდი გამოსახულებით მეტად ექსპერიმენტირებას. არა მხოლოდ ფოტოგრაფიული გამოსახულებით, არამედ მოძრაობებით და ხმებით – კინოს სამი ელემენტით. კინოც ხომ სწორედ ეს არის – გამოსახულება, ხმა და სივრცითი მოძრაობები.

შენს ნამუშევრებს ორი გამოკვეთილი ღერძი აქვს – გამოსახულება და მუსიკა. რატომ აირჩიე მუსიკა კულტურის ყველა სხვა შესაძლო ფორმიდან?

არც კი ვიცი ავირჩიე თუ არა. არჩევანი ყოველთვის ცნობიერი ხომ არ არის. ზოგ რამეზე მართლა ფიქრობ, ზოგს კიდევ უბრალოდ... მერე უკან მოიხედავ და – „ო, აი თურმე რა გამიკეთებია“. თავიდან მუსიკით ვიყავი შეპყრობილი და განსაკუთრებით იმით, თუ როგორ შეიძლება ბგერის ვიზუალურად რეპრეზენტირება – აი, ეს მაინტერესებდა. უამრავი ფილმი ვნახე მუსიკის შესახებ, თითქმის ყველა არსებული ფილმი, რომელზეც ხელი მიმიწვდებოდა და ყოველ ჯერზე იმედგაცრუებული ვრჩებოდი იმით, რომ არცერთი მათგანი არ ასახავდა მუსიკას მუსიკალურად, წმინდა მუსიკალურად. 20-25 წლისა პარიზში ყოველღამე დავდიოდი კონცერტებზე და ლაივ-შოუებზე. ყოველღამე. როცა იქ ხარ – მთელ ამ ზღვა ხალხს შორის, ბრბოში, ისმის მუსიკა – და უკვე უბრალოდ კი აღარ უყურებ რა ხდება, უფრო გრძნობ – რაღაცას გრძნობ სივრცეში. უკვე აღარ ხარ უბრალო დამკვირვებელი – რაღაც დიდის ნაწილი ხდები, რისი სიტყვებით განსაზღვრაც შეუძლებელია, მაგრამ გრძნობ რაღაცას – და ეს არის მუსიკის არსი. მუსიკის ეს მხარე საერთოდ არ არის წარმოჩენილი იმაში, რასაც „მუსიკალურ ვიდეოებს“, „კლიპებს“ უწოდებენ. ყოველ შემთხვევაში, იმ დროისათვის ტიპებს მუსიკალური ვიდეო ასე წარმოედგინათ და მიშელ გონდრის, სპაიკ ჯოუნზის და ეგეთების სტილში იღებდნენ. მე კიდევ ვფიქრობდი, რომ ეს სრულიად არამუსიკალური რამ იყო, რადგან ამ რეჟისორებს მუსიკისა ბევრი არაფერი გაეგებათ. აბა, მიშელ გონდრის მუსიკაზე რა უნდა ელაპარაკო – მუსიკის აზრზე არ არის. საერთოდ, ძალიან მაგარი ფილმები აქვს გადაღებული, მაგრამ მუსიკა მისი საქმე ნამდვილად არ არის. მე ამ მიმართულებით არ მივდიოდი. ვფიქრობ, არის სხვა ხედვა, სხვა მიდგომა, რომლის მეშვეობითაც მუსიკის არსის, მისი მგრძნობელობის რეპრეზენტირება შეგვიძლია.

მუსიკალურ ვიდეოებს R.E.M.-ისთვის და The National-ისთვისაც იღებდი, ხომ?

R.E.M.-ისთვის ერთი გავაკეთე, ორი The National-ისთვის. ჯერ სამოყვარულო ფოტოების გადაღებით დავიწყე. დაახლოებით ასეთი რამ იყო – „მომეცით მუსიკა და ვცდი მასზე სურათების დადებას“. როგორც წესი, ურთიერთობა შენსა და მათ შორის არც ისე შემოქმედებითია, შემოქმედებით გაცვლას არ გულისხმობს. მე კი უფრო მეტად, ამ გაცვლისკენ ვისწრაფოდი, ჩემს თავს ვაიძულებდი, მეპოვა კინოს უფრო იმპროვიზებული ფორმა. მოგვიანებით, დაახლოებით 8 წლის წინ, „The Take Away Shows“ გავაკეთე. იმ დროისათვის ინტერნეტში ეს პირველი ამგვარი პროექტი იყო, მე მგონი, ამიტომაც გახდა ასეთი პოპულარული. ერთ წელიწადში მთელ ევროპაში და ჩრდილოეთ ამერიკაში გავრცელდა. იმდენად უჩვეულო რამ იყო, რომ ძალიან ცნობილი გახდა, მუსიკის ისტორიაში იქამდე მსგავსი რამ არ ყოფილა. ეს

ძალიან სადა და უბრალო ფორმა იყო – სცენის ნაცვლად, საჯარო სივრცეში მოქცეული, პუბლიკასთან გათანაბრებული. აი, ამას ვაკეთებდი, როცა უფრო დიდი ჯგუფები – მაგალითად, R.E.M.-ი დამიკავშირდნენ – იქნებ ჩვენთვის რამე ვიდეო გააკეთოო. მაგრამ ეს დიდად არ მაინტერესებდა. მე ექსპერიმენტების კეთება მინდოდა, ფულისთვის არ ვმუშაობდი. უბრალოდ, გართობა მინდოდა და R.E.M.-ისთვის ვიდეოს კეთება ამ დროს კოშმარი იყო.

მართლა?

-ჰო, იმიტომ, რომ... როცა ამდენი ფულია საქმეში ჩართული, მერე თავისუფლებას კარგავ, არა? მერე იმასთან მიბრუნება დავიწყე, რაც ნამდვილად ვიცოდი – ერთადერთი რამ, რაც მართლა გამომდიოდა, იმპროვიზებული ფილმების კეთება იყო, ქუჩაში, ხალხთან. ყოველთვის ამას ვაკეთებდი. მოგზაურობა დაახლოებით 5 წლის წინ დავიწყე. წამოვედი პარიზიდან და ხეტიალს შევუდექი.

ბევრი ახალგაზრდა ქართველი ხელოვანი უმოქმედობას დაფინანსების არქონით ხსნის ხოლმე – „კულტურის სამინისტრო ფულს არ გვირიცხავს“ და ა.შ. შენ კიდევ თითქოს იმის ცოცხალი საბუთი ხარ, რომ კარგი რამეების კეთება ფულის გარეშეც შეიძლება – ერთ კამერას და ერთ საძილე ტომარას მოიმარაგებ და ეგ არის.

ეს ჩემთვისაც ძალიან გასაგები ამბავია. მე ხომ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ხელოვნების თვალსაზრისით სრულიად აბსურდულ ქვეყანაში დავიბადე. დაფინანსების სისტემა, კინოსთვის თანხების გამოყოფა და ა.შ. ძალიან ჩახლართულია. ჩემი მხრიდან ალბათ უფრო გასაგები იქნებოდა, ამ სისტემისგან მეხეირა, მაგრამ მერე ეს ყოველთვის იმ საკითხს წამოჭრის, რომ... განსაკუთრებით ჩვენს დროში – შეიძლება სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ხელოვნება მართლა დამოუკიდებელი იყოს და ვთქვათ, აკრიტიკოს არსებული მდგომარეობა? დღეს ხშირად ვხვდებით ამას ყველა დონეზე – ცენზურას. ადამიანები თვითცენზურას ეწევიან, რაც, პრინციპში, საკმაოდ ახალი რამ არის – ცენზურის ცნება უკვე დიდი ხანია არსებობს, მაგრამ თვითცენზურა... ხალხი საკუთარი ნამუშევრების ცენზურას ეწევა იმის შიშით, რაც წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება დაემართოთ. ამიტომ ბევრს არ რისკავენ, სულ კომპრომისზე მიდიან. ეს ძალიან რთული თემაა, მაგრამ, ვფიქრობ, რომ დღეს, როცა ასეთ საშუალებებზე მიგვიწვდება ხელი, არავის დახმარებას არ უნდა ველოდოთ – მით უმეტეს, სახელმწიფო დახმარებას, უნდა ადგე და შენით სცადო, რამე ილონო. ყოველ შემთხვევაში, მე სულ ჩემი ძალებით ვცდილობდი რამის გაკეთებას და ასე გადავიღე დღემდე ასამდე ფილმი, ყველანაირი ფულის გარეშე. იქნებ არის რაღაც სხვა გზაც? იმ დღეს ფილმების ჩვენებაზე იმის თქმას ვცდილობდი, რომ – აი, დღეს ამდენი შესაძლებლობა გვაქვს, რომ განსხვავებულები ვიყოთ და ამის ნაცვლად სულ უფრო ნაკლებად და ნაკლებად განსხვავებულები ვხდებით. ყველაფერს ერთნაირად ვაკეთებთ, მოვლენების რაღაც უცნაური განვითარებაა. ამ პარადოქსის ახსნა უნდა ვცადოთ, ოღონდ ამისათვის ჯერ თვალი უნდა გავუსწოროთ და გავიგოთ, როგორ შეგვიძლია რაღაცები მართლაც განსხვავებულად ვაკეთოთ. და თუ ამას არ ვეცდებით, თუ ყველა ჩვენგანი არ ეცდება ამას ყოველდღიურობის დონეზე, ეს ამბავი განწირულია. ან ახლა უნდა ვიმოქმედოთ, ან არასოდეს. ყველაფერი ისე სწრაფად იცვლება, განსაკუთრებით ბოლო 10 წლის მანძილზე. იცვლება ეს ინტერნეტის მოხმარების კანონებიც...

დღეს, როცა ასეთ საშუალებებზე მიგვიწვდება ხელი,

არავის დახმარებას არ უნდა ველოდოთ – მით უმეტეს, სახელმწიფო დახმარებას, უნდა ადგე და შენით სცადო, რამე ილონო. ყოველ შემთხვევაში, მე სულ ჩემი ძალებით ვცდილობდი რამის გაკეთებას და ასე გადავიღე დღემდე ასამდე ფილმი, ყველანაირი ფულის გარეშე.

შენ კიდევ რასაც აკეთებ, ყველაფერს უფასოდ აზიარებ, არა?

საბედნიეროდ, მაქვს შესაძლებლობა, ვიცხოვრო ისეთ საზოგადოებაში, სადაც რაღაცების უფასოდ კეთება შეგიძლია. ეს სულაც არ არის ახალი იდეა – უფრო აღებ-მიცემობის უძველეს ცნებასთან მიბრუნებას ჰგავს – ღია, მარტივ გაცვლა-გამოცვლას, სადაც ფული თამაშის ნაწილი საერთოდ არ არის.

მოგზაურობას ორგანიზებას როგორ უკეთებ ხოლმე? გეზს როგორ ირჩევ? მაგალითად, კავკასიაში მოგზაურობა რატომ გადაწყვიტე?

ამჯერად კავკასიაში დაბრუნება იმიტომ გადავწყვიტე, რომ აქ შარშანაც ვიყავი. ჩრდილო კავკასიაში ჩავედი, ი-მეილით დამიკავშირდნენ – კაცი მწერდა – ნალჩიკიდან ვარ, შენი ფილმები მომეწონა და ჩვენების მოწყობა მინდაო. მე მივწერე: „საერთოდაც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებ მანდ ჩემი ფილმების გადაღებას გაუწიო ორგანიზება-მეთქი". მაშინ ისიც არ ვიცოდი, „ნალჩიკი" საერთოდ რა იყო. ვიფიქრე: „მაგარია, იქ ხომ არასდროს ვყოფილვარ-მეთქი". მინდა ხოლმე ისეთ ადგილას წასვლა, სადაც ჯერ არ ვყოფილვარ. აი, ასე მოხდა. ამ კაცმა და კიდევ ერთმა რუსმა რუსეთში, განსაკუთრებით, ჩრდილოკავკასიაში ჩემს ორთვენახევრიან მოგზაურობას გაუწიეს ორგანიზება. მერე დაბრუნება და კავკასიის სხვა ადგილების გადაღება მინდოდა – სამხრეთ კავკასიის. საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და აფხაზეთის შემოსავლელად თვენახევარი განვსაზღვრე. რამდენიმე კაცის საკონტაქტო ინფორმაცია მქონდა. მომწონს წინასწარ განსაკუთრებით რომ არ ვემზადები ხოლმე. ერთადერთი წინასწარ დაგეგმილი მოგზაურობა აზერბაიჯანში გატარებული ერთი კვირა იყო. ფილმს ერთ ამერიკელ ბიჭთან ერთად ვაკეთებდი, ამიტომ ეს ყველაფერი ძირითადად, გაწერილი იყო – კონტაქტებით და მთელი ამბებით. მოკლედ, ძალიან ორგანიზებული იყო და ცოტა მოსაწყენი. ეს მაინცდამაინც არ მომეწონა. მაგრამ იქამდე 1 კვირით მარტო წავედი სომხეთში. ისე ჩავედი, რომ თითქმის არავის დავკონტაქტებივარ – უბრალოდ ჩავედი, იქვე ხალხს გამოველაპარაკე და ერთ კვირაში ათასი კაცი გავიცანი. ეს ძალიან სწრაფად მოხდა. ძალიან მომწონს ეს საქმის კეთების უფრო იმპროვიზებული ფორმა – გეგმის შესრულება არ გიწევს, უბრალოდ, დინებას მიჰყვები. იქ მიდიხარ, სადაც ცხოვრებას მიყავხარ. ვფიქრობ, ეს ყოფის, ცხოვრებასთან ურთიერთობის ბევრად უფრო მოკრძალებული ფორმაა. მომწონს შემთხვევითობა და არ მომწონს წინასწარ ორგანიზება. საქართველოში ჩამოსვლამდე სულ რამდენიმე კონტაქტი მქონდა.

ენობრივ სირთულეებს როგორ უმკლავდები?

ყოველთვის მხვდებიან ადამიანები, რომლებიც მეხმარებიან. იქვე, ადგილზე. მერე ერთი კაცი ათს მაცნობს ხოლმე, ათი ასს – ძალიან სწრაფად და მარტივად.

შენი ფილმების უმეტესობა ერთ ჯერზეა გადაღებული, ხომ?

ცხადია, უკვე გადაღებულ ფილმებს ვამონტაჟებ, მაგრამ როცა ვიღებ, ერთ ჯერზე ვიღებ.

როცა იღებ, ერთსა და იმავე დროს, თან პირველად უყურებ რაღაცას, თან აფიქსირებ, რომ შემდეგ სხვებს აჩვენო. ვისთვის აკეთებ ამას პირველ რიგში?

პირველ რიგში... კაცმა არ იცის, კაცმა არ იცის. პირველ რიგში ალბათ მე ვარ – კარგი დროის გატარება, ხალხის გაცნობა, ფილმების გადაღება. გადაღება – როგორც ადამიანებთან შეხვედრის, ჩაყვინთვის, ჩაღრმავების წინაპირობა. ისეთ ადგილას მოხვედრის საბაბი, სადაც ფილმებს რომ არ იღებდე, ვერ მოხვდებოდი.

გუშინ საოცარი საღამო მქონდა, სიგიჟე იყო. ჯერ ანჩისხატში ვიყავი წირვის გადასაღებად. წირვის მერე ანჩისხატის გუნდის ბიჭებს ვთხოვე გარეთ გამოსულიყვნენ და რამდენიმე სიმღერა თოჯინების თეატრის წინ შეესრულებინათ. საოცარი იყო – ხალხი ქუჩაში იდგა და უყურებდა. ნამდვილი ჯადოქრობა ხდებოდა. გასაოცარ გრძელ გურულ სიმღერას მღეროდნენ. გურული პოლიფონია ყველაზე ამაღელვებელი რამ იყო, რაც საქართველოში მოვისმინე. ეს სიმღერაც ძალიან მძაფრი, ღრმა რამე იყო. და აი, სიმღერას რომ ამთავრებდნენ, თოჯინების თეატრის წინ, უამრავი ხალხის თანდასწრებით, ლოტბარმა ხელით ანიშნა, სიმღერა უცებ შეწყდა და გაისმა – დინგ! დინგ! დინგ! – კოშკის საათმა ატეხა რეკვა – თოჯინების თეატრი რომ არის, ანიმაციებით ... ზუსტად იმ მომენტს დაემთხვა ისე, რომ განზრახ მოფიქრებული არ ყოფილა და ეს იყო წმინდა ჯადოქრობა. მაგარი. მერე „სახლობა" უნდა ჩაგვეწერა – კიდევ ერთი გუნდი, მაგრამ იმ ღამით რობის გადავეყარეთ. რობი, კუხიანიძე?

კუხიანიძე

ჰო, კუხიანიძე. სიგიჟე იყო. ძალიან მაგარი, ძალიან მძაფრი. წარმოუდგენელი. არ ვიცი როგორ აღვწერო. ყველაზე ამაღელვებელი მუსიკოსი, რომელიც მოგზაურობისას გადავიღე. ისეთი ექსპრესიული იყო. ხანამ დაკვრას დაიწყებდა, ძალიან დიდი ხანი უბრალოდ ვსვამდით. მერე ვუთხარი – voilà, ეს ყველაფერი ძალიან კარგი, ახლა საქმეზე გადავიდეთ-მეთქი. აიღო გიტარა და... wow. აი ასე (რობის ხმის იმიტაციას აკეთებს). მერე ფორტეპიანოს მიუჯდა – ო, ეს პიანინოზე შესრულებული სიმღერა საოცარი იყო. ძალიან მაგარი. ძალიან ლამაზი გამოვიდა, ძალიან კმაყოფილი ვარ. ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი რამ არის, რაც გამიკეთებია.

პირველი ყველაზე მძაფრი აქაური ვიზუალური შთაბეჭდილება რა იყო შენთვის?

ისეთი განცდა მაქვს, თითქოს აქ უკვე ძალიან დიდი ხანია ვარ. ამიტომ არ მიყვარს ერთსა და იმავე ადგილას ძალიან დიდი ხნით გაჩერება. აქ მთლიანობაში 1 თვე ვიყავი და ჩემთვის ეს უკვე დიდი ხანია (იცინის). საქმის ძალიან მოკლე დროში კეთება მიყვარს, მგონია, რომ ასე უკეთ გამოგდის ენერგიის და გრძნობების კონცენტრირება. ამის შემდეგ თუ მეტისმეტად დიდი ხნით ჩერდები, იმას ვეღარ ხედავ, რასაც თავიდან ხედავდი. ამიტომ, არ ვიცი, რა იყო ის პირველი შთაბეჭდილება აქაურობის შესახებ.

როგორ ერევი ამდენ შთაბეჭდილებას, როცა განუწყვეტლივ მოგზაურობ, ხვდები ამდენ სხვადასხვანაირ ადამიანს, გამოსახულებას, ხმებს და შეჩერების და რეფლექსიის დრო არ გრჩება?

ხელახლა რომ გავიაზროთ – რას ნიშნავს „ფიქრობდე" ან „გახსოვდეს"? რა ილექება? მხოლოდ ტვინს ახსოვს თუ სხეულსაც? იმის თქმა მინდა, რომ შთაბეჭდილებების ეს ძალიან ინტენსიური, გამუდმებული რიტმი, მთელი ეს გადაღებები და ასე შემდეგ... არ ვიცი. რაღაც მომენტში შეიძლება გავჩერდე და უკან მოვიხედო. შეიძლება, უბრალოდ გავაგრძელო და... მაგრამ ეს თითქოს გამუდმებით მკვებავს. მომწონს ენერგიის ეს უცვლელი დონე და ვფიქრობ, რაღაც ამას გამუდმებით იმახსოვრებს. ცნობიერად თუ არაცნობიერად, ჩემს შიგნით რაღაც სულ მუშაობს.

მოწევა კლავს
მოწევა იწვევს კანის
ნაადრევ დაბერებას

ძალიან მომწონს ეს საქმის კეთების უფრო იმპროვიზებული ფორმა

– გეგმის შესრულება არ გიწევს, უბრალოდ, დინებას მიჰყვები. იქ მიდიხარ, სადაც ცხოვრებას მიჰყავხარ. ვფიქრობ, ეს ყოფის, ცხოვრებასთან ურთიერთობის ბევრად უფრო მოკრძალებული ფორმაა. მომწონს შემთხვევითობა და არ მომწონს წინასწარ ორგანიზება.

როგორ ფიქრობ, რამდენად ავთენტიკურია ის, რასაც შენს ფილმებში უჩვენებ? მაინც რაღაცით შეზღუდული ხარ – ხვდები ადამიანების მხოლოდ ერთ ნაწილს, ადგილობრივი მუსიკის მხოლოდ ნაწილს უსმენ...

ალბათ კი. არასოდეს არ მაქვს პრეტენზია, რომ „ეს ის არის". ეს ჩემი გრძნობები, ჩემი გამოცდილებაა. არავითარი აკადემიური საფუძველი, ვთქვათ, ეთნოგრაფიულ კვლევაში არ მაქვს. ამ თვალსაზრისით, ჩემი ფილმების განმარტებას დიდად არ ვცდილობ ხოლმე. მთავარი ჩემთვის უფრო ის არის, რისი მიცემა გინდა დღეს ხალხისთვის – გინდა აუხსნა რამე თუ გინდა, თვითონ დაფიქრდნენ რაღაცებზე, შევიდნენ სიღრმეში და... შენ მაგივრად შენს გასაკეთებელს ვერავინ გააკეთებს, ამიტომ ვცდილობ, მე თვითონ სუფთა ტილოდ დავრჩე. თვითონ ფილმები უამრავ შეცდომაზე და შემთხვევითობაზე იგება. ეს შემთხვევითობები კი ცხოვრების ნაწილია. ამიტომ, როცა მათ უყურებ, დაუსრულებლობის განცდას გიტოვებენ. აბას კიაროსტამიმ ეს ძალიან კარგად აღწერა – მე ფილმის მხოლოდ ნახევარს ვაკეთებ. მეორე ნახევარს თვითონ მაყურებელი „ავსებს". ეს ძალიან მომწონს და სულ მახსოვს. უბრალოდ, მაყურებლის პატივისცემის საკითხია, რადგან მაყურებელი უკვე მხოლოდ მჭვრეტელი აღარ არის, დღეს მას შემოქმედებით აქტში ათავსებ. ბოლოს და ბოლოს, ჩვენს დროში უკვე ყველას აქვს კამერა, ყველა რაღაცას იღებს. ასე რომ, მაყურებელი უკვე ფილმში შეგყავს ამ ორის ურთიერთდაკავშირების გზით.

გამახსენდა, რომ სხვა დიდი რეჟისორი (თუ არ ვცდები, სერგეი ეიზენშტეინი) კინოს „ძალადობრივ" მხარეზე საუბრობდა, როცა გამოსახულებაც, ხმაც, ტექსტიც და ქვეტექსტიც რეჟისორის მიერ არის განსაზღვრული და მაყურებელი ამ შემთხვევაში, მხოლოდ პასიური მჭვრეტელის როლში აღმოჩნდება ხოლმე.

რა თქმა უნდა, ასე არ უნდა იყოს, თუმცა დღევანდელი კინოს დიდი ნაწილი ასეთია – ტვინის სარეცხი მანქანა. არ ვიცი, ვფიქრობ, საქმის კეთების სხვა გზას უნდა მივაკვლიოთ, ყოველთვის უნდა ვეძებოთ ალტერნატივა.

(ლექსო სოსელიას კითხვა) ცდილობთ ხოლმე ხალხს, სტუდენტებს ასწავლოთ კინოს გადაღება?

მასტერკლასები მაქვს ხოლმე. იმ დღეს რომ კინოჩვენება მქონდა (ჩვენს შეხვედრამდე ერთი კვირით ადრე თეატრის და კინოს უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის მოაწყო ჩვენება და ესაუბრა კინოზე – თ.ხ.), ისიც რაღაც მასტერკლასივით იყო იმ გაგებით, რომ იქაც ვხსნიდი, როგორ ვმუშაობ და ა.შ. არ მინდა ხალხს რაღაც მიმართულებები მივცე. უბრალოდ, მინდა რაც შეიძლება, ღია გავხადო ისინი, დამოუკიდებელი ფიქრისკენ ვუბიძგო. სკოლის არ მწამს. მგონია, რომ სკოლა – იმ გაგებით, რა გაგებითაც ჩვენ ეს სიტყვა გვესმის – ადამიანების განსაზღვრული მიმართულებით განათლების საშუალებაა და ადამიანებს ძალიან ახშობს. ამიტომ, მე ძირითადად მათ გახსნას ვცდილობ, მათთვის რამდენიმე გასაღების და იდეის მიცემას. თუ გამოიყენებენ, ხომ კარგი, თუ არა და – აბა, რას ვიზამთ. არაჩვეულებრივად სასიამოვნოა, როცა მასტერკლასებზე გიწვევენ, მაგრამ ხალხის მიმართ პასუხისმგებლობაც ძალიან დიდია. როცა ოციოდე წლის ვიყავი, მე თვითონაც დავდიოდი ხოლმე ზოგ ჩვენებაზე ან კონფერენციაზე. ზოგჯერ ამ დროს გონებაში რაღაც გინათდება, იდეა მოგდის ხოლმე. ამიტომ, ასეთ დროს, როცა ისეთ პოზიციაში ხარ, რომ გაქვს ბედნიერება, ამგვარი ცოდნა ვიღაცას გადასცე, ეს უნდა დააფასო და პასუხისმგებლობა უნდა მოიკრიბო. მომდევნო კვირას ვიეტნამში მივდივარ რამდენიმე ასეთი მასტერკლასის ჩასატარებლად.

იმ ადგილებიდან, სადაც მოგზაურობ, ელემენტების შეგროვება და გამოყენება მოგწონს, ხომ? მაგალითად, ეს კომპასი და ქუდი...

კი, კი, მე მგონი, ეს ძალიან მნიშვნელოვანია – „ააწყო" შენი სხეული იმით, რასაც შენ გარშემო პოულობ.

„სხეულის მეხსიერებაში" ამას გულისხმობდი? (იცინინან)

შეიძლება, შეიძლება. ამაზე ასე ერთმნიშვნელოვნად არ ვფიქრობ. მაგრამ ძალიან მომწონს ეს იდეა – ელემენტების ერთად თავმოყრის სიურრეალისტური, დადაისტური ფორმა და მერე დაკვირვება – რა გამოგვიდა. მაგალითად, აი ეს საბჭოთა შარვალია, ეს ჟაკეტი ჰიმალაებიდან არის, პიჯაკი – პერუდან. საგნებს ერთად უყრი თავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აი, სიმღერას რომ ამთავრებდნენ, თოჯინების თეატრის წინ,

შამრავი ხალხის თანდასწრებით, ლოტბარმა ხელით ანიშნა, სიმღერა უცებ შეწყდა და გაისმა – დინგ! დინგ! დინგ! – კოშკის საათმა ატეხა რეკვა – თოჯინების თეატრი რომ არის, ანიმაციებით ... ზუსტად იმ მომენტს დაემთხვა ისე, რომ განზრახ მოფიქრებული არ ყოფილა და ეს იყო წმინდა ჯადოქრობა.

და ცდილობ, შენი საკუთარი კულტურა, შენი ტრადიცია შექმნა. იდენტობის იდეა – ძალიან მაინტერესებს, როგორ იქმნიან ადამიანები იდენტობებს. ვფიქრობ, განსაკუთრებით, ჩვენს დროში, ჩვენი იდენტობა ხელახლა უნდა შევქმნათ, ხელახლა უნდა გავიაზროთ ჩვენი კულტურა ჩვენი ქვეყნის კარგად გაცნობის გზით, მაგრამ ამავდროულად სხვა ქვეყნების შესწავლის მეშვეობითაც დავაფასოთ ეს ყველაფერი და განვაგრძოთ სვლა, ყოველთვის. ჩვენს პოზიციაზე ჯიუტად კი არ ვიდგეთ და არაფერი შევცვალოთ, არამედ ვიფიქროთ – ჰო, აი ეს არის ჩემი კულტურა. როგორ შემიძლია მას მოვექცე? როგორ განვავითარო ისე, რომ ის კვლავაც ჩემს კულტურად დარჩეს, მაგრამ კიდევ რაღაც სხვაც იყოს? დიდად არ მომწონს „შეჯვარების“ მცდელობები, მაგალითად, „კავკასიური პოპი“ – ტრადიციული ინსტრუმენტების, ცუდი ვიდეოს და მეინსტრიმული მუსიკის გამოყენება ხალხის ინფორმირებისთვის – ზოგი ხომ თვლის, რომ მნიშვნელოვანია ტრადიციული ინსტრუმენტებით თანამედროვე მუსიკის შექმნა, რომ ხალხმა მათი კულტურა გაიგოს. მე კი მგონია, რომ ეს არ არის მაინცდამაინც კარგი. ეს არასწორია. ალბათ, აუცილებელია განათლება იმისათვის, რომ ზოგიერთი ელემენტის შენარჩუნების მნიშვნელოვანება გვესმოდეს, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ წინაც ვიყუროთ. დღეს ჯერ კიდევ დიდი კულტურული იმპერიალიზმის პირობებში ვცხოვრობთ, რაც ბევრ საინტერესო იდეას როდი ბადებს. დრო ძალიან საინტერესოა – ყველაფერი ძალზე სწრაფად იცვლება. ყურადღებით უნდა ვიყოთ, რომ რაღაცები მეტისმეტად დიდხანს არ დავაკონსერვოთ – რაღაც უნდა შევინახოთ, მაგრამ უფრო ჭკვიანურად მოვეპყროთ. ეს ძალიან მრავალმხრივი რამეა. მაგრამ, ამავე დროს, ვფიქრობ წინააღმდეგობაც გვმართებს – უნდა შევეწინააღმდეგოთ კულტურულ იმპერიალიზმს, ყველაფრის სანახაობად ქცევას. ყველაფერი სულ უფრო სწრაფი და სწრაფი, ხმაურიანი და ხმაურიანი ხდება. ოდესმე ეს შეწყდება და სიჩუმეს დავუბრუნდებით. და მგონია, რომ უნდა ვიბრძოლოთ სიჩუმისთვის – იმისათვის, რაც უფრო მგრძნობიარე, დელიკატურია. დღეს ძალიან არადელიკატურ, ვულგარულ სამყაროში ვცხოვრობთ. ახალგაზრდა თაობა ბევრი თვალსაზრისით ძალიან ვულგარულია და ამასთან ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ.

საქართველოს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის დღეს ყველაზე საინტერესო კულტურული პოზიცია აქვს. ზოგჯერ ეს ბადებს შეკითხვას – ბაში, როცა თქვენს კულტურას ასე აფასებენ – და ვფიქრობ, ქართული პოლიფონია ევროპაში ძალიან დაფასებულია – როგორ უნდა გააგრძელოთ მოძრაობა, როგორ უნდა დაძრათ საქმე წინ ისე, რომ არამხოლოდ შეინარჩუნოთ ტრადიცია და ერთი და იგივე სიმღერა სამუდამოდ ერთნაირად არ იმღეროთ. აფხაზეთში რომ ვიყავი, იქ ჩაწერილი სიმღერების უმეტესობა ომზე იყო – ომში გამარჯვებას ზეიმობდნენ. ჩეჩნეთში ომზე გასაგები მიზეზების გამო, არ მღერიან. ამ თვალსაზრისით, ჩეჩნი სუფიების რიტუალი, რომელიც ჩემს ფილმშია, ერთგვარი კოლექტიური გლოვის გამომხატველია.

შენი აზრით, „ხედვა“ როგორ ყალიბდება?

ვფიქრობ, მუშაობის ამბავია – კეთებით სწავლობ. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვისწავლე. არ ვიცოდი ფილმები როგორ უნდა გადამეღო, მერე გადაღება დავიწყე და ცოტა ხანში უკვე ვიცოდი. უბრალოდ, უნდა აიღო და გააკეთო, იმუშაო რომ მოძრაობაში იყო, წინ წახვიდე.

P.S. ვენსან მუნის ფილმების კოლექცია სრულიად უფასოდ შეგიძლიათ ნახოთ აქ: http://www.vincentmoon.com/

როგორც ვენსანმა მითხრა, სამხრეთ კავკასიაში გადაღებული ვიდეომასალა ჯერჯერობით დამუშავების პროცესშია. სამაგიეროდ, აუდიომასალას – მუსიკალურ კოლექციას შეგიძლიათ გაეცნოთ ამ მისამართებზე:

http://petitesplanetes.bandcamp.com/album/the-sounds-of-georgia-saqartvelos--bgerebi

http://petitesplanetes.bandcamp.com/album/the-sounds-of-armenia-hayastani--dzain

http://petitesplanetes.bandcamp.com/album/the-sounds-of-abkhazia-apsny--ashtabzh

http://petitesplanetes.bandcamp.com/album/az-rbaycan-s-sl-ri-the-sounds-of--azerbaijan

1 le champ et le hors champ – სიტყვა-სიტყვით: „ველი და გარე ველი“ – ფოკუსში და ფოკუსს მიღმა.

ლიტერატურული
გამსახურდიას 31 (31 30 97), თურნიშვილის 2 (22 51 33), აბაშიძის 22 (22 02 76)
ბაგრატის რიგი 7 (43 89 39)ბათუმი, გამსახურდიას 18 (422 222 7 20 13)

ROOMS HOTELS
KAZBEGI
#1 V.Gorgasali street, Stepantsminda, Georgia; Tel: +995 32 2 710099; Fax: +995 32 2 720099
E-mail: roomskazbegi@roomshotel.com; www.roomshotel.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუსიკა და თავისუფლება

ჯო ბოიდი LSD-ის, PINK FLOYD-ის, თანამედროვე მუსიკის შესახებ

ავტორი: ცირა გვასალია

როცა მადი უოტერსი პირველად ჩავიდა ლონდონში, 60-იანი წლების დასაწყისში, ჯერ კიდევ ყმაწვილკაც ჯო ბოიდს სთხოვა ტურ-მენეჯერობა. როცა ბობ დილანი Newport Festival-ზე ელექტრონულ გიტარას აწყობდა, დენის წყაროს მისი ინსტრუმენტი სწორედ ჯო ბოიდმა შეუერთა. 1966 წლის ბოლოს, ლონდონში ყველაზე მაგარი კლუბი „უფო" ჯო ბოიდმა დააარსა. როცა Pink Floyd-მა პირველი სინგლები ჩაწერა, ჯო ბოიდი იყო მათი პროდიუსერი. როცა ნიკ დრეიკს ახალი ჩანაწერის დემო-ვერსიის გავრცელება უნდოდა, ჯო ბოიდს მიანდო ეს საქმე. როცა სტენლი კუბრიკს Deutsche Grammophon-ისგან ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიის გამოყენების ლიცენზიის შეძენა უნდოდა ფილმისთვის „მექანიკური ფორთოხალი", სწორედ ჯო ბოიდი ეხმარებოდა მუსიკის გამოყენებისთვის შესაბამისი პროცედურების გავლის დროს, როგორც Warner Brothers-ის წარმომადგენელი.

მდიდარ მუსიკალურ საპროდიუსერო ბიოგრაფიას ჯო ბოიდმა წიგნიც მიუძღვნა, სახელად „თეთრი ველოსიპედები". წიგნის წინასიტყვაობაში მადლობა გადაუხადა საკუთარ ბებიას – მერი ბოიდს, რომელმაც „მოსმენა ასწავლა".

ჯო ბოიდი წელს ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალის ერთ-ერთი საპატიო სტუმარი იყო. იგი თითქმის ორი საათის განმავლობაში ესაუბრა ქართველ მუსიკის მოყვარულებს. ფესტივალზე კი მისივე პროდიუსირებით გადაღებული ფილმი „ჯიმი ჰენდრიქსი" აჩვენა. „ბათუმიდან ბოიდმა თბილისშიც გამოიარა. შეხვედრა კაფე „ტარტინში" დამინიშნა და ინტერვიუს დაწყებამდე, კითხვაც დამისვა: „თბილისში სად შეიძლება თანამედროვე ქართული მუსიკის მოსმენა?" შემდეგ დიქტოფონი ჩავრთე და ბოიდი კიდევ ერთხელ გადაეშვა 60-იანი წლების ლონდონში. საუბრის ბოლოს ბიოგრაფიული წიგნი, „თეთრი ველოსიპედებიც" მისახსოვრა.

60-იანი წლების ლონდონი უფრო მიმზიდველი იყო ახალგაზრდა ხელოვანი ხალხისთვის, ვიდრე პარიზი. როგორ გგონიათ, რატომ მოხდა ეს?

ერთი რამ თავიდანვე განვასხვაოთ: მიმზიდველი არა მხატვრების, მწერლების ან სხვა არტისტებისთვის, არამედ როკმუსიკოსებისთვის. იმ დროს ლონდონი, ნიუ-იორკი, სან-ფრანცისკო, ლოს-ანჯელესი – როკმუსიკის ცენტრი იყო. ბუნებრივია, დიდი ქალაქებია და პოპმუსიკის დიდი კულტურის მატარებლები არიან – აფეთქებების ცენტრები. მაგალითად, ფრანგული მუსიკა არაა პოპმუსიკა, ის უბრალოდ ფრანგული მუსიკაა და შესაბამისად, პარიზში როკმუსიკოსებისთვის ნიადაგი არ იყო. ლონდონში კი იყო როგორც „როლინგ სთოუნზი", ასევე პოპკულტურა. პატარ-პატარა რევოლუციები.

60-იანი წლების ბოლოსკენ, ნიუ-იორკიდან ლონდონში გადახვედით. რატომ იფიქრეთ, რომ როგორც მუსიკალურ პროდიუსერს, ლონდონში მეტი შანსი გქოდათ, ვიდრე ნიუ-ორკში?

თავიდან ასე არ მიფიქრია. სულ მინდოდა მოგზაურობა, ახალი კულტურის შეცნობა და შეგრძნება. ევროპაში წასვლაზე სულ ვოცნებობდი. ლონდონში პირველად როგორც ტურ-მენეჯერი, ისე ჩავედი. ეგრევე შემიყვარდა ქალაქი – მაგარი იყო; მაგრამ, ამავე დროს, ვიგრძენი, რომ რაღაც, რაც ამერიკაში იყო გამოცდილი და გაკეთებული, ჯერ არ არსებობდა ლონდონში.

მაინც რა? მუსიკას უკავშირდებოდა?

დიახ. ჩემი მეგობარი, პოლ როთჩილდი, სხვანაირი პროდიუსერი იყო ამერიკაში (თავის დროზე, „დორზების" და ჯენის ჯოპლინის პროდიუსერი). ინგლისში მუსიკის პროდიუსინგი ოდნავ სხვანაირ სტილში იყო: თითქოს პოპმუსიკა ისეთ რამედ



ეროვნული ბიბლიოთეკა

აღიქმებოდა, რისი აგება-აწყობაცაა შესაძლებელი, ხმების ერთმანეთზე დადებით, მეტი ტექნიკურობით. როთჩილდმა კი მეტი ბუნებრიობა და სპონტანურობა შემოიტანა პროდიუსინგში: სტუდიაშივე აკეთებდა პერფორმანსს და სხვანაირად მიქსავდა.

რამე ინოვაცია იყო ამაში?

დიდი არაფერი ინოვაცია იყო, მაგრამ მე და როთჩილდი მაინც სხვა სფეროდან მოვედით: ჯაზისა და ფოლკის სამყაროდან. ეს სამყარო კი პერფორმანსის, კოლექტიური დაკვრის სამყაროა. ჯაზში არასოდეს მოგაფიქრდება, რომ ცალკე ჩაწერო ვოკალი და მერე საქსოფონის ხმა დაადო. არც ფოლკში ხდება ასე. ხალხი ცოცხლად ასრულებს და უკრავს, მაშინ, როცა პოპმუსიკაში მეტია მანიპულაცია და ჩანაწერის დროს ტექნოლოგიური ინოვაციები ერთვება დიდი დოზით.

ანუ ნაკლებია იმპროვიზაცია?

დიახ, ასე მგონია.

როგორი იყო ლონდონი თქვენი პირველი ჩასვლის დროს? რა იყო პირველი გამოცდილება?

მე ძალიან გამიმართლა. ბლუზ-მომღერლის, მადი უოტერსის ტურ-მენეჯერი ვიყავი. მაშინდელი ლონდონის მუსიკალური ცხოვრების შუაგულში აღმოვჩნდი: ფოლკ- თუ როკკლუბებში, ძალიან საინტერესოდ ვატარებდი დროს. ჩემთვის, ეს მოძრაობა ახლის და ძველის შეჯერება იყო, რომელიც ძალიან ცოცხალ და შემოქმედებით მუხტს ასხივებდა.

მუსიკის პროდიუსინგში რა იყო თქვენი პირველი ნაბიჯები?

ლონდონში პირველად ჩასვლის შემდეგ, ისევ ამერიკაში დავბრუნდი. Newport Folk Festival-ის მენეჯერი ვიყავი. მაშინ, ნიუ-იორკშიც რომ შემოეთავაზებინათ სამსახური, მანდ დავრჩებოდი. მაგრამ იმ დროს, Electra Records-ს ლონდონის ოფისის გახსნა უნდოდა და მე შემომთავაზეს მისი გაძღოლა, რადგან უკვე ნამყოფი ვიყავი ლონდონში და მცირე გამოცდილება მქონდა. სიამოვნებით დავთანხმდი ამ შემოთავაზებას.

1966 წლის დეკემბერში UFO Club დააარსეთ, რომელმაც მხოლოდ 9 თვე იარსება. ამ კლუბს „ფსიქოდელიურ კლუბსაც“ ეძახდნენ. თქვენი აზრით, რა როლი ითამაშა მან 60-იანი წლების ლონდონის ცხოვრებაში და რა შეცვლა მსოფლიო მასშტაბით?

მსოფლიო მასშტაბით, მისი დამსახურება ის იყო, რომ ჯგუფ Pink Floyd-ისთვის გახდა პლატფორმა. ლონდონში კი ახალი, ალტერნატიული, ექპერიმენტული, მემარცხენე, ნარკოტიკულ ტკბობაზე ორიენტირებული კლუბი გახდა. იქ ყველაფერი ერთმანეთში იყო არეული – თავისუფალი ჯაზი, ფსიქოდელიური მუსიკა, როკმუსიკა – ამ ყველაფრის ცენტრი „უფო-კლუბი“ იყო, ისევე როგორც მაშინდელი International Times Magazine და სხვა რამეებიც, ყველაფერი, რამაც მიწისქვეშა კულტურა ხალხის უფრო ფართო მასებში გაავრცელა და გაფანტა. მაგალითად, 1967 წლის იანვარში თუ ქუჩაში ფოტოს გადაიღებდით და შემდეგ 1967 წლის აგვისტოშიც გადაიღებდით, ხალხის ჩაცმულობაში უეჭველ ცვლილებას შეამჩნევდით. მომრავლდა ხალხი ყვავილგარჭობილი, ჰიპური ტანსაცმლით, არა, ყველა არა, რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც. თუ 1967 წლის იანვარში 200 ადამიანიდან ერთს ეცვა ასე, 1967 წლის აგვისტოში ყოველი მესამე-მეოთხე ასე იყო შემოსილი, ხალხი სხვანაირად გამოიყურებოდა. „უფო-კლუბი“ ამ ყველაფრის ცენტრში იდგა.

მაინც რა მოხდა, უფრო დეტალურად რომ აღწეროთ?

ხალხმა ნარკოტიკების მიღება დაიწყო და ეს იყო მთავარი მიზეზი. ხალხს სხვანაირი წარმოდგენა გაუჩნდა იმაზე, თუ რისი ნახვა და მოსმენა სურდა. გამოცდილება მოემატათ. მაგალითად, თუ LSD-ს იღებ, ამ დროს პოპმუსიკის სმენა ნამდვილად არ გინდება. გინდა ისეთი რამ მოისმინო, რაც უფრო წარმოსახვითია, უფრო უცნაური, უფრო სივრცითი, უფრო რაღაცნაირად სხვანაირი. LSD-ის მიღების შემდეგ უფრო Pink Floyd-ის ან Sergeant Pepper-ის მსგავსი მუსიკის მოსმენის მოთხოვნილება გაქვს.

პირველად LSD როგორ შემოვიდა?

მაშინ ჰარვარდში ვსწავლობდი, 60-იანი წლების დასაწყისი იყო. სტუდენტურ გაზეთში გამოქვეყნდა განცხადება, რომ სამეცნიერო ექსპერიმენტებზე ხალხს იწვევდნენ. საათში ერთ დოლარს უხდიდნენ. დაზუსტებით არ იყო მითითებული, რა ექსპერიმენტი იყო. მოგვიანებით გაირკვა, რომ პროფესორი, სახელად ტიმოთი ლირი, LSD-ის მიღებაზე აკეთებდა ექსპერიმენტს. თავიდან, LSD უცხო ხილი იყო, მერე კი მასზე მეტი ინფორმაცია გავრცელდა. უკვე მოგვიანებით, თუ მუსიკოსების წრეში და სხვა მიწისქვეშა სამყაროში აღმოჩნდებოდით, უკვე LSD-ის შოვნა მარტივი იყო, როგორც ლონდონში, ასევე სან-ფრანცისკოში.

1967 წელს, „უფო-კლუბმა“ და „პინკ ფლოიდმა“ LSD უფრო და უფრო დიდი მასებისთვის გახადა ხელმისაწვდომი. ხალხი „უფოში“ მოდიოდა, იქ კი ყოველთვის იყო ადამიანი, რომელიც LSD-ის ყიდდა ნებისმიერ მსურველზე.

მაინც რამ უფრო განაპირობა „უფო-კლუბის“ მომხიბვლელობა – მხოლოდ LSD-იმ თუ მუსიკამ? თუ ორივემ ერთად?

მუსიკამ, კულტურამ – ყველაფერმა ერთად, ყველაფრის ერთმანეთში სინთეზურად არევამ.

თავდაპირველი LSD უფრო სუფთა იყო, შემდეგ კრიმინალმა გამყიდველებმა მისი განზავება დაიწყეს და საშიში ინგრედიენტები შეიტანს. ეს როდის მოხდა?

1967 წლის იანვარში, LSD-ის გავრცელება უფრო ნაკლები იყო. „პინკ ფლოიდი“ უკვე ჩარტებში იყო და მგონი ესეც გახდა მაპროვოცირებელი, რომ უკვე ივნისში, Sergeant Pepperi-ის გამოსვლის შემდეგ, პოლ მაკარტნიმ თქვა სადღაც, რომ LSD-ს იღებდა. და როცა „ბიტლზი“ იღე-

ბს LSD-ს ყველას უნდა მისი მიღება. სანამ კრიმინალები ფულის გაკეთებაზე ფიქრს დაიწყებდნენ, LSD ფანატიკოსი მეცნიერებისა და დამწყები სპეციალისტების ახირება იყო, რომლებიც ქიმიური პროცესით იყვნენ გატაცებულები. ერთი ბიჭი იყო სან-ფრანცისკოში, „ოუზლის" (ოუზლი სტენლი) ეძახდნენ; ძალიან კარგი ხარისხის LSD-ს ყიდდა და იაფად. რადგან ეს უკანონო ქმედება იყო, რთული იყო ხარისხიანი მასალის გაყიდვა. იდეის ავტორი, მეცნიერი ტიმოთი ლირი, დადიოდა, ლექციებს ატარებდა, ამბობდა, რომ LSD ყველამ უნდა მიიღოს, სჯეროდა, რომ ეს ომებს ბოლოს მოუღებდა და სამყაროს შეცვლიდა.

როცა უკვე ძალიან ბევრ ადამიანს მოუნდა მისი მიღება, „ოუზლი" გვერდზე გააჩოჩეს და გაჩნდა ხალხი, ვინც წმინდა LSD-ის განზავებას მიჰყო ხელი. გარდამავალი პერიოდი მაშინ დაიწყო. თუ 1967 წლის იანვარში შეხვიდოდით „უფოში" და ვინმესგან LSD-ს იყიდდით, დიდი შანსი იყო, რომ სუფთა აღმოჩნდებოდა. მაგრამ 1967 წლის ივნისში, თუ „პინკ ფლოიდის" კონცერტზე წახვიდოდით, სადმე ლონდონის გარეუბანში, სადაც ათასობით ადამიანი ირეოდა და ვინმე LSD-ს შემოგთავაზებდათ, დიდი შანსია, რომ ეს უკვე ბევრად განსხვავებული იქნებოდა იმისგან, რისი ყიდვაც იანვარში „უფოში" შეიძლებოდა. შესაბამისად, LSD-ის მიღებით მიღებული სიამოვნებაც იკლებდა – უფრო და უფრო უსიამოვნო და კოშმარის მსგავსი შეგრძნებები გქონდა და მისი მომხმარებელიც უფრო და უფრო აგრესიული გახდა.

თქვენ ოდესმე გაგისინჯავთ?

დიახ.

როგორი იყო?

კარგი იყო. მაგრამ მე ისე ხშირად აღარ ვიღებდი. შესაბამისი კონტაქტები მქონდა და მხოლოდ კარგი ხარისხისას მოვიხმარდი. ზოგი ძალიან ინტენსიურად იღებდა. მაგალითად, სიდ ბარეტი იღებდა ძალიან ბევრს. შეგრძნება დაახლოებით 8 საათი გრძელდებოდა, მაგრამ მე არასოდეს მიფიქრია, რომ ხელახლა მიმეღო – მიჩვევის მომენტი არ გამომმუშავებია. ერთი აბის მიღების მერე, ერთი თვე მაინც მჭირდებოდა, რომ დამესვენა. ყოველ შემთხვევაში, ჩემი ორგანიზმი ასე იყო და სიდ ბარეტი 10 დღის განმავლობაში, ყოველდღე იღებდა, მიყოლებით.

თუ LSD-ს იღებ, ამ დროს პოპმუსიკის სმენა ნამდვილად არ გინდება. გინდა ისეთი რამ მოისმინო, რაც უფრო წარმოსახვითია, უფრო უცნაური, უფრო სივრცითი, უფრო რაღაცნაირად სხვანაირი.

პირველად როგორ შეხვდით „პინკ ფლოიდს"?

პირველად London Free School-ის კონცერტზე ვნახე. London Free School იდეალისტური ორგანიზაცია იყო, რომელსაც მიწისქვეშა რევოლუციების ხალხში გამოტანა უნდოდა, უფრო პოლიტიკური კუთხით, ვიდრე LSD-ის კუთხით – უფრო გონების გახსნის, საზოგადოებრივი თანასწორობის შემოღების მიზნით. პიტერ ჯენერს ვიცნობდი – „პინკ ფლოიდის" პროდიუსერს. ვუთხარი, რომ ამ სკოლის ამბებში მეც ჩართული ვიყავი და ჯგუფის საქმიანობაში ჩართვაც მინდოდა. თან ყველა, ვინც მათ მოუსმინა, ძალიან აქებდა და მირჩევდა, რომ მათთვის აუცილებლად მომესმინა. თან, იმ დროს Elektra Records-იდან წამოვედი და დამოუკიდებელი პროდიუსერი მინდოდა გავმხდარიყავი, პიტერ ჯენერმა კი მითხრა, რომ შემეძლო ჯგუფის სახელით, სტუდიებთან მოლაპარაკება დამეწყო. ასე გავხდი მათი სინგლების: Arnold Lane-ის და Candy and a Currant Bun-ის პროდიუსერი. ასევე ჩავწერეთ Interstellar Overdrive-ის ერთ-ერთი ვერსია, რომელიც ჩემს ფილმშიც ჟღერს. თუმცა, მოგვიანებით, ალბომში, სხვა ვერსია შევიდა.

60-იანი წლების ლონდონში ბევრი საინტერესო მუსიკოსი იყო. თქვენი აზრით, მაინც რამ განაპირობა Pink Floyd-ის ასეთი წარმატება?

იმან, რომ სიდ ბარეტი იყო გენიოსი. მართლა გამორჩეული ფიგურა იყო, შესანიშნავი კომპოზიტორი, სიმღერების ავტორი. უნიკალური. ბევრნაირი მუსიკა იქმნებოდა მაშინ ლონდონში, მაგრამ Pink Floyd ქმნიდა სრულიად განსხვავებულს. იყო მაგალითად, ჯგუფი Soft Machine, კარგები იყვნენ. მაგრამ არა ისეთი მაგრები, როგორიც Pink Floyd.

მაინც მათ რა გამოარჩევდა მათ სხვებისგან?

სიდ ბარეტი. ყველაფერი სიდ ბარეტით დაიწყო. მისი სიმღერები მართლა სრულიად გამორჩეული იყო, საინტერესო, არაჩვეულებრივი. ჯგუფის შემოქმედებაში დიდი ადგილი ეკავა იმპროვიზაციასაც, მაგალითად, სცენაზე გრძელ, 15-წუთიან კომპოზიციებს ასრულებდნენ. მაგრამ თუ თავდაპირველი მელოდია არაა საინტერესო, არც იმპროვიზაცია გამოდის კარგი. ეს კი ყველაფერი სიდისგან მოდიოდა. სხვებიც ძალიან ნიჭიერები იყვნენ, მაგრამ უფრო სიდის ბრწყინვალებას ეხმაურებოდნენ და სწორად პასუხობდნენ, ძირითადი მამოძრავებელი მაინც სიდ ბარეტი იყო.

მაგრამ სიდი ჯგუფში თანდათან უფრო და უფრო უხილავი ხდებოდა... ეს LSD-ის გაუკონტროლებელ მოხმარებას უნდა დავაბრალოთ?

დიახ. რაც დრო გადიოდა, სიდი მით უფრო და უფრო არასანდო ხდებოდა ჯგუფისთვის. ზოგჯერ სცენა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე უმოქმედოდ იდგა, გიტარას არ უკრავდა. და ბოლოს, ეს პრობლემა შეიქმნა.

არის მოსაზრებაც, თითქოს ბიჭებმა სიდი მიატოვეს და თავიანთი კარიერა მის გარეშე გააგრძელეს...

არ ვეთანხმები ამ მოსაზრებას. შეიძლება იფიქრო, რომ ბიჭებს შეეძლოთ სიდი ეიძულებინათ, რომ კლინიკაში წასულიყო და ასე და ისე. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ საუბარია 21 წლის ყმაწვილებზე, რომლებიც სახელის და დიდების ეიფორიაში ეხვეოდნენ, წარმატებულები ხდებოდნენ და ამ დროს, მათი საუკეთესო ნაწილი მათგან მიდიოდა. უფრო სიდმა მიატოვა ისინი, ვიდრე პირიქით. მათ ბევრი რამ გააკეთეს, რომ სიდი დაეტოვებინათ. ერთი პერიოდი, დეივ გილმორიც კი დაიქირავეს, რომ სიდის ნაცვლად ემღერა. გილმორმა სწრაფად შეისწავლა სიდის პარტიები და მის უკან იდგა, რომ როცა გაჩუმდებოდა, მას ემღერა. ასე გრძელდებოდა მთელი ზაფხული, სამი თვე. ზოგჯერ, სიდი რომ აღარ მღეროდა და გაშტერებული იყურებოდა სივრცეში, გილმორი და როჯერი წააშველებდნენ ხმას. იდეა იყო, რომ ყველაფერი ასე გაეგრძელებინათ, სანამ სიდი არ გამომჯობინდებოდა და საკუთარ ადგილს ისევ არ დაიკავებდა. ზოგადად, წარმატებული ჯგუფი რომ იყო, რაღაც დონის პასუხისმგებლობის, პროფესიონალიზმის უნარი უნდა გქონდეს. მაგალითად, როცა ბიჭები სიდს დაურეკავდნენ და ეტყოდნენ, რომ აი, ხვალ 12 საათზე ლივერპულში უნდა წავიდეთო და მანქანით მოაკითხავდნენ, სიდს ან ეძინა ან სახლიდან არ გამოდიოდა. ეს ძალიან არაპროფესიონალური იყო და რაც დრო გადიოდა, ჯგუფს მოუთმენლობა იპყრობდა. როცა მე გავიგე, რომ სიდ ბარეტი დეივ გილმორით უნდა ჩაენაცვლებინათ, ვიფიქრე, რომ „პინკ ფლოიდი“ ჩაიძირებოდა.

ეს ბარეტის ფიგურის და მისი მნიშვნელობის ოდნავი გადაჭარბება ხომ არაა?

არა. ჩემთვის არა და იმ დროს ასე ვფიქრობდი. ახლაც მგონია, რომ Pink Floyd-მა მაშინ მწვერვალები სიდ ბარეტის წყალობით დაიპყრო. რა თქმა უნდა, თვითონ ჯგუფიც საოცრად ადაპტირდა სიდის გარეშე; ფაქტობრივად, ფეფრლისგან აღდგნენ და ისეთი ხარისხის მუსიკა შექმნეს, რომელიც მსმენელს სიდს ახსენებდა და სწორედ ამით გამოირჩეოდა სხვებისგან. მე პირადად, ახლაც კი, თუ Pink Floyd-ის მოსმენას გადავწყვეტ, Piper At the Gate of the Dawn-ს ვუსმენ ხოლმე. სხვა ალბომებიც მომწონს, მაგრამ არ მიყვარს. თუმცა, სხვებს, მილიონობით ადამიანს, არაფერი გაუგიათ სიდ ბარეტის შესახებ. სმენიათ მასზე ლეგენდები, მაგრამ მის მუსიკას არ იცნობენ, მხოლოდ ალბომები: The Wall, Dark Side of the Moon, Saucerful of Secrets იციან. მასებმა მხოლოდ ეს იციან.

როგორ მიიღო მსმენელმა ჯგუფი სიდ ბარეტის გარეშე, სრულიად სხვა გემოვნებისა და ვოკალის მუსიკოსის – როჯერ უოტერსის ჩანაცვლებით?

შეიძლება ითქვას, ჰგავდნენ ერთმანეთს, ახალი Pink Floyd თითქოს ძველის გაგრძელებასავით იყო – რიკ რაიტის ორგანიც იქ იყო. მეორე მომენტი, რამაც ცვლილება ასატანი გახადა, ის იყო, რომ სცენაზე ჯგუფი არ ჩანდა. მუსიკოსები ერთმანეთთან არასოდეს ლაპარაკობდნენ. მათ სახეებს მსმენელი ვერ ხედავდა. სცენა ერთნაირად იყო განათებული და მიუხედავად იმისა, რომ გოგოები სიდზე გიჟდებოდნენ, სცენაზე არც ის იყო გამოკვეთილად ხილული. უფრო ხმა ისმოდა სცენიდან და სიდის ხმა თანდათან როჯერის ხმამ ჩაანაცვლა. ალბომ Piper At the Gate of the Dawn-ის შემდეგ, მათი ალბომები გრძელ ინსტრუმენტულ სოლოებს შეიცავდა, რაც, ერთი მხრივ, სწორი სვლა იყო. იყო გრძელი პარტიები, 15 წუთის განმავლობაში მხოლოდ ინსტრუმენტი უკრავდა და არავინ მღეროდა. ისმოდა დეივ გილმორის გიტარის ხმა, რომელიც, რაღაც მოსაზრებით, ნაზად ეფონებოდა გულს. ეს არ იყო ის შემთხვევა, რაც მოხდებოდა, მაგალითად, „როლინგ სთოუნზიდან“ მიკ ჯაგერი რომ წასულიყო – „სთოუნზები“ მიკ ჯაგერის იმიჯზე იყო აგებული. ამგვარად, განათება სწორედ ჯაგერისკენ იყო მიმართული. Pink Floyd-ების შემთხვევაში, განათება არავისკენ არ იყო მიმართული. თითქოს ვერც ვერავინ ხედავდა, ვინ იყო სცენაზე. თავიდან, სიდის წასვლა ვერც კი შეამჩნიეს.

„უფოში“ LSD-ის შემოდინება ასეთი უკონტროლო იყო?

მგონია, რომ მუსიკის გარშემო ატმოსფერო ძალიან იცვლებოდა. ორი რამის კომბინაცია იყო: ვიცნობდი ხალხს, ვინც LSD-ს 1963 წლიდან, 1967 წლამდე იღებდა. ძირითადად იმ კატეგორიის ხალხი იყო, ვინც იაპონიაში, ბუდისტურ მონასტერში წავიდოდა, არტურ კესტლერს კითხულობდა, ვეგეტარიანულ საკვებს მიირთმევდა, ლიტერატურას სწავლობდა, მუზეუმებში დადიოდა, შოპენს და რავი შანკარს უსმენდა და მსგავსი რამეებით იყო დაკავებული – ეს ყველაფერი LSD-ით ტკბობასთან, შინაარსობრივად ახლოს მოდის. როცა LSD-ს იღებ, სიამოვნებას და სილამაზეს ეძებ. ასე რომ, 1967 წლის გაზაფხულამდე და მისი ჩათვლით, LSD-ის მიღება უფრო ელიტური საქმიანობა იყო. LSD-ს იღებდა ხალხი, ვინც იყო ნაკითხი, გონებაგახსნილი, ცნობისმოყვარე, ეძებდა სილამაზეს და კულტურას და ამით, საკუთარ თავს გარკვეულ გამოწვევას სთავაზობდა. ყველაფერი 1967 წლის ზაფხულში შეიცვალა: LSD იმდენად განზავებული იყო, რომ სიამოვნების მინიჭების ნაცვლად, გაქვავებდა. ბევრი ადამიანი იღებდა მას – მათ შორის, მუშათა კლასის ის ნაწილი, რომელმაც არ იცოდა, ვინაა შოპენი და არასოდეს არაფერი გაეგო რავი შანკარზე. ყველაფერი, რაც გაეგოთ, იყო Pink Floyd.

საზოგადოების ეს ნაწილი რატომ იღებდა LSD-ს?

იმიტომ, რომ მოდაში იყო. იმიტომ, რომ ვიღაცამ თქვა: „LSD გონებას ანათებს“. ასე მოგზაურობდა LSD სხვადასხვა სოციალურ ფენებში და აღარც სუფთა იყო. შესაბამისად, გაიაფდა. კაპიტალიზმის წესია: თუ ენთუზიასტი ოუზლი 25 დოლარად

მოწევა კლავს
მოწევა იწვევს კანის
ნაადრევ დაბერებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყიდდა სუფთა LSD-ს, გამოჩნდა კრიმინალი, რომელმაც ხალხს 15 დოლარად შესთავაზა. უკვე აღარავის აინტერესებდა, რომ ეს ის LSD არ იყო – ძვირადღირებული ინგრედიენტები ამოღებული იყო და იაფფასიანი მასალით ჩანაცვლდა. მთავარია, ხალხი კაიფს იჭერდა. ასე, თანდათან, დეგრადირდა ეს პროცესი და უფრო კომერციული და ნაკლებად საინტერესო გახდა.

სიმართლე გითხრათ, არასოდეს მქონდა აკვიატება ფსიქოდელიურ მუსიკაზე. მომწონდა Pink Floyd, მომწონდა სიდ ბარეტი. მომწონდა კარგი მუსიკა და ხშირად, ეს არ გულისხმობდა მაინცდამაინც ფსიქოდელიურს. სწორედ ამიტომ, როცა „უფო-კლუბს" ფინანსური კრიზისი დაეწყო, დავხურე კიდეც – დასაკარგი ფული არ მქონდა.

თქვენი დეფინიციით, რა არის ფსიქოდელიური მუსიკა?

ხალხისთვის ფსიქოდელიური მუსიკა პირდაპირ Pink Floyd-თან ასოცირდება. ჩემთვის ფსიქოდელიური მუსიკა ისაა, რაც გონებას გიფართოვებს, წარმოსახვაში გამოგზაურებს, ძალიან სივრცულია. ინდური მუსიკაც ფსიქოდელიურია, ჩემი აზრით. არსებობს სხვა მუსიკაც, რომელიც ლუდთან და ჰოთდოგთან წავა. ხო გესმით, რისი თქმაც მინდა – ტერმინი „ფსიქოდელიური მუსიკა" ტექნიკური შინაარსის ნამდვილად არაა.

მოდით, ავიღოთ ყველაფერი ერთად: „უფო-კლუბი", მუსიკა, რომელიც ჯიმი ჰენდრიქსმა, „პინკ ფლოიდმა" და სხვებმა მოიტანეს მაშინ: რა ცვლილება გამოიწვია ამან და რა მიმართულებით?

მაგ კითხვაზე ორი პასუხი არსებობს: ერთია: კი, გამოიწვია ცვლილება, მაგრამ არც ისე დადებითი მიმართულებით. იმიტომ, რომ უკიდეგანო, უკონტროლო თავისუფლება მოიტანა, საზოგადოებრივი სტრუქტურის გარეშე. ამის ყველაზე გამოხატული სიმბოლო სან-ფრანცისკო იყო, რომელიც მაგნიტივით იზიდავდა ამერიკელ ახალგაზრდებს. ეს ახალგაზრდები, ძირითადად, მუშათა კლასის ოჯახებიდან იყვნენ. უფასო სექსს, სიყვარულს, წამალს და ასეთ თავისუფლებას ეძებდნენ. საღამოს სახლში მკაცრი დედა ელოდათ, რომელიც ეუბნებოდა, რომ 10 საათზე სახლში უნდა ყოფილიყვნენ. მალე ეს ყველაფერი უკიდეგანო თავისუფლების კოშმარს დაემსგავსა, იმიტომ, რომ ხალხი დაავადდა, სხვებზე ძალადობა დაიწყო, წამალზე შეჯდა, ცუდი ცხოვრებით დაიწყო ცხოვრება. მე მგონია, რომ ვინც განათლებული იყო, არა ყველა შემთხვევაში, მაგრამ მაინც, მოვიდნენ სან-ფრანცისკოში, გამოცდილება მიიღეს და იქაურობას გაერიდნენ. დარჩენითკი დარჩნენ პატარა ქალაქებიდან ჩამოსულები, რომელთაც კულტურული ბექგრაუნდი არ ჰქონდათ, ოჯახებში სექსუალური თუ სხვა სახის ძალადობის მსხვრპლები იყვნენ და წასასვლელი არსად ჰქონდათ. მერე იყო „ვუდსტოკი". ვუდსტოკი კარგი იყო მხოლოდ პირველი 24 საათის განმავლობაში. შემდეგ ისიც საშინელ კოშმარს დაემსგავსა, ანარქია გამოიწვია და ძალადობისა და დეგრადაციისკენ წაიყვანა ხალხის ნაწილი.

მაგრამ... არსებობს დიდი მაგრამ.

მგონია, რომ მას შემდეგ, რაც ყველაფერი დაწყნარდა და დამშვიდდა, 10 წლის შემდეგ, მივიღეთ ... დოება, რომელიც უფრო შემწყნარებელი იყო სექსის მიმართ, უფრო ლიბერალური ნარკოტიკებისა თუ ჰალუცინოგენების მიმართ, და მიმღები კანის ფერისა და რასის მიმართ. ყველაზე დიდი სიამოვნება კი, რასაც ახლა განვიცდი და რაც იმ დროისგან დამრჩა, ისაა, რომ თუ სადმე ვახსენებ ლონდონის 60-იან წლებს პოლიტიკურ კონტექსტში, მემარჯვენე ფრთის პოლიტიკოსები ძალიან ღიზიანდებიან. აი, მაშინ ვხვდები, რომ რაღაც მაგარი გაგვიკეთებია.

1980 წელს, Hannibal Records-ი დააარსეთ, რომელმაც პირველად იმუშავა ახალ ჟანრთან World music. რას ნიშნავდა ეს და რა კუთხით განავითარეთ მუსიკა?

1980 წლის ერთ მშვენიერ დღეს, მუსიკალური პროდიუსერები დავსხედით ჩვენს პრობლემებზე სალაპარაკოდ. ზოგი ჩვენგანი კუბურ მუსიკას უწევდა პროდიუსინგს, ზოგი – აფრიკულს, ზოგი – ინდურს და ყველას გვქონდა პრობლემა, მათ შორის, მეც. იმიტომ, რომ სად უნდა დაედოთ გამყიდველ ჯიხურებს ეს მუსიკა, რა განყოფილებაში? კატეგორია ცალკე არ არსებობდა. იყო ასეთი კატეგორიები: „ეთნიკური", ან „საერთაშორისო" ან „საერთაშორისო ფოლკი" და მსგავსი რამეები, მაგრამ მიმზიდველი, sexy სათაური არცერთი არ იყო. ასე რომ, ჩვენ იმისთვის კი არ შევხვედრივართ, რომ მუსიკაში ახალი ჟანრი გამოგვეგონებინდა, არამედ ახალ კატეგორიაზე შევჯერებულიყავით, რომელიც შედარებით ეგზოტიკური, უცნობი და საინტერესო მუსიკის სწორი კატეგორიის შერჩევასა და გაყიდვაში დაგვეხმარებოდა. ეს მუსიკა კი, ასე თუ ისე, ამა თუ იმ კულტურიდან გამოსული, „სუფთა" მუსიკა იყო.

World music კატეგორიაში გაგვყავდა ყველაფერი, რომელიც არ იყო ანგლო-ამერიკული. არაკლასიკური მუსიკის 98 პროცენტი, რასაც მაშინ ჯიხურები

რაც დრო გადიოდა, სიდი მით უფრო და უფრო არასანდო ხდებოდა ჯგუფისთვის. ზოგჯერ სცენაზე უმოქმედოდ იდგა, გიტარას არ უკრავდა. და ბოლოს, ეს პრობლემა შეიქმნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყიდდა, ანგლო-ამერიკული პოპმუსიკა იყო. მოვიფიქრეთ პატარა კატეგორია ისეთი მუსიკისთვის, რომელიც არ შედიოდა ამ კატეგორიაში: ეს იყო არაინგლისურენოვანი მუსიკა. მაგალითად, უნგრული ჯგუფი, რომელიც ინგლისურად მღეროდა და Pink Floyd-ს ბაძავდა, ჩვენთვის არ იყო საინტერესო, უნგრულადაც რომ ემღერათ. ჩვენ მათით მხოლოდ მაშინ დავინტერესდებოდით, თუ ისინი უნგრულ ტრადიციულ მუსიკას იმღერებდნენ.

გამოდის, საკმაოდ ვიწრო აუდიტორიაზე გათვალეთ ეს ყველაფერი?

თავიდანვე ვიცოდით, რომ დიდად კომერციული პროექტი არ იყო. მაგრამ ისევე, როგორც ჯაზსა და ფოლკს თავისი მცირე აუდიტორია ჰყავს, ამ სახის აუდიტორიაზე გავთვალეთ. აუდიტორია კი თანდათან იზრდებოდა. Buena Vista Social Club-მა მილიონი დისკი გაყიდა, Caesarea Evora-მ – სამი მილიონი. ეს ყველაზე დიდი მაჩვენებელი იყო. რევოლუცია რაკეტას ჰგავს: ჯერ ნელა ფიფქობ და მერე დაბლა ეშვება. რაღაც მოსაზრებით, ეს მუსიკა, რომლისთვისაც ახალი კატეგორია შევქმენით, გუშინ და დღეს არ დაწყებულა: თითოეულ კულტურაში მას თავისი ისტორია ჰქოდა. მაგალითად, ვიღაცა კონგოურ მუსიკას 1980 წელს აღმოაჩენს, მაგრამ ამ მუსიკას რეალურად, უფრო დიდი ხნის ისტორია აქვს: ფრანკოს ხმის ჩანაწერები 20 წლის წინანდელია (თუ ათვლის სათავედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

1980 წელს ავიღებთ). ასე თანდათან, რაღაცები გარეთ გამოვიტანეთ. გამოვააშკარავეთ.

თქვენ ახსენეთ, რომ ტექნოლოგიური განვითარება თანამედროვე მუსიკის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. რა იგულისხმეთ?

ვიცნობ ხალხს, რომელსაც სხვადასხვანაირი სახის მუსიკა მოსწონს. კომპიუტერში, სიქვენსებად აწყობილ მუსიკას, შესაძლოა, მოვუსმინო, მაგრამ ჩემს ტვინში არ აღწევს ისე, როგორც სხვა სახის მუსიკა. საინტერესოა, მაგრამ მუსიკა არაა. მუსიკა ჩემთვის ისაა, სადაც ერთად შეკრებილი ხალხი, ერთად ასრულებს. ერთად სუნთქავს. ერთად მოძრაობს...

რა არის მუსიკის მომავალი? თანამედროვეობაში რა მოგწონთ?

ზოგიერთი ახალგაზრდა მუსიკოსი ძალიან საინტერესოა. ძალიან მომწონს ემი უაინჰაუზი. ზოგადად კი, მგონია, მუსიკის ბიზნესი ოდესმ კრიზისშია, რომ რამე ახალი აუცილებლად გაჩნდება. ძვრა დაიწყება. მაგრამ ჩემთვის ყველაზე დიდი პრობლემა ხალხის გემოვნებაშია: აიპოდში, MP3 ხარისხით მუსიკის მოსმენა არასოდესაა კარგი ხარისხი. მანამდე, ხალხი ჩანაწერებს ყიდულობდა და თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა. დღეს ერთი აიპოდი გაქვს, ხვალ – მეორე. ერთს ადვილად ანაცვლებ მეორით. მუსიკა ხალხისთვის ისეთივე ღირებული აღარაა, როგორც 60-ებში იყო.

ახალი ერა დადგა...

ცხადია. ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, უბრალოდ, ჩემი აზრი გამოვხატე. ხალხს მუსიკა მოსწონს, ჯერ კიდევ უსმენს, მაგრამ მუსიკას მათთვის ისეთივე მნიშვნელობა არ აქვს, როგორც 60-იანებში. მაშინ მუსიკა ხალხისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო: 1967 წელს მთელმა ინგლისმა, ან მოსახლეობის 91 პროცენტმა, Sergeant Pepper-ის ტექსტი ზეპირად იცოდა. მუსიკა ყველგან იყო – ყველა ფენაში. ახლა უფრო ტექნოა, საუკუნის მთელი რიგი ინოვაციები, ყველაფერი დანაწევრებულია, ამიტომ, არ მგონია, ახლა ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდეს მუსიკას, როგორც მაშინ. ბათუმში, ქართველი ახალგაზრდა მუსიკოსების მოსასმენად წამიყვანა იქაურმა მეგობარმა. ქართველი მუსიკოსები ინგლისურად მღეროდნენ. კარგები იყვნენ, მაგრამ ცოტა მეხამუშა, რომ ქართული მუსიკის ახლებურად წარმოჩენას არ ცდილობდნენ.

ვინ იცის, მომავალში რა მოხდება. აქაც სიდ ბარეტი მახსენდება: ცვლილება საზოგადოებიდან, ისტორიული ძალებიდან ნაკლებად მოდის. ის უფრო ისეთი ინდივიდებისგან მოდის, როგორებიც იყვნენ ბობ დილანი, ჯონ ლენონი. ჩვენ არ ვიცით, რომელი საზოგადოებიდან წამოვა ეს ინდივიდი, როგორ ჩაწერს მუსიკას. მაგრამ ის უდავოდ გამორჩეული იქნება. ისეთი, რომ ყველა იტყვის მასზე: „ვაუ, რა მაგარია! საიდანაა ეს ტიპი?“ და მერე ყველა მისი მიმართულებით წავა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის ქალაქგანვითარების გამოწვევები

ავტორი: ზურაბ ბაქრაძე, ქალაქთმგეგმარებელი
ფოტო: მაკა გოგალაძე, ზურაბ ბაქრაძე

1. თბილისის ქალაქგანვითარების პოსტსაბჭოური სურათი, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის სიმპტომური პანორამა

თბილისის ქალაქგანვითარებაში აღიბეჭდება იმპულსები, რომლითაც იგი, როგორც სოციუმი, ცხოვრობს. ის, თუ რა ამოძრავებთ მის მოქალაქეებს, როგორ უყურებენ ისინი სამყაროს და მის ფასეულობებს, შესაბამისად, რა მოტივები უდევთ საფუძვლად მათ ქმედებებსა და მისწრაფებებს, განსაზღვრავს არა მარტო ქალაქის სახეს და მის იერს, არამედ ქმნის გამოყენებათა კომპლექსებსაც თავისი სოციალური ურთიერთობებით და ამდენად ამ იერსახესთან ერთად წარმოშობს ერთგვარ ქალაქურ ატმოსფეროს. თავის მხრივ მოქალაქეთა მთელი ლოკალური საარსებო გარემო, თავისი ფუნქციური, სოციალური და სივრცით-ესთეტური სტრუქტურებით, რომელსაც ეს ატმოსფერო გამსჭვალავს, ზემოქმედებს მათ ცხოვრებაზე, გარკვეულწილად აყალიბებს და ელფერს აძლევს, გამაჯანსაღებლად მოქმედებს მასზე, ან აავადებს მას. ეს უკუქმედება მიუთითებს შიდასაქალაქო სივრცეებზე ზრუნვის დიდ სოციალურ მნიშვნელობაზე. ჩვენ გვინდა გვქონდეს ჯანსაღი და ლამაზი ქალაქი, რათა ჩვენ, როგორც საზოგადოება, უკეთესი გავხდეთ.

ამ მნიშვნელობის გაცნობიერება გვიბიძგებს ჩავწვდეთ ჩვენი ქალაქის სახის იმ დეფორმაციათა მიზეზებს, რომლებიც ხელს გვიშლიან გავხდეთ უკეთესნი. ეს სახე კი, როგორც უკვე ვთქვი, ჩვენივე პროდუქტია და ამდენად მისი დეფორმაციების მიზეზებიც ჩვენს საზოგადოებაშია საძებნი. ამის გამო აქ შევეცდები გამოვყო თბილისის სახის სიმპტომური დეფორმაციები, რომელთა უკან, ჩემი აზრით, საზოგადოებრივი დაავადებები დგანან.

ორიენტაცია წარსულზე

დღევანდელი თბილისის არქიტექტურულ სახეში განსაკუთრებით თვალში საცემია წარსული. აქ ლაპარაკია არა შემოქმედებით პროცესში წარსულის ფორმების, როგორც თემატური მასალის პოსტმოდერნისტულ ხმარებაზე, არამედ სრულიად ტრივიალურ მიბაძვაზე. არქიტექტორთა მუშაობაში შემოქმედებითი იმპულსების აღმძრავი სამომავლო ხედვები ხან ტექნოკრატიული და ხან ფსევდორომანტიკული წარსულის მზა ხატებით ნაცვლდება. ერთი მხრივ საბჭოური „კორპუსის“, როგორც ცხოვრების მანქანის, საცხოვრებლის ერთადერთ ფორმად შენარჩუნებამ და მეორე მხრივ – შუასაუკუნეებრივ-საკრალური, ხალხური, ან კლასიციზმის არქიტექტურული ფორმების მიბაძვამ თითქმის მთელი სამშენებლო საქმიანობა მოიცვა (თუმცა გაჩნდა მათი სინთეზიც – „ნეოსტალინისტური კორპუსი“).

მოქალაქეთა უმრავლესობას ეს მოსწონს და ამდენად საქმე საზოგადოებრივ მოვლენასთან, ერთგვარ სიმპტომთან გვაქვს, რომლის უკან სოციუმისთვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი თვისება, წარსულზე ორიენტაცია უნდა იკვეთებოდეს.

მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით ეს მოვლენა მომავლის არასუბსტანციურობის, მისი ონტოლოგიური არარსებობის რწმენას ეყრდნობა და მატერიალიზმის დამკვიდრებას უკავშირდება. თანამედროვე „მომხმარებლისთვის“ მომავალი არ არსებობს. იგი მხოლოდ სიტყვაა, რომელიც რაღაც ისეთ არარეალურს აღნიშნავს, რომელიც რეალობა გახდება მაშინ, როცა გარკვეული ხდომილებების შემდეგ წარსულად იქცევა. წარსული კი, მისი აზრით, სრულიად რეალურია, რადგან მისი არსებობა გრძნობადი აღქმებისთვის ხელმისაწვდომი ნივთიერი გარემოთი დასტურდება. მე მწამს **მხოლოდ** იმის არსებობა, რასაც გარეგნული გრძნობებით აღვიქვამ – ამბობს იგი – ის შეიქმნა წარსულში, გარკვეული ხდომილებების შედეგად და ამდენად ადასტურებს ამ ხდომილებების, და საერთოდ წარსულის, რეალობას. გასაგებია, რომ ჩვენი „მომხმარებელი“ ასეთ რამეს მომავალზე ვერ ამბობს, რადგან მას ამისთვის მომავლის რეალობის დამადასტურებელი „ნივთიერი მტკიცებულებები“ აკლია. თანმიმდევრული რომ იყოს, იგი აღიარებდა, რომ მისთვის აწმყოც არ არსებობს, რამდენადაც **ყველაფერი,** რაც მის გარშემოა, რაც მას რეალობად მიაჩნია, ესე იგი, განხორციელებული ნივთობრიობა, უკვე არსებობს, ანუ წარსულის პროდუქტია და ამდენად წარსულის რეპრეზენტანტი. ასეთი რწმენით გამსჭვალულ ადამიანს ბუნებრივად უყალიბდება მომავლისადმი ერთგვარი არაცნობიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი უნდობლობა და, ასევე არაცნობიერად, წარსულზე ხდება ორიენტირებული. ამის გამო მას შემოქმედებითი იმპულსები მნიშვნელოვნად უსუსტდება და ამით ერთგვარ „მომხმარებელ ადამიანად“ იქცევა.

თუმცა ამ ზოგადსაკაცობრიო მატერიალისტურ დაავადებას ჩვენში სხვა განსაცდელებიც დაემატა. პირველი მათგანია ერთგვარი შინაგანი პოლიტიკური წნეხის ქვეშ მოქმედი ქართული ისტორიოგრაფიის თვისება, განადიდოს საქართველოს წარსული. ეს მოვლენა XIX საუკუნეში, ნაციონალიზმის დაბადების ეპოქაში გაჩნდა და მიზნად ისახავდა საერთოქართული ეროვნული ცნობიერების დანერგვას მაშინ გავრცელებული კუთხური მენტალობის საპირისპიროდ. შეიქმნა „მითები“ ერთიანი საქართველოს უძველესობის შესახებ, იმის შესახებ, რომ მხოლოდ მონოლითური, ცენტრალიზებული და დამოუკიდებელი საქართველო შეიძლება იყოს კარგი ქვეყანა. ასეთი კი, ის ოდესღაც, წარსულში იყო და ამის აღდგენა არის უპირველესი სამოქალაქო მოვალეობა, ანუ ჩვენი მიზანია ის, რაც ოდესღაც, წარსულში, უკვე არსებობდა. გავრცელებული სლოგანი, „წინ, დავით აღმაშენებლისკენ“ კარგად გამოხატავს იმ განწყობას, რომლითაც გამსჭვალულია საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოები ათწლეულების მანძილზე.

მეორეა მართლმადიდებლური თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც გარკვეული რეგიონისა და გარკვეული დროის წარსულია ერთადერთი ნამდვილი ფასეულობა. ეს პერიოდი, რომელიც საუკუნეების მიღმაა, ქმნის ერთგვარ მორალურ და ესთეტურ ნორმას, რომელსაც დღეს უნდა ემორჩილებოდეს ყველა, ვისაც სულის გადარჩენა უნდა. არა მარტო კაცობრიობის დიდი სოციალური იდეალები – თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა – არამედ თითქმის ყველა საკაცობრიო ფასეულობაც, რომელიც ამ რეგიონისა და დროის ფარგლებს სცილდება, უფასურია – უფრო მეტიც – დამღუპველიცაა, როგორც ცდუნებების შემცველი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეკლესია, რომელიც ამ თვალსაზრისს ნერგავს, თბილისელთა დიდი უმრავლესობისთვის უმაღლესი და უპირობო ავტორიტეტია, გასაგები გახდება ის სამმაგი წნეხი, რომელიც ადამიანთა გულისყურს ცალსახად წარსულისკენ მიაპყრობს.

თანამედროვე „მომხმარებლისთვის“ მომავალი არ არსებობს. იგი მხოლოდ სიტყვაა, რომელიც რაღაც ისეთ არარეალურს აღნიშნავს, რომელიც რეალობა გახდება მაშინ, როცა გარკვეული ხდომილებების შემდეგ წარსულად იქცევა.

ასეთი საზოგადოებრივი ატმოსფეროს პირობებში საკუთრივ ადამიანურ მისწრაფებას, იყოს შემოქმედი, ესე იგი ქმნიდეს სრულიად ახალს, ჯერ არარსებულს, ძალიან გაუჭირდება ფრთების გაშლა. ამის დასტურია ის შემოქმედებითი სიმწირე და უსუსურება, რომელიც თბილისის უმეტეს „ახალძველ“ ეკლესიებში, „ძველთბილისურ“ ახალ მშენებლობებში, XXI საუკუნის „ნეოკლასიციზმსა“ და „ნეოსტალინიზმში“ გამოსჭვივის.

სამეურნეო ნეოლიბერალიზმი

წინა ხელისუფლების ამ აღიარებული სამეურნეო კურსის იდეოლოგია ძირითადად ტყუილს ეყრდნობა, რომლის მიხედვითაც დაურეგულირებელი, ანუ თავისუფალი ბაზარი ამ კურსის მთავარი მამოძრავებელი ძალაა. მისი იდეოლოგები თავისუფლების ხიბლს ეფარებიან და მალავენ იმ აშკარა ფაქტს, რომ დაურეგულირებელი ბაზარი არათუ მათი მმართველობისას, საერთოდ არასდროს არსებულა. საზოგადოებები ყოველთვის და ყველგან განიხილავდნენ ბაზარს, როგორც თავისი სოციალური ორგანიზმის ერთ ნაწილს, და ამდენად ავრცელებდნენ მასზე ამ ორგანიზმისთვის დამახასიათებელ რეგულაციებს. საკითხი შეეხება არა იმას, რეგულირებულია თუ არა ბაზარი, არამედ იმას, როგორაა ის რეგულირებული. მაგალითად, თუ საზოგადოება მისი წევრების საყოველთაო კეთილდღეობაზე ზრუნავს, რეგულაციები მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ შემთხვევისგან, როცა პირადი ანგარება საზოგადოების უმაღლეს პრინციპად არის აღიარებული.

ამ უკანასკნელს საქართველოში საკმაოდ ძლიერი ფესვები აღმოაჩნდა. ამან შესაბამისი იდეოლოგიის წარმატებული გავრცელება განაპირობა და საშუალება მისცა წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს შეექმნათ პირად ანგარებაზე ორიენტირებული, პროტექციონისტული სამეურნეო წესრიგი, რომელმაც სახალხო მეურნეობის ფასეულობათა ძალაუფლებაზე დამყარებული (და ამდენად მოთხოვნილებებთან სრულიად შეუსაბამო) გადანაწილება გამოიწვია. ამ მოვლენის კატასტროფული შედეგების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა და ამიტომ აქ მხოლოდ იმათ შევეხები, რომლებმაც თბილისელთა საარსებო სივრცეზე უშუალო გავლენა იქონიეს.

რადგან თბილისის მშენებლობაში სახელმწიფო რეგულაციები, საზოგადოებრივი ინტერესების საპირისპიროდ, პირადი ანგარების ხელშემწყობია, ამ უკანასკნელზე ორიენტირებული მენაშენეები და ბინათმესაკუთრეები წარმატებით აღწევენ მშენებლობიდან მაქსიმალური ერთჯერადი სარგებლის გამოდნობას. ეს კი მხოლოდ გარემოს ყოველმხრივი დამახინჯების ხარჯზე მიიღწევა, რომელიც ან საზოგადოებრივი სივრცეა, ან არსებული მეზობლისა, ან მომავალი მეზობლის და ამიტომ მათზე ზრუნვა, ამ იდეოლოგიის თანახმად, სრულიად ზედმეტია. ამ საყოველთაო პრინციპის რანგში აყვანილი ეგოიზმის გავრცელებისა და სამართლებრივი ლეგიტიმაციის წყალობით თბილისში მშენებლობას სრული წინდაუხედაობა და უკანმოუხედაობა ახასიათებს. თბილისის ახალშენების

ეროვნული ბიბლიოთეკა







1. საბჭოური „კორპუსის“ პოსტსაბჭოური „გადამღერება“
2. საცხოვრებელი „კორპუსი“, როგორც საბჭოურ წარსულთან მიჯაჭვულობა
3. შუასაუკუნეების საკრალური არქიტექტურის მიბაძვა – „სამების ტაძარი“
4. საამაყო წარსულის კლასიციზმით „გაცოცხლება“
5. პრუსიული მილიტარისტული კლასიციზმი თბილისში
6. პროვინციული „რომანტიკა“
7. ნეოსტალინისტური „კორპუსი“
8. სტალინიზმის მონატრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახე საოცარი ხატოვანებით ასახავს მშენებლობაში მოქმედ დაკანონებულ უგუნურებას, რისი მონაწილენიც ხელისუფალთა გარდა არახელისუფალი მოქალაქეებიც არიან.

ამ უგუნურებას ძირითადად საზოგადოებრივი სივრცეები, ესე იგი ქუჩები, მოედნები და გამწვანებული ტერიტორიები ეწირებიან. პირადი ანგარების პრინციპზე ორიენტირებული მოქალაქეები (როგორც ხელისუფალნი, ასევე „რიგითნი"), სრულიად ბუნებრივად, არ ზრუნავენ ამ სივრცეების ფასეულობათა შენარჩუნება-განვითარებაზე. უფრო მეტიც, კერძო პირებისგან საზოგადოებრივი სივრცეების ლეგალური მიტაცება, რომელსაც პრივატიზაცია ჰქვია, ყოველდღიურობად იქცა. არადა, ქალაქი თავისი საზოგადოებრივი სივრცეებით ფასობს და ამ ფასეულობების შელახვა ყველა მოქალაქის, მათ შორის მიმტაცებელთა ცხოვრების ხარისხს ადაბლებს. ამის ცნობიერება კი საზოგადოებაში ჯერ საბჭოურმა ფსევდოსოციალიზმმა, ხოლო შემდეგ პოსტსაბჭოურმა სამეურნეო ნეოლიბერალიზმმა სხვადასხვა მეთოდებით ამოძირკვეს. შედეგად სახეზეა საზოგადოებრივი სივრცეებისადმი სრული უპასუხისმგებლობა და მათი მიტაცების დაკანონებული პრაქტიკა.

დიდი ქალაქი ექსტრემალურად კულტურული წარმონაქმნია იმ გაგებით, რომ მასში ადამიანის ნებიდან გამომდინარე პროცესები განუზომლად სჭარბობს ბუნებრივ პროცესებს. მისი ცხოვრება, მეტ-ნაკლებად ხელუხლები ბუნებისგან განსხვავებით, მუდმივ, ყოველმხრივ გამოფიტვაზეა ორიენტირებული და შესაბამისად, მუდმივ, ყოველმხრივ შევსებას საჭიროებს. მას არ ახასიათებს თავისთავადი აღდგენითი პროცესები და ამიტომ ეს ნაკლი ადამიანის გააზრებული ღონისძიებებითაა დასაძლევი. ამ უკანასკნელთაგან უმნიშვნელოვანესი, ქალაქის უწყვეტი გამწვანებული სისტემების შექმნა, მოვლა და განვითარებაა, რადგან ისინი ბუნებრივი რეგენერაციული პროცესებით, გამოფიტვითი პროცესების მნიშვნელოვან საპირწონეს ქმნიან. ამით ისინი მოქალაქეთა ფიზიოლოგიურ და

საყოველთაო პრინციპის რანგში აყვანილი ეგოიზმის გავრცელებისა და სამართლებრივი ლეგიტიმაციის წყალობით თბილისში მშენებლობას სრული წინდაუხედაობა და უკანმოუხედაობა ახასიათებს.

ფსიქიკურ რეგენერაციას მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს.

სამწუხაროდ, თბილისელთათვის ეს არგუმენტი დამაჯერებელი არ არის. იმის გამო, რომ გამწვანებული ტერიტორიები საზოგადოებრივ სივრცეთა, ესე იგი ჩვენი გაგებით უპატრონო ტერიტორიათა, საქალაქო სისტემას ეკუთვნიან და ამავე დროს მათი ნაწილების მითვისება ყოველდღიური ცხოვრების თვალში საცემ შეფერხებას არ იწვევს, თბილისში კერძო მესაკუთრეთა ზემოთ აღწერილი ექპანსია პირველ რიგში, და განსაკუთრებით დიდი მასშტაბით, მათ შეეხოთ. გამწვანებული საზოგადოებრივი ტერიტორიების პრივატიზება, იქ ნარგავების ჩეხვა და მათ ადგილას მშენებლობა ყოველდღიურ პრაქტიკად იქცა, რისი იდეოლოგიური საფუძველიც საზოგადოებრივი საკუთრების კერძოთი ჩანაცვლების ნეოლიბერალთა „წმინდათაწმინდა" დოგმაა.

ავტორიტარიზმი

ხელისუფალთა თვითნებობა, როგორც ავტორიტარიზმის ერთ-ერთი გამოვლინება, თბილისში განხორციელებულმა ბოლო წლების მშენებლობებმა აშკარად გამოაჩინა. ეგრეთწოდებული „სამების ტაძარი", რიყის „კომპლექსი" თავისი საქვეითო ხიდით, საბაგირო გზითა და „ფუქსასის მილებით", იუსტიციის სახლი, პოლიციის გამჭვირვალე შენობები, გმირთა მოედნის „აბლაბუდა" და კიდევ ბევრი სხვა ამის საუკეთესო მაგალითებია. ყველა თბილისელმა იცის, რომ ამ ნაგებობათა მშენებლობა ძალაუფლებამოხვეჭილთა პირადი გადაწყვეტილებების შედეგია. თავისთავად ის ფაქტი, რომ ხელისუფალთ მეტად ხელეწიფებათ თავიანთი ფართომასშტაბიანი გადაწყვეტილებების რეალიზება, ვიდრე „რიგით" მოქალაქეებს, წარმოშობს ილუზიას, თითქოს ავტორიტარული ხასიათი მხოლოდ მათ ახასიათებდეთ. სინამდვილეში, არახელისუფალ მოქალაქეთა ჩვენში გავრცელებული მიდრეკილება, თავიანთი შედარებით მოკრძალებული გადაწყვეტილებების განსახორციელებლად ხელისუფალთა მფარველი ფრთის ქვეშ მოიპოვონ ადგილი, ისევე ავტორიტარულია, როგორც თვითნებური მმართველობისადმი მიდრეკილება. ავტორიტარიზმი პირველ რიგში საზოგადოების მენტალური პრობლემაა და მხოლოდ ამის საფუძველზე – მმართველობითი. ის ფაქტი, რომ ვერეს ხეობაში ავტომაგისტრალის გაყვანას, „ფუქსასის მილების" მშენებლობას ან „იმელის" ნგრევას 50-ზე მეტი ადამიანი არ აპროტესტებს, ისევე ეწერება ავტორიტარიზმის სურათში, როგორც ამ ღონისძიებათა გადაწყვეტილებების თვითნებური ერთპიროვნულობა. ავტორიტარიზმის სურათში ეწერება მოქალაქის რწმენაც, რომ ქალაქში ყველაფერზე ხელისუფალია პასუხისმგებელი, თვითონ კი – არაფერზე. უთავბოლო მიშენებებითა და დაშენებებით, უნებართვოდ აშენებული გარაჟებით დამახინჯებული ქალაქი ამის კარგი მაგალითია.

საკუთარი საარსებო გარემოსადმი გამოუფხიზლებლობა

საკუთარი საარსებო გარემოსადმი უპასუხისმგებლობას, ზემოთ აღნიშნულის გარდა, ის მიზეზიც აქვს, რომ ადამიანები ამ გარემოს გულის კარს ვერ უღებენ. ისინი თითქოს მთვარეულებივით დადიან მათ ლოკალურ სამშობლოში – უბანში ან ქალაქში – და ვერ ახერხებენ შემოუშვან თავიანთ ცნობიერებაში ამ სამშობლოს კონკრეტული, რეალური ფასეულობე-

9. ნეოლიბერალური წინდაუხედაობისა და უკანმოუხედაობის სივრცული სახე

10. მენაშენეს სწრაფი მოგების წყარო – თანამედროვე საცხოვრებელი „ჯურღმული“

11. საფეხმავლო ტროტუარის, როგორც საზოგადოებრივი სივრცის მიტაცება კერძო მეწარმისგან

12. კერძო ექსპანსია საზოგადოებრივ სივრცეში

13. მოქალაქეთათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი სივრცის ლეგალური მიტაცება სოლოლაკის ქედზე

14. კუს ტბის ფერდობის მწვანე მასივში ჩადგმული საცხოვრებელი „კორპუსები“



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი, ან ამ ფასეულობათა კონკრეტული დეფორმაციები. საკუთარი ყოველდღიური საზრუნავით მონუსხულები ვერ ვამჩნევთ, რომ ჩვენი დღევანდელი კარგი განწყობა, ვთქვათ, ერთ ლამაზ ქუჩაზე ჩავლამ, ან იქ ერთ საინტერესო ნაცნობთან მოკლე საუბარმა გამოიწვია. ასეთი მარგალიტებით მეტ-ნაკლებად მდიდარია ყოველი ჩვენგანის ქალაქური ცხოვრება, თუმცა მათთვის ყურადღების მიქცევა, ჯეროვანი დაფასება – მოკლედ, მათდამი გამოფხიზლება – დიდი იშვიათობაა.

ეს მდგომარეობა პოსტსაბჭოურ ხანაში მნიშვნელოვნად გაუარესდა. გადარჩენისთვის ბრძოლაში ჩათრეულობის და დაუცველობის გრძნობამ, ერთი მხრივ სიღატაკემ, ხოლო მეორე მხრივ უსამართლოდ გამდიდრების არაცნობიერმა ტვირთმა, ჩვენი თავისუფალი ყურადღების ისედაც დაბალი დონე კიდევ უფრო დაადაბლა. ქალაქს ერთგვარი შინაგანი ძილქუში დაეცა (რაც ყოველდღიურ იქით-აქეთ მიწყდომ-მოწყდომას ხელს არ უშლის), რომლის ერთ-ერთი შედეგი ის არის, რომ არ შეგვიძლია ცოცხლად განვიცადოთ ჩვენი სოციალური თუ სივრცული ლოკალური გარემო, მისი ატმოსფერო. ეს კი ნიშნავს, რომ ერთგვარი ინვალიდები ვართ, ჩვენი უშუალო, რეალური სამშობლოს განცდის უნარშეზღუდულნი და ამდენად, მასთან შინაგანი ძაფის გაბმა გვიჭირს. უამისოდ კი, მისდამი ნამდვილი, სიყვარულზე დაფუძნებული პასუხისმგებლობა შეუძლებელია.

ამის შედეგებს ჩვენი ქალაქი ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვიჩვენებს. მოუვლელი სადარბაზოები და ეზოები, მინგრეულ-მონგრეული ქუჩები და შიდასაუბნო სხვა სივრცეები ამ პასუხისმგებლობის დეფიციტზე ლაპარაკობენ. საინტერესოა, რომ რეალური სამშობლოს ეს კრიზისი საქართველოს სახელმწიფოს, როგორც აბსტრაქტული სამშობლოს, ინტენსიური წარმოჩენის ფონზე ვითარდება. ამით რეალური სამშობლოს სიყვარულს სახელმწიფოს ბრმა პატრიოტიზმი, როგორც აბსტრაქცია ენაცვლება. ქალაქელთა ცნობიერება სულ უფრო სწყდება მათი რეალური

რეალური სამშობლოს სიყვარულს სახელმწიფოს ბრმა პატრიოტიზმი, როგორც აბსტრაქცია ენაცვლება.

გარემოს რეალურ საჭიროებებს და იდეოლოგიურ, ცრუ ფასეულობებზე ხდება ორიენტირებული.

2. შენარჩუნებადი განახლება, როგორც თბილისის განვითარების აუცილებელი პრინციპი

ადამიანს სჭირდება იმის განცდა, რომ იგი სამყაროს განვითარების უწყვეტი პროცესის ერთ კონკრეტულ ეტაპზე ცხოვრობს, რომ იგი, გარკვეულწილად, შედეგია წარსულისა და, იმავდროულად – მომავლის შემოქმედიცაა. ადამიანის შინაგან არსებასა და გარე სამყაროზე ერთდროულად გავრცელებული ეს თვალსაზრისი არის ერთ-ერთი ელემენტი სამყაროს დროში განგრძობადი მთლიანობის მონისტური განცდისა, რაც ადამიანს აძლევს სამყაროს ერთიანი წესრიგის თავისუფალ, მაგრამ განუყრელ წევრად არსებობის უშინაგანეს საფუძველს. მისი პასუხისმგებლობის ასევე უშინაგანესი საფუძველიც ამ წევრობის განცდიდან ამოიზრდება.

ასეთი პასუხისმგებლობის თავის უშუალო გარემოში რეალიზებისთვის ადამიანს სჭირდება განიცდიდეს ამ გარემოს ისტორიის ხილულ უწყვეტობას, თავისუფალი შემოქმედებითი მისწრაფებით კი, იგი მიდრეკილია ააშენოს ხიდი ისტორიულ წარსულსა და მომავალს შორის და ამით შეუქმნას მომავალ თაობას იგივე განცდის საფუძველი.

აწმყო წარსულისა და მომავლის შეხვედრის არენაა, რომლის ფორმირება, ისევე როგორც მასზე ამ შეხვედრის გათამაშება, მხოლოდ ადამიანის შემოქმედებით ნებას შეუძლია.

„ყოველი ადამიანი ხელოვანია“ – მეორე მსოფლიო ომის შემდგომი XX საუკუნის უდიდესი ხელოვანის, იოზეფ ბოისის ამ ფრაზით, რომელიც „სოციალური პლასტიკის“ მისსავე იდეას უკავშირდება, გამოხატულია ყოველი ცალკეული პიროვნების შემოქმედებითი მონაწილეობა მომავლის ფორმირებაში, როგორც თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი გამოწვევა.

ქალაქგეგმარების თანამედროვე ენაზე ზემოთქმულის ძალზე მოკლე ფორმულირება არსებობს – მოქალაქეთა თანამონაწილეობაზე დაფუძნებული შენარჩუნებადი განახლება. აღსანიშნავია, რომ აქ შენარჩუნება შეეხება საზოგადოებაში არსებულ ყველა ფასეულობას, ხოლო განახლებაში ქალაქის ჯანსაღი განვითარების შემოქმედებითი პროცესი იგულისხმება.

საზოგადოებას მრავალი სხვადასხვა სახის ფასეულობა გააჩნია, რომელთა რაოდენობა მნიშვნელოვნად სცილდება მის მიერ ფორმალურად აღიარებულ მატერიალურ და არამატერიალურ ძეგლთა ნუსხის წრეს. ამ ნუსხაში არ შედის სოციალური ფასეულობები, როგორებიცაა, მაგალითად, გარკვეული უბნის ლოკალური ცხოვრებისეული კულტურა, ან სამეზობლო ურთიერთობათა გარკვეული ფორმა, რაც იქ მცხოვრებთა ეთნიკურ, რელიგიურ, დემოგრაფიულ თავისებურებებზე, შემოსავლების დონეზე, საზოგადოებრივი ფენების ერთმანეთთან რაოდენობრივ თანაფარდობასა და სხვა ფაქტორებზე შეიძლება იყოს დამოკიდებული. ამდენად, ამ ფასეულობათა შენარჩუნებისა და განვითარებისთვის ეს გასათვალისწინებელი ფაქტორებია. ნუსხაში არ შედის აგრეთვე ისეთ მატერიალურ და სოციალურ ფასეულობებათა კომპლექსები, რომლებიც ძეგლად აღიარების გარკვეულ ფორმალურ წინაპირობებს არ მიესადაგებიან, არადა, კონკრეტული ადგილის, ქუჩის, მოედნის ან მთელი უბნის განუმეორებელ ინდივიდუალურ ატმოსფეროს ქმნიან.

ასეთი ატმოსფერო თბილისის თითქმის ყველა ადგილს ახასიათებს და მათთან შემოქმედებითი მიდგომა, ესე იგი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოქალაქეებთან თანამშრომლობით სრულიად ორიგინალური გზის გამონახვა არსებულისა და ხედვის, ანუ წარსულისა და მომავლის დასაკავშირებლად უნდა გვესმოდეს, როგორც დაგეგმვის არსებითი ამოცანა. ასეთი მიდგომით კულტურული მემკვიდრეობის დამცველთა

ეროვნული ბიბლიოთეკა





15. ჰიპერტროფიული ტაძარი – ეკლესიის ავტორიტარიზმის სიმბოლო

16. ხელისუფალთა თვითნებობის მსხვერპლი – რიყე

17. ურბანული გარემოსთვის სრულიად შეუფერებელი ხიდი-გველეშაპი

18. ხელისუფალთა სატრანსპორტო დაგეგმვის „შედევრი“ – გმირთა მოედნის „აბლაბუდა“

19. „რიგითთა“ თვითნებობით დამახინჯებული საცხოვრებელი გარემო

20. სრული უპასუხისმგებლობა უშუალო საცხოვრებელი გარემოსადმი, როგორც რეალური სამშობლოსადმი

21. ტვინთა რიტუალური რეცხვა „ერთიანი საქართველოსთვის“, როგორც აბსტრაქტული სამშობლოსათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმიანობა უნდა ჩაეწეროს ზოგადად დაგეგმვის პროცესში იმ ამოცანით, რომ უზრუნველყოს საზოგადოების ყველა სახის რეალურ ფასეულობათა შეძლებისდაგვარად სრული იდენტიფიკაცია და მოქალაქეთა მათდამი გამოფხიზლების პროცესის კულტივირება. კულტურული მემკვიდრეობის ფასეულობათა ასე შექმნილი ნებისმიერი ნუსხა უნდა იყოს ინტეგრირებული დაგეგმვის მრავალთა შორის ერთ-ერთი ინსტრუმენტი და არა ღონისძიებათა განხორციელებაზე ვეტოს დადების მარტივი საშუალება. ინტეგრირებული დაგეგმვა კი, არის სივრცითი მოწყობის ყველა ელემენტის, როგორც სოციალურის, ასევე სივრცით-ესთეტიკურის, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე კომპლექსური პარტიციპაციული დაგეგმვა ფასეულობათა შენარჩუნებისა და განვითარების საფუძველზე, სადაც ადგილობრივი მოსახლეობისა და ღონისძიებათა ყველა სხვა მონაწილის ინტერესებია გათვალისწინებული.

ასეთი დაგეგმვა პირველ რიგში, ითვალისწინებს ქალაქის ისტორიული უბნების ყოველმხრივი გაჯანსაღების ღონისძიებათა ისეთ მომზადებას, სადაც კომპლექსურად იქნება გადაწყვეტილი მათი განხორციელების სამართლებრივი და ფინანსური საკითხები. საბიუჯეტო და კერძო ინვესტიციების კონკრეტულ გასაჯანსაღებელ სფეროებზე მიმართვამ შესაძლებელი უნდა გახადოს ერთი მხრივ კერძო ინვესტორთა წარმატებული სამეწარმეო საქმიანობა, ხოლო მეორე მხრივ უბნის ცხოვრების როგორც ჰიგიენური, ასევე ეკონომიკური გაუმჯობესება ადგილობრივი მოსახლეობის შენარჩუნების, მისი ტრადიციული ფასეულობების დაცვისა და განვითარების პირობებში. დაგეგმვისა და განხორციელების პროცესებში უბნის მცხოვრებთა მონაწილეობამ უნდა გამოაფხიზლოს ისინი თავიანთი უშუალო საარსებო გარემოს მიმართ, დაეხმაროს მათ იმ განცდის აღდგენაში, რომ ქალაქი მათ ეკუთვნით. ამით ნელ-ნელა უნდა დაიძლიოს ავტორიტარული მმართველობის ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული უპასუხისმგებლობის მძიმე სენი.

ეს გზა არა მარტო არსებითად შეესაბამება ქალაქის სიცოცხლისუნარიანობაზე ორიენტირებულ მიზნებს, არამედ

აწმყო წარსულისა და მომავლის შეხვედრის არენაა, რომლის ფორმირება, ისევე როგორც მასზე ამ შეხვედრის გათამაშება მხოლოდ ადამიანის შემოქმედებით ნებას შეუძლია.

იძლევა ფასეულობათა შენარჩუნების რეალურ შესაძლებლობას იმით, რომ მათი დაცვის პირობებში მშენებლობას, როგორც მეურნეობის დარგს, მომგებიანი მენარმეობის საშუალებას აძლევს. უამისოდ, აკრძალვებზე ორიენტირებული „სიძველეთა დამცავი ფუნდამენტალიზმი“ იმთავითვე განწირულია „ტოტალური მშენებლობის ფუნდამენტალიზმთან“ ბრძოლაში, ამ უკანასკნელის განუზომლად დიდი ფინანსური და, ამის საფუძველზე, პოლიტიკური ძალაუფლების გამო.

შენარჩუნებადი განახლების ამ გზით მონიშნულია კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის მხოლოდ აკრძალვებზე ორიენტირებული, ფაქტობრივად თვითმიზნური პრაქტიკის, როგორც წარსულზე ორიენტაციის ერთ-ერთი სიმპტომის დაძლევის შესაძლებლობაც. ეს გზა ასევე შეძლებდა წვლილი შეეტანა თბილისის ქალაქგანვითარებაში გამოხატულ სხვა ზემოთ აღნიშნულ დეფორმაციათა გამოსწორებაშიც. სამწუხაროდ, ისტორიულ ქალაქებთან თანამედროვეობისა და ევროპული გამოცდილების შესაფერი ასეთი ინტეგრირებული მიდგომის არც სამართლებრივი და არც ინსტიტუციური საფუძვლები საქართველოში დღეს არ არსებობს.

თუმცა ჩვენში, არა მხოლოდ ასეთი სტანდარტის, არამედ საერთოდ ქვეყნის სივრცითი მოწყობისა და ქალაქგანვითარების რამდენადმე მაინც დამაკმაყოფილებელი საფუძვლები არ არსებობს. ძველმა ხელისუფლებამ, თავისი ანტისაზოგადოებრივი პოლიტიკის კვალობაზე, შექმნა ნახევრად ლეგალური და ნახევრად არალეგალური, წარმატებით ფუნქციონირებადი სისტემა, რომლითაც მისი მოთავეების თვითნებობის განხორციელება გარანტირებული იყო. ამ სისტემის არალეგალური კომპონენტის კარგი მაგალითია გარკვეულ სამშენებლო ღონისძიებათა სხვადასხვა სტადიის გეგმების იუსტიციის მინისტრთან, როგორც უმაღლესი რანგის ხელისუფალთა ნების განხორციელების გარანტთან, შეთანხმების პრაქტიკა. ლეგალურისა – კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებში ასეთი გარანტიების შემცველი, დემოკრატიული ქვეყნისთვის სრულიად შეუფერებელი რეგულაციების შეტანა. ერთ-ერთი ამ უკანასკნელთაგანი სულ ცოტა ხნის წინ კიდევ ერთხელ გამოიყენა საქართველოს პრეზიდენტმა, თბილისის მიწათსარგებლობის გეგმით დადგენილი, ვერეს ხეობის სარეკრეაციო ზონის თვითნებურად შესამცირებლად.

ეს სისტემა ისევეა დასანგრევი, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში მოქმედი ანტიადამიანური და ანტისაზოგადოებრივი სისტემები, თუმცა ახალმა ხელისუფლებამ იგი გადაიბარა და არათუ მისი ნგრევის, მისი რეფორმირებისთვისაც კი ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს. ამიტომ საზოგადოებაში გაჩნდა ეჭვი, რომ „ახლები“ ისეთივე წარმატებით გამოიყენებენ მშენებლობის მართვის ამ ავადმყოფურ სისტემას, როგორც „ძველები“ იყენებდნენ.

და მაინც, სულ უფრო მეტ ადამიანს ესმის ქალაქში გონივრული, თანამედროვეობის შესაფერი ქალაქგეგმარებითი წესრიგის დამყარების აუცილებლობა. ქალაქმგეგმარებელთა, არქიტექტორთა და სიძველეების დამცველთა, ისევე როგორც სხვა მოქალაქეთა მიერ იმის გააზრება, რომ თბილისის ფასეულობების შენარჩუნება და მისი სამომავლო განვითარება ერთიანი შემოქმედებითი პროცესის კომპონენტებია, ადრე თუ გვიან დაძრავს საქმეს. ამისთვის აუცილებელი იქნება მოქალაქეთა შორის აზრებისა და იდეების გაცვლა-გამოცვლის ორგანიზება, ქუჩის შემოქმედებითი და საპროტესტო აქციების მოწყობა, მოკლედ, მოქალაქეების, მათ შორის ამ საქმის პროფესიონალთა, ისეთი გააქტიურება, რომელიც შეუქმნის ხელისუფალთ განცდას – „ეს ქალაქი მხოლოდ ჩვენი არ ყოფილა“. მერე იქნებ მათაც დაადგეთ საშველი და საქმეს მიხედონ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიზანული მებაღეობა თბილისში

ავტორი: ნატა ფერაძე

პარტიზანული მებაღეობა 2013 წლის 11 ივლისს პირველად გავიდა მისიაზე. სულ 20-მდე ადამიანი მონაწილეობდა. დღეს პარტიზანული მებაღეობის ფბ-ის გვერდზე ექვსი ათასზე მეტი მომხმარებელი და 200-მდე ქალაქში დარგული ხეა. პოპულარობა სულ უფრო იზრდება. ქაოტურად, სტიქიურად დაწყებული საქმე სულ უფრო სერიოზულ და, ვიტყოდი, პოლიტიკურ ელფერსაც იძენს.

ვერ წარმოვიდგენდი, რომ მცენარეების სიყვარული საკრებულოში შეხვედრებზე მიმიყვანდა. ვერ ვცნობ სახეებს, არ ვიცი თანამდებობები. მიწევს გარკვევა – თურმე იმისთვის, რომ ქალაქში მცენარეები იყოს, უნდა ერკვეოდე კანონმდებლობაში, უნდა – იბრძოლო. ხელზე ვიწერ შპარგალკებს სახელებით (შიხიაშვილი, ქორქაშვილი...), რომ რამე არ ავურიო და სოლიდური იმიჯი თუ არა, აზრი მაინც მივაწოდო დალაგებულად – ვინ რას მოუხსნა სარეკრეაციო სტატუსი და ა.შ.

3000-მდე რეგისტრირებული გარემოს დაცვითი არასამთავრობოა საქართველოში, რომ აღარაფერი ვთქვათ სამთავრობო სამსახურებზე – გარემოს დაცვის სამინისტრო, ეკოლოგიური უწყებები და ა.შ. და ასე წლებია, ველოდებოდით, რომ რაღაც უკეთესობისკენ შეიცვლებოდა. ლოდინში კი სულ უფრო და უფრო თვალსაჩინოდ კლებულობდა მწვანე საფარი თბილისში. როგორც გაირკვა, სხვა ქალაქებშიც და, ვაი, რომ ტყეებშიც.

უმოქმედობა აღარ შეიძლებოდა. If you want something done well - do it yourself. (თუ გინდა რამე კარგად გაკეთდეს – გააკეთე თვითონ). და დავქოქეთ. ჩვენი „პარტიზანული მებაღეობის" გვერდი საინფორმაციო ბანკად გადაიქცა. სასოწარკვეთილი მოსახლეობისგან ყოველდღე შემოდის ინფორმაცია – სად რა იჩეხება და იკაფება. მოგვმართავენ თხოვნით, რომ ვუშველოთ. მოითხოვენ კიდეც. და გვიბრაზდებიან კიდეც, რომ ვერ ვშველით, ან აღშფოთება – „სად ვიყავით, იპოდრომი რომ იკაფებოდა" და ა.შ.

მინდა კიდე ერთხელ განვმარტო – „პარტიზანული მებაღეობა" არის მხოლოდ სოციალური ქსელით გაერთიანებული, ერთი ინტერესის მქონე დამოუკიდებელი ადამიანების სრულიად თავისუფალი და ნებაყოფლობითი გაერთიანება. არ გვაქვს ანგარიში, არ გვაქვს იურიდიული ფორმა, არ გვაქვს ორგანიზაცია, არ გვაქვს დაფინანსება, არც ოფისი. ერთადერთი გადაკვეთის და კონტაქტის წყარო სოციალური ქსელია და მხოლოდ ნებაყოფლობით ინიციატივაზეა დაფუძნებული. ვაკეთებთ ყველა, ვისაც რა შეგვიძლია – ზოგმა სანერგის კოორდინატი იცის, ზოგი ფიზიკურად მუშაობს დარგვისას, ზოგი – ჟურნალისტია და გვაშუქებს, ზოგი – სასაწყობე ფართს გვთავაზობს, ზოგიც კანონმდებლობაში გარკვევას. და ეს ყველაფერი უანგარო და უსასყიდლოა. მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ინიციატივით და უმეტესად – საკუთარივე ხარჯით. ნერგებსაც ასე ნებაყოფლობით შეგროვილი თანხით ვყიდულობთ.

ვრგავთ და ვრგავთ, მაგრამ ყველა დარგვის აქციის მერე ჩვენს გვერდზე ინფორმაცია გვხვდება – რამდენი მოიჭრა და განადგურდა.

ფოტოებით თუ ვიმსჯელებთ, თბილისი საკმაოდ უდაბური იყო მე-20 საუკუნის დასაწყისში და მის გასამწვანებლად დიდი შრომა დაიხარჯა. თითქმის სულ ხელოვნურადაა გამწვანებული თბილისი და მისი შემოგარენი. რგავდნენ და უვლიდნენ ჩვენი ბაბუები, მამები. მე-20 საუკუნეში აშენებული, ნამდვილად არცთუ ისე ლამაზი უბნებიც კი (დიღომი, საბურთალო...) ისე შენდებოდა, რომ გარშემო სახლებს აუცილებლად ახლდა გამწვანება. დაცული იყო სტანდარტები. გაშენდა პარკები. გამწვანდა ფერდობები.

ბოლო წლებში კი ეს ყველაფერი ისევ გაუდაბურებისკენ წავიდა. როგორც გაირკვა, სარეკრეაციო ზონებს სტატუსები ეხსნება, სხვისდება და არცთუ ისე გამართული ინფრასტრუქტურული პროექტები იგეგმება.

ამ ყველაფერში საქმის პარალელურად გვიწევს გარკვევა. ანუ – ვიცავთ, ვეფარებით, უმეტესად ტანით, მოსაჭრელ ხეებს და გასაჩეხ ტერიტორიებს და თან ვარკვევთ – როგორ შეიძლება ამის შედარებით ცივილიზებული, არაპარტიზანული სტატუსით დაცვა, რაც არც ისე მარტივია, ყოველ შემთხვევაში, ჩემნაირი, კანონმდებლობისგან და პოლიტიკისგან აქამდე სრულიად გვერდზე მდგომი ადამიანისგან. და უმეტესობა „პარტიზანებისა" ზუსტად ასეთია. ვიცით, რომ უნდა დავიცვათ და ახლა ვართ ძიებაში – როგორ. გავარკვიეთ, რომ ეს ჩვენი კონსტიტუციური უფლებაა – ვიცხოვროთ უსაფრთხო გარემოში, გავარკვიეთ, რომ არსებობს „ორხუსის კონვენცია", კიდევ ბევრ რამეს გავარკვევთ, მაგრამ – რატომ? უამრავი უწყებაა, რომლის პირდაპირ მოვალეობაშიც შედის ყოველივე ამის გარკვევა და დაცვა. და ჩვენი მოთხოვნა ჩამოყალიბდა – მოვუწოდოთ ამ უწყებებს, რომ მათთვის დაკისრებული ვალდებულება შეასრულონ პატიოსნად. ამ მოთხოვნით პეტიციაც დავწერეთ და ხელმოწერებსაც ვაგროვებთ. – შეჩერდეს ბუნების წინააღმდეგ მიმართული ყველანაირი ქმედება და გამოცხადდეს მორატორიუმი, სანამ სათანადო სტრუქტურები არ გაიმართება სათანადო, კვალიფიციური კადრებით და ბუნებას და ეკოლოგიას სათანადო ყურადღება არ მიექცევა. ეს პეტიცია ახლა ხელმოწერების შეგროვების პროცესშია, მერე კი ვნახოთ, რა იქნება. დრო გვიჩვენებს.

ვგეგმავთ საგანმანათლებლო სახის სამოყვარულო ვიდეორგოლების დამზადებას – ურბანისტიკაზე, ქალაქგეგმარებაზე, ხეებსა და მათ მნიშვნელოვნებაზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელემენტარულ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობაზე – ეს ყველაფერი მოსახლეობის უმეტეს ნაწილში კარგად მივიწყებულია და ვიმედოვნებთ, ამით ნელ-ნელა შევძლებთ მოქალაქეების უმეტესწილად მიძინებული პასუხისმგებლობის გამოღვიძებას და მათ მეტ ჩართულობას ამ ერთი შეხედვით შეუჩერებელი პროცესის შეჩერებაში. ვფიქრობ, ტაქსიმი კარგი მაგალითია.

კუს ტბაზე, „ციყვების" ტერიტორიაზე მარცხი განვიცადეთ. მიუხედავად საკმაოდ მრავალრიცხოვანი პროტესტისა, მშენებლობა გამალებული ტემპით მიმდინარეობს. გაიკაფა ულამაზესი ბუჩქების ლაბირინთები და ხეები – ახალი რესტორნის ასაშენებლად. ეს ზონა ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი იყო პიკნიკის გასამართავად, ბავშვების და ძაღლების გასასეირნებლად, დასასვენებლად. და სარეკრეაციო სტატუსიც, როგორც ირკვევა, საკმაოდ საეჭვო ვითარებაში მოეხსნა. თუმცა ამის კვლევა არც დაგვცალდა – პოლიციის ძალით გაგვათრიეს და შეაყენეს ტექნიკა.

ძველი იპოდრომის ტერიტორია, ინფექციური საავადმყოფო ასათიანზე, ყოფილი ფსიქიატრიული საავადმყოფოს ტერიტორიაზე გაშენებული პარკი, ვაკის პარკში დაგეგმილი დიდი მშენებლობა და მრავალი, მრავალი სხვა – სასაფლაოების გარდა თითქმის არ დაგვრჩება გამწვანებული კუნძულები. ამის შეჩერებას მხოლოდ მრავალრიცხოვანი მოსახლეობის მოთხოვნა თუ შეძლებს ამ ეტაპზე. აპარტიული, მაგრამ კატეგორიული მოთხოვნა – წინააღმდეგ შემთხვევაში გამოუსწორებელ შედეგს მივიღებთ.

ქუჩა-ქუჩა სიარულისას ვნახეთ, რომ ბევრ ახლად „მოშიშვლებულ" უბანში (მაგალითად, ვორონცოვზე) ხის დასარგავი ადგილიც აღარაა დატოვებული. მოსახლეობა უჩივის ხეების მოჭრის მერე ტემპერატურის აწევას ზაფხულში, ქარის მომატებას, დაავადებების ზრდას, რაც, სამწუხაროდ, არ არის შესწავლილი, თუმცა, სავარაუდოდ, ეს სტატისტიკაც გაზრდილი იქნება.

1 ხე ხომ ერთი 4-კაციანი ოჯახის საამყოფ ჟანგბადს აწარმოებს.

მაგრამ ეს ყველაფერი უგულებელყოფილია და ახალი, ქალაქში დასარგავი ნერგები მხოლოდ საკმაოდ საეჭვო გემოვნებით და ურბანისტიკის წესების სრული დარღვევით ირჩევა.

რა თქმა უნდა, კარგად და სწორად განვითარებულ ინფრასტრუქტურაში პარტიზანული მებაღეობა ქალაქში უნდა ისჯებოდეს – საჯარო სივრცის განაშენიანება ენთუზიასტი პარტიზანების გადასაწყვეტი არ უნდა იყოს; ამას კარგად კვალიფიციური კადრები კარგად გათვლილი სტრატეგიით უნდა წყვეტდნენ, რაც ჩვენი, პარტიზანების დიდი სურვილი და მიზანიცაა. მაგრამ მანამ ეს ასე არ იქნება, გავაგრძელებთ ჩვენს თვითნებურ ჩარევას და დავრგავთ, რამდენსაც შევძლებთ.

დავრგავთ ქალაქში, შემოგარენში. მოვუწოდებთ ყველას, თითოეულ მოქალაქეს – დარგოს ხე თავის სახლთან, თავის ეზოში, გადაეფარონ ხის მჭრელებს და მოითხოვონ საბუთი – რის საფუძველზე და რატომ იჭრება ხე და ვის მიერ ან რატომაა ამ ხის მოჭრაზე ნებართვა გაცემული. შედეგს იმ შემთხვევაში მივაღწევთ, თუ მხოლოდ ხმელი და ავარიული ხეების ჭრას დავუშვებთ და თუ ეს პროცესი მასობრივ სახეს მიიღებს.

ჩვენ ყველანი პასუხისმგებელი ვართ ჩვენს ქალაქზე, სოფელსა და ქვეყანაზე – ეს არის უპირველესი და საკმაოდ მარტივი მესიჯი, რაც გვინდა რომ ყველამ გაიაზროს, და ნუ დაელოდებიან ახალ პრეზიდენტს ან გარემოს დაცვის ახალ სამინისტროს – ყველას თანაბარი უფლება და პასუხისმგებლობა გვაკისრია ამის მონესრიგებასა და გამართვაში.

20 ოქტომბერს დაგეგმილი გვაქვს მე-20 საუკუნის 30-იან წლებში რეპრესირებული და დახვრეტილი მოქალაქეების მემორიალური პარკის გაშენება რუსთავის გზაზე, სადაც მათი მასობრივი დახვრეტა მიმდინარეობდა.

რამდენიმე სანერგე დიდი ფასდაკლებით გვთავაზობს ნერგებს; სკოლები გვწერენ და გვთხოვენ ბავშვების ჩართვას პარტიზანულ გამწვანებაში (რასაც, აუცილებლად შევასრულებთ) – ბავშვობიდან ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია, მცენარეების სიყვარული და სამოქალაქო პასუხისმგებლობა ბავშვობიდან იწყება. დავრგავთ ბევრს და, იმედია, რაღაც რაოდენობას მაინც გადავარჩენთ განადგურებისგან. მოვუწოდებთ დიალოგისკენ ეკოლოგიაზე და გამწვანებაზე პასუხისმგებელ ყველა სტრუქტურას თუ უწყებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Generation Y

ცვლილებებისა და თვითგამოხატვის თაობა

ავტორი: ნინო ჩიმაკაძე
ფოტო: კახა კახიანი

თაობა
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩვენ კარგად ვიცით რა გვინდა! მიზნის მისაღწევად უკან არასდროს ვიხევთ და ამისთვის ახალ გზებსაც ვეძებთ. ჩვენი ქმედებების შედეგად სამყარო შეცვლას დაიწყებს, უფროს თაობას კი გაუჭირდება ჩვენი ატანა იმის გამო, რომ ამდენი ვართ. ჩვენ უამრავი ბერკეტი გვაქვს პოლიტიკაში: ჩვენი წინამორბედი აპათიური ამომრჩევლისგან განსხვავებით, ჩვენ პოლიტიკურ სისტემას ჩვენს სასარგებლოდ ვიყენებთ და უკვე შედეგსაც მივაღწიეთ: ბარაკ ობამას გაპრეზიდენტებაში ჩვენი თაობის კონტრიბუცია ძალიან მნიშვნელოვანი იყო“. – ამ ამბიციურ მიმართვას ფეისბუქზე დაახლოებით წელიწადნახევრის წინ წავაწყდი, როცა თაობების კლასიფიკაციის შესახებ ინფორმაციას ვეძებდი. The Millennials – ასე ერქვა გვერდს, რომელიც დღეს რატომღაც აღარ იძებნება, არადა, ეს ტექსტი, ისევე როგორც მთლიანად გვერდზე ატვირთული მასალები, კარგი ილუსტრაცია იყო იმ თემის, რაზეც სტატიაში იქნება საუბარი.

Millenials, იგივე Generation Y-თაობა, რომელიც დღეს სოციოლოგებისა და მარკეტოლოგებისთვის ყველაზე საინტერესო სამიზნე ჯგუფია, დაახლოებით 1981-1994 წლებში დაბადებულ ადამიანებს აერთიანებს. Baby Boomer-ების შემდეგ (1945-1964) ეს ყველაზე მრავალრიცხოვანი თაობაა ბოლო ასწლეულში. ისინი სულ ახლახან გამოვიდნენ საზოგადოებრივ ასპარეზზე და ჯერ კიდევ თვითდამკვიდრების პროცესში არიან. მათი ყველაზე დიდი წარმომადგენელი დღეს 32 წლისაა. თუმცა გავლენა, რომელიც უკვე მოახდინეს არსებულ გარემოზე, იმდენად შთამბეჭდავია, რომ „სამყაროს შეცვლის“ მათი მესიანური თეორია შესაძლოა არც ისე დაუჯერებლად მოგეჩვენოთ.

ვინმე იტყვის, რომ Facebook არ იყო რევოლუცია? მისი ავტორი სულ რაღაც 20 წლის იყო, როცა ეს საიტი შექმნა. დღეს 29 წლის მარკ ცუკერბერგი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და მდიდარი ადამიანია. 2010 წელს ჟურნალმა Time-მა ის წლის ადამიანადაც კი დაასახელა.

ტექნოლოგიასთან სიახლოვე ამ თაობის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია. სხვაგვარად მას ნეტთაობასაც კი უწოდებენ. კომუნიკაციების საშულებების ცვლილებამ მათ სრულიად ახალი მსოფლმხედველობა ჩამოუყალიბა და ბევრად უფრო დიდი მასშტაბის შესაძლებლობები მისცა, ვიდრე რომელიმე წინა თაობას ჰქონდა. მაგალითად, თუ ადრე საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენა და საკუთარი აზრის საჯაროდ დაფიქსირება მხოლოდ პოლიტიკოსებს, მედიას და პოპულარულ ადამიანებს შეეძლოთ, დღეს ნებისმიერს შეუძლია ამის გაკეთება. სოციალური მედია ყველანაირ ზღვარს შლის და ყველას თანაბარ საშუალებას აძლევს საკუთარი თავი გამოხატოს.

„მომავალში ყველას შეეძლება გახდეს ცნობილი 15 წუთით“ – ენდი უორჰოლის 1968 წელს ნათქვამი ეს ფრაზა ასეთი აქტუალური ალბათ არასდროს ყოფილა: თანამედროვე მედიუმების დახმარებით (youtube, facebook, twitter და სხვ.) ახლა უკვე ნებისმიერს შეუძლია იყოს მწერალი, ჟურნალისტი, რეჟისორი, მსახიობი, მუსიკოსი... ყველას შეუძლია რაღაც „შექმნას“ და დროის ძალიან მცირე მონაკვეთში ის უამრავ ადამიანს გააცნოს. ამისთვის კი არც განსაკუთრებული ტალანტია საჭირო და არც ჰოლივუდის ვარსკვლავის გარეგნობა.

ალბათ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ საკუთარი თავის გამოხატვის ასეთ იოლ გზებს და თამაშის დემოკრატიულ წესებს მიჩვეული ახალგაზრდები რეალურ ცხოვრებაშიც განსაკუთრებულ ყურადღებას და დაფასებას ითხოვენ. აღზრდიდან გამომდინარე, მათი თვითშეფასებაც საკმაოდ მაღალია წინამორბედ თაობებთან შედარებით, ამიტომ სამსახურში, ოჯახსა თუ ნებისმიერ სხვა გარემოში ისინი მოურიდებლად, ხმამაღლა აცხადებენ საკუთარი სურვილების და ამბიციების შესახებ და სჯერათ, რომ ყველაფრის მიღწევა შესაძლებელია, რისი წარმოდგენაც ადამიანის გონებას ძალუძს.

ამერიკაში, სადაც თაობების კვლევა ყველაზე პოპულარული და მასშტაბურია, Millennial-ებს კიდევ ერთი მეტსახელი, „Generation Me“ ანუ „თაობა – მე“ შეარქვეს. მკვლევარების აზრით, ნარცისიზმი მათი ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია:

„ეს არის გაფუჭებული თაობა, რომელიც ყოველთვის ყველაფერს იღებდა რაც სურდა. მათ ზედმეტად ეუბნებიან, როგორც სახლში, ისე სკოლაში. მათი თვითშეფასება თითქმის ყოველთვის საშუალოზე მაღალია“, – ამბობს ფლორიდის უნივერსიტეტის პროფესორი ჯეიმს ტვიტსერი.

„ისინი ყველაზე მშრომელები არიან და ყველაზე ნაკლებად მიმართულნი თვითდესტრუქციისკენ. მაგრამ ფრთხილად უნდა ვიყოთ, კონფლიქტის საკმაოდ დიდი ალბათობაა, კვლევების თანახმად, ამ თაობის კოლეჯის სტუდენტების 30 პროცენტს ნარცისიზმისკენ აქვს მიდრეკილება“. – ამას უკვე კრისტინა ჰოფ სომერსი ამბობს. სომერსი American enterprise Institute-ის მკვლევარია ვაშინგტონში, ის ახალგაზრდობას და მორალის ეთიკას სწავლობს.

საკუთარ თავზე ორიენტირებულები და ამბიციურები რომ არიან, ამას არც ამერიკელი ახალგაზრდები უარყოფენ: „ჩვენ გვჯერა, რომ შეგვიძლია ზუსტად ისე მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება, როგორც გვინდა. არ ვართ შეზღუდულები ტრადიციით, რელიგიით ან ოჯახით, როგორც ჩვენი მშობლები იყვნენ ხშირად. ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული და ვცდილობთ მაქსიმუმი გავაკეთოთ. მართლაც გვჯერა, რომ საუკეთესოს ვიმსახურებთ, რატომაც არა? – ამბობს 32 წლის სარა სტუტვილი.

სარა გასულ წელს სიეტლში გავიცანი. ის ჟურნალისტია და ერთ-ერთ ადგილობრივ ონლაინგამოცემაში მუშაობს, რომელიც საერთაშორისო ამბებს აშუქებს. რამდენიმე თვის წინ სარა კოლეგებთან, ალექს სტოუნჰილთან და ჯესიკა პარტნოუსთან ერთად საქართველოშიც იყო ჩამოსული პროფესიული მიზნებით. ამ თემაზე მათ სწორედ მაშინ გავესაუბრე.

ალექსი და სარა ცოლ-ქმარი არიან, ისინი უკვე 4 წელზე მეტია ერთად ცხოვრობენ, თუმცა შვილის გაჩენაზე ჯერ არ ფიქრობენ, მათი პრიორიტეტი ამ ეტაპზე საკუთარი თავის დამკვიდრება და პროფესიული თვითრეალიზაცია. 32 წლის ალექსი ამბობს, რომ მას და მისი თაობის ბევრ ადამიანს უფრო მეტი ამბიცია აქვს, ვიდრე უბრალოდ კარგი ხელფასი და უზრუნველი ოჯახური ცხოვრებაა.

„ყველას უნდა რაღაც განსაკუთრებული და უნიკალური გააკეთოს. ყველას

აქვს სურვილი, გამორჩეული ინდივიდუალი იყოს. ოჯახი, შვილები, მაღალანაზღაურებადი სამსახური – მარტო ამით ვერ ვკმაყოფილდებით, გვინდა რაღაც განსაკუთრებული, უფრო დიდი, უფრო კრეატიული და უფრო უნიკალური, ვიდრე ეს სტანდარტული ფორმულირებაა. ჩვენ გავიზარდეთ ოჯახებში, სადაც ხშირად ძალიან მოსაწყენი იყო თუნდაც ეს უზრუნველყოფილი ყოველდღიურობა", – ამბობს ალექსი.

მართალია, საქართველოში თაობების კვლევა არ ჩატარებულა და ამ თემაზე არც წიგნები და ვრცელი ნაშრომები არსებობს, მაგრამ იმ ახალგაზრდებსაც, რომლებსაც აქ ვესაუბრე, დაახლოებით მსგავსი აზრები და შეხედულებები აქვთ. „საკუთარ თავზე ორიენტირებულები ნამდვილად ვართ მეც და ჩემი მეგობრებიც და ამბიციურ პროექტებსაც ხშირად ვეჭიდებით; თუ ეს არის ნარცისიზმი, მაშინ შეიძლება ვართ, არ ვიცი" – ამბობს 28 წლის რუსო ფანოზიშვილი, რომელიც ამჟამად ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობს მედიაპროექტზე.

აქვე აღვნიშნავ, რომ ჩემი სამიზნე ჯგუფი ძირითადად საშუალო ფენის (თუ ასეთი ფენა არსებობს საქართველოში) ინტელექტუალურ საქმიანობაში ჩართული, უფრო ლიბერალური ღირებულებების ახალგაზრდები არიან, რაც, ცხადია, ვერ ასახავს მთლიან სურათს, პირიქით, ისინი უმცირესობაშიც კი არიან. თუმცა, როცა თაობებზე და მათ მახასიათებლებზე ვსაუბრობთ, ალბათ პირველ რიგში სწორედ ის ნაწილი მოიაზრება, რომლებიც რაღაცას ცვლიან საზოგადოებაში და ახალი, განსხვავებული ხედვა შემოაქვთ, და არა ისინი, ვინც მხოლოდ უკვე არსებულის შეარჩუნებაზე ზრუნავენ და პრაქტიკულად არაფრით განსხვავდებიან მშობლების თაობისგან.

კარიერა და სამსახური

დასავლეთში ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ სამსახურის ძებნისას ამ თაობას ძალიან კომპლექსური მიდგომები აქვს და მისგან მაქსიმუმს მოითხოვენ:

„ეს ადამიანები ეძებენ ორგანიზაციებს, რომლებიც ფულზე უფრო მეტს სთავაზობენ. ეს არ ნიშნავს, რომ მათ ფული არ აინტერესებთ, მაგრამ ჩვენი მონაცემები ცხადყოფს, რომ ისინი ეძებენ სამუშაო გარემოს, სადაც სწავლას და ახალი ცოდნის მიღებას გააგრძელებენ. ძალიან მნიშნელოვანია ასევე მოქნილი სამუშაო გარემო და გრაფიკი. მათ არ სურთ საკუთარი ცხოვრება გირაოში ჩადონ". – ამბობს ორგანიზაცია Best Companies აღმასრულებელი დირექტორი ჯონათან ოსტინი.

მათ სურთ გაკეთებული საქმის მიხედვით განსაჯონ და არა ოფისში გატარებული საათებიდან გამომდინარე. თუ წინა თაობების წარმატებისთვის მნიშვნელოვანი იყო კოლეგებს დაეანახათ, რამდენ დროს ატარებდნენ ისინი სამსახურში, ახლანდელები ამას ნაკლებ

ისინი ყველაზე მშრომელები არიან და ყველაზე ნაკლებად მიმართულნი თვითდესტრუქციისკენ. მაგრამ ფრთხილად უნდა ვიყოთ, კონფლიქტის საკმაოდ დიდი ალბათობაა, კვლევების თანახმად, ამ თაობის კოლეჯის სტუდენტების 30 პროცენტს ნარცისიზმისკენ აქვს მიდრეკილება

ყურადღებას აქცევენ. მათთვის არც იერარქიებს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა: სჯერათ, რომ ყველა ერთი გუნდის წევრია, ყველა თამაშობს და ყველა იგებს.

„შენი პროდუქტულობა იმით არ განისაზღვრება, რამდენი ხანი ზიხარ ოფისში, მთავარია რა შედეგს დადებ ბოლოს. რა საჭიროა 24 საათი ოფისში ჯდომა, თუ არაფერს აკეთებ", – ამბობს 27 წლის დათო ჯიშკარიანი, რომელიც პროფესიით ისტორიკოსია.

24 წლის გიორგი ცხადაია, რომელიც პოლიტოლოგია და პერიოდულად სხვადასხვა გამოცემებისთვის წერს, ფიქრობს, რომ ეს ყველაფერი ეკონომიკური თავისებურებებითაცაა განპირობებული:

„ურთიერთობები ორგანიზაციებში უფრო ეგალიტარული ხდება, იერარქიული სტრუქტურა თანდათან იშლება. ახალი ტიპის ტექნოლოგიაზე ორიენტირებული სამუშაო საშუალებას გაძლევს დისტანციურად ან ნახევარ განაკვეთზე იმუშაო, აუთსორსინგი სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს და, შესაბამისად, მეტი საშუალება გაქვს ინდივიდუალურად, ვინმეს აქტიური ზედამხედველობის გარეშე აკეთო შენი საქმე და მეტი თავისუფალი დროც გქონდეს".

სარას და ალექსის მსგავსად ჩემი რესპონდენტი ქართველი ახალგაზრდებისთვისაც პრიორიტეტი კარიერული ზრდა, ცოდნის მიღება და საკუთარი თავის პოვნაა.

„მეც და ჩემ გარშემო ჩემი ასაკის მეგობრები ყველანი ვფიქრობთ, რომ მაქსიმალურად უნდა შეეცადო ის საქმე აკეთო, რაც გინდა და მოგწონს. თუნდაც ძალიან ამბიციური პროექტი იყოს, მირჩევნია ვცადო და არ გამოვიდეს, ვიდრე რაღაც არ ვცადო იმის გამო, რომ შეიძლება არ გამოვიდეს ან ვერ შევძლო. ახლა რაღაც დოკუმენტური ფილმის გადაღება მინდა, რაც საკმაოდ რთულია და არავითარი გარანტიები არ მაქვს, მაგრამ აუცილებლად უნდა დავხარჯო ამაზე რესურსი. ვფიქრობ, ამ მხრივ საკმაოდ ძლიერები ვართ. მე უნდა მოვირგო გარემო და არა გარემოს მოვერგო", – ამბობს რუსო.

Y თაობის ერთ-ერთ მინუსად დასავლეთში დამქირავებლის მიმართ არალოიალობას მიიჩნევენ. ახალი გამოცდილების ძიებაში ეს ახალგაზრდები დაუსრულებლად დადიან ერთი ორგანიზაციიდან მეორეში და იცვლიან სამუშაო გარემოს, მაშინ, როცა შეუძლიათ ერთ ორგანიზაციაშიც განვითარდნენ და უფრო მაღალ თანამდებობასაც მიაღწიონ.

„ისინი ეძებენ სამსახურს, რომელიც მათი იდენტობის გამოხატულება იქნება და საკუთარი თავის სრულყოფაში დაეხმარება. საოცრად ოპტიმისტები არიან და ფიქრობენ, რომ ცხოვრება მათზე იმუშავებს, ყველა ფიქრობს, რომ ნათელი დღეები წინ არის და აუცილებლად იპოვიან საოცნებო სამუშაოს. მათ არა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარტო სჯერათ რომ ეს იდეალური სამსახური არსებობს, დარწმუნებულები არიან, რომ საკმარისად კარგები არიან იქ ადგილის დასაკავებლად" – წერს კლარკის უნივერსიტეტის პროფესორი, ფსიქოლოგი ჯეფრი ჯენსენ არნეტი წიგნში „Emerging Adulthood: The Winding Road From the Late Teens Through the Twenties".

ასეთი დამოკიდებულების გამო სოციოლოგები ფიქრობენ, რომ წლების შემდეგ ძნელი იქნება ამ თაობის ადამიანებში ვეტერანი თანამშრომელი იპოვო.

„მე პირადად ისეთი სამსახური მინდა, სადაც სულ მექნება პროფესიული ზრდა. თანაც კომფორტული და საინტერესო გარემო იქნება. ჩემ ირგვლივაც ყველა ასეა. ამიტომ ვეძებთ მუდმივად უკეთესს", – ამბობს დათო ჯიშკარიანი, რომელმაც 27 წლის ასაკში უკვე 5-ზე მეტი სამუშაო ადგილი გამოიცვალა, ამჟამად კი ვარშავის უნივერსიტეტის სტიპენდიატია და პოლონეთში კვლევითი პროგრამით იმყოფება.

სოციოლოგი გიგა ზედანია ქართველი Y თაობის წარმომადგენელთა ამ ნაწილის მაღალ თვითშეფასებას და ამბიციურობას შემდეგნაირად ხსნის:

„თუ ამ თაობის „გახსნილი" უმცირესობა საკმაოდ დარწმუნებულია საკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის თაობის უმეტესობას ამ დროს ჯერ 2 შვილი ჰყავდა“, – მეუბნება ჯესკა პარტნოუ, როდესაც ოჯახის შექმნაზე ვუსვამ კითხვას. მას ჰყავს მეგობარი ბიჭი, მაგრამ სერიოზული პასუხისმეგებლობის აღებას დაოჯახების სახით ჯერ არ გეგმავენ. საუბარში სარაც ერთვება:

„გვინდა მაქსიმალურად ავითვისოთ ეს სამყარო, ბოლომდე გამოვიყენოთ ის შანსები, რაც გვეძლევა და პროფესიული ზრდა არ შევაჩეროთ. ამიტომ ძნელია ამ ფონზე შვილებზე იფიქრო, თან ამას ეკონომიკური კლიმატიც ემატება: ჩვენ არ გვაქვს ისეთი ბენეფიტები, იმდენ ფულს ვერ ვშოულობთ, რამდენსაც ჩვენი მშობლები შოულობდნენ, საკუთარი სახლები არ გვაქვს, ნაქირავებში ან მშობლებთან ვცხოვრობთ ამერიკელი ახალგაზრდების უმეტესობა. ამიტომ ოჯახის მოწყობა ცოტა რთულია და შორეული პერსპექტივაა“. ასე ცდილობს სარა საკუთარი არჩევანის დასაბუთებას.

როგორც გამოკითხვები აჩვენებს, ამერიკელი Millennial-ები განსაკუთრებით ახლოს არიან მშობლებთან. მათთან ერთად შოპინგზე თუ სხვადასხვა საჯარო თავშეყრის ადგილებზე სიარული ძალიან ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნიათ. ეს ტენდენცია ბოლო წლებში ჰოლივუდშიც შეიმჩნევა: ახალგაზრდა ვარსკვლავები „ოსკარის“, „გრემის“ თუ სხვა ცერემონიალზე ხშირად დედებთან და ბებიებთან ერთად დადიან და მათ მიმართ სამადლობელ სიტყვებსაც არ იშურებენ.

კლევების მიხედვით, ამერიკელი Y თაობის წარმომადგენელთა უმეტესობა კოლეჯის და უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ისევ სახლში ბრუნდება საცხოვრებლად. ეს მათ საშუალებას აძლევს უფრო მეტი დრო და ენერგია დახარჯონ „იდეალური სამსახურის“ ძებნაში. მეტი იმოგზაურონ და მოხალისეებადაც უფრო ხშირად ჩაერთონ ამა თუ იმ აქტივობებში: მათ ამისთვის ხელსაყრელი პირობები აქვთ შექმნილი: სახლში ხომ გემრიელი სადილი და თბილი ლოგინი ელოდებათ. მათზე ჯერ კიდევ ზრუნავენ და ამიტომ შეუძლიათ გარკვეული ყოფითი პრობლემებისგან თავისუფალები იყვნენ. ამ ტენდენციიდან გამომდინარე, მათ Kidult-ებს და პიტერ

ისინი ეძებენ სამსახურს, რომელიც მათი იდენტობის გამოხატულება იქნება და საკუთარი თავის სრულყოფაში დაეხმარება. საოცრად ოპტიმისტები არიან და ფიქრობენ, რომ ცხოვრება მათზე იმუშავებს, ყველა ფიქრობს, რომ ნათელი დღეები წინ არის...

თარ მომავალში, ეს იმიტომ, რომ ჩვენს საკმაოდ ღარიბ ქვეყანაში ასეთ ადამიანებზე დიდი მოთხოვნილებაა, რაც მათი სიმცირითაა გამოწვეული“. მისი აზრით, ამ უმცირესობისგან, დიდი ალბათობით, მომავალი საზოგადოებრივი ელიტა შეიქმნება, რადგან ისინი ბევრად უფრო კარგად ერკვევიან თანამედროვე სამყაროს ფუნქციონირების წესებში, ვიდრე უმრავლესობა: „ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველო თანამედროვე, მოდერნულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდება და არა – კვაზიტრადიციულ ქვეყნად, რომელიც დაუწერელი კანონების მიხედვით იმართება“, – აღნიშნავს ზედანია.

ოჯახი

„მე 32 წლის ვარ და ძალიან ცოტა ჩემს მეგობარს ჰყავს შვილი, ჩვენი მშობლე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პენის თაობასაც ეძახიან, რომელმაც ვერაფრით მიაღწია მონიფულ ასაკს. შესაბამისად, ისინი ოჯახსაც უფრო გვიანდელ ასაკში ქმნიან.

სოციოლოგი იაგო კაჭკაჭიშვილი ამბობს, რომ ეს ტენდენცია ბოლო დროს საქართველოშიც იკიდებს ფეხს, რასაც ხელს სექსუალური ცხოვრების ლიბერალიზაცია უწყობს:

„ეს არ არის სექსუალური რევოლუცია, მაგრამ გარკვეული ცვლილება მოხდა და რაღაც პროცესები მიდის, სექსუალური კონტაქტი ქორწინებამდე ამ თაობაში ბევრად უფრო დასაშვებია, ვიდრე ჩემს თაობაში იყო, რაც ოჯახის შექმნის ასაკს უფრო ზრდის“, – აღნიშნავს ის. რაც შეეხება ოჯახთან ცხოვრების თემას, იაგო კაჭკაჭიშვილი ფიქრობს, რომ ქართული ეკონომიკური და თუნდაც კულტურული რეალობიდან გამომდინარე, ქართველი ახალგაზრდობის უმეტესობა ისედაც მშობლებთან ცხოვრობს, სანამ საკუთარ ოჯახს არ შექმნის (ხშირ შემთხვევაში კი ამის შემდეგაც მშობლებთან აგრძელებენ ცხოვრებას).ამიტომ ამ მხრივ ეს ტენდენცია, მართალია, დასავლეთისას ემთხვევა, თუმცა განმსაზღვრელი ფაქტორები და წინაპირობები ცოტა განსხვავებულია.

„ოჯახის შექმნა ვალდებულება აღარ არის, როცა მოგინდება მაშინ შექმნი, ეს არავის საქმე არაა. ჩემი უახლოესი მიზნები აუცილებლად ჩემს კარიერას და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას უკავშირდება“, – ამბობს 27 წლის დათო. რუსოც ფიქრობს, რომ

ჯერჯერობით გაუჭირდება საკუთარ პროფესიულ სურვილებზე და ამბიციებზე უფრო მაღლა რამის დაყენება და „სხვებზე“ გადართვა:

„ცოტა ეგოისტებიც ვართ ალბათ ამ მიმართულებით, ვერ წარმომიდგენია ჩემი რაღაცები როგორ უნდა დავთმო, თუნდაც ოჯახის და ბავშვების გამო. მინდა, რომ ჯერ ჩემს საქმიანობაში ვიყო ბოლომდე რეალიზებული, აქ გავაკეთო რაღაც ღირებული და მერე ვიფიქრო ოჯახზე. ამ ეტაპზე სერიოზული პასუხისმგებლობის და ვალდებულებების აღება ოჯახთან დაკავშირებით არ მინდა და თითქმის ყველა ჩემი მეგობარიც ასეა“ – ამბობს ის.

იდენტობა და ლიბერალური ფასეულობები

ამერიკელი მკვლევარების აზრით, ეს ყველაზე ლიბერალი და კოსმოპოლიტი თაობაა, მათი დიდი ნაწილისთვის ერთსქესიანი ქორწინებებიც კი სრულიად მისაღებია. ისინი უფრო ბევრს მოგზაურობენ და ცდილობენ, რაც შეიძლება მეტ კულტურას გაეცნონ. შესაბამისად, იზრდება იმ ადამიანთა რიცხვიც, რომლებსაც განსხვავებული ეროვნების ან რელიგიის პარტნიორები ჰყავთ.

ლგბტ თემთან დაკავშირებული საკითხები ბევრად უფრო ღიად და აქტიურად განიხილება დღეს ქართველ ახალგაზრდებშიც, ვიდრე თუნდაც სულ რაღაც 10-15 წლის წინ. შესაბამისად, გაცილებით მეტი ადამიანი საუბრობს ხმამაღლა საკუთარ სექსუალურ იდენტობაზე. საქართველოშიც, ისევე როგორც დასავლეთის ქვეყნებში, ეს ახალგაზრდები უფრო გლობალურად ორიენტირებულები არიან და მათში უფრო მეტ კოსმოპოლიტს შეხვდებით, ვიდრე წინა თაობებში. მაგალითად, თუკი საქართველოში 90-იანელების პროგრესული, განათლებული ახალგაზრდები ხშირად მაინც ნაციონალურ იდენტობაზე, რელიგიაზე და სამშობლოზე აპელირებდნენ, რაც იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორებითაც იყო გამოწვეული, დღევანდელი ლიბერალი ახალგაზრდებისთვის ეს ყველაფერი ცოტა მოძველებული და პათეტიკურია. „ენა, მამული, სარწმუნოება“ ამ დიდი ხნის მანძილზე ურყევმა ფორმულირებამ ის გავლენა და ღირებულება დაკარგა, რითიც ათწლეულების მანძილზე იზრდებოდა თაობები.

„ალბათ ეს ეს იმის გამოცაა, რომ მთელი ბავშვობა გვესმოდა პატრიოტული ლოზუნგები, კერპების, ურყევი ავტორიტეტების სახელები, საბოლოოდ კი ეს ყველაფერი ყელში ამოგვივიდა. დღეს მსგავსი რამეები მეც და ჩემს მეგობრებსაც რაღაცნაირად უხერხულად და სასაცილოდ გვეჩვენება. აი, თუნდაც ჰიმნის სიმღერის დროს რომ გულზე ხელს იდებენ, მაგაზეც მეცინება ხოლმე“, – ამბობს 28 წლის რუსო, რომელიც ფიქრობს, რომ ადამიანის უფლებები და ინდივიდუალური თავისუფლება ყველაზე და ყველაფერზე მაღლა დგას. მისი თქმით, პატრიოტიზმი ადამიანების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა და სამოქალაქო აქტივობაა და არა გამუდმებით „სამშობლოს სიყვარულსა“ და ქართველების უნიკალურობაზე საუბარი. გიორგი ცხადაიაც ფიქრობს, რომ საქართველოში ხშირად ქვეყნის სიყვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რული მიწასთან უფრო ასოცირდება, ვიდრე ადამიანებთან და მათ კეთილდღეობაზე ზრუნვასთან: „აი, თუნდაც როცა დაკარგულ ტერიტორიებზე საუბრობენ, ძირითადად მიწაზე აკეთებენ ხოლმე აქცენტს და არა ადამიანებზე, ვისთან ერთადაც უნდა ვიცხოვროთ და საერთოდ ენა გამოვნახოთ. ობიექტი არის უფრო პრიორიტეტული, ვიდრე ადამიანი, რაც ძალიან სამწუხაროა", – ამბობს გიორგი.

Y თაობა და პოპკულტურა

წინა თაობებისგან განსხვავებით, მათ განსაკუთრებული კუმირები და მისაბაძი მაგალითები ნაკლებად ჰყავთ. ვარსკვლავები ისეთი სიჩქარით ენაცვლებიან ერთმანეთს, ძნელია გამორჩეული ფიგურები გახდნენ. გარდა ამისა, ეს თაობა იდენტიფიკაციას ვარსკვლავების მიერ შესრულებულ პერსონაჟებთან უფრო ახდენს, ვიდრე თავად ვარსკვლავებთან.

29 წლის დათო ლობჟანიძე, რომელიც პროფესიით ჟურნალისტია და პოპკულტურა მისი ინტერესის ერთ-ერთ სფეროს წარმოადგენს, ამბობს, რომ კერპების ჩამოყალიბებაში ძალიან მნიშვნელოვან როლს მედია თამაშობს. ამ შემთხვევაში კი ალტერნატიულმა მედიამ, ინტერნეტმა სრულიად განსხვავებული ტენდენციები გამოკვეთა:

„იყო დრო, როდესაც იგივე ტელევიზორი გვაცნობდა გარკვეულ ვარსკვლავს, აგლამურებდა და ალამაზებდა. ჩვენც მოგვწონდა და ცნობიერებაში გარკვეულ პროდუქტს უსიტყვოდ ვქმნიდით. ცოტა მოგვიანებით გამოჩნდა ინტერნეტი, რომლის თვისობრივი განსხვავება ტრადიციულთან შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ ის გვაძლევს შედარებით თავისუფლებას არჩევანისას. ანუ პასიური მდგომარეობიდან (ტრადიციულის შემთხვევაში) გადავდივართ აქტიურში. მაგალითად, 10 წლის წინ ვინმეს რომ ეკითხა ჩემთვის „ვის უსმენ?", უყოყმანოდ ჩამოვუთვლიდი 10 საყვარელ შემსრულებელს, მაგრამ დღეს, როდესაც ინტერნეტის შესაძლებლობები ერთიორად გაიზარდა და დღეში ასეულობით სიმღერის დაქაჩვა შეგვიძლია, ვინმემ იგივე კითხვა რომ დამისვას, ძალიან დავიბნევი", – ამბობს დათო.

ჯერჯერობით არც ის გამორჩეული წიგნები და ფილმები იკვეთება, რომლებიც ამ თაობის ტენდენციებს ასახავდა. ისეთი საკულტო ნამუშევრები, როგორებიც, მაგალითად, Baby boomer-ებისთვის ფილმი The Graduate (1967), generation X-სთვის კი Slacker, Reality Bites, ან თუნდაც „მებრძოლთა კლუბი" იყო, ამ შემთხვევაში ნაკლებად ჩანს. გარკვეული პარალელის გავლება ალბათ ყველაზე მეტად „ეშმაკი ატარებს პრადასთან" (2006) შეიძლება, სადაც მთავარი პერსონაჟი,

მათ განსაკუთრებული კუმირები და მისაბაძი მაგალითები ნაკლებად ჰყავთ. ვარსკვლავები ისეთი სიჩქარით ენაცვლებიან ერთმანეთს, ძნელია გამორჩეული ფიგურები გახდნენ. გარდა ამისა, ეს თაობა იდენტიფიკაციას ვარსკვლავების მიერ შესრულებულ პერსონაჟებთან უფრო ახდენს, ვიდრე თავად ვარსკვლავებთან.

ახალგაზრდა ჟურნალისტი ენდი (ენ ჰეთეევი), არაერთ რთულ გამოწვევას გაუძლებს იმისთვის, რომ საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნდეს. თუმცა მას შემდეგ, რაც მიზანს მიაღწევს და კარგად გაერკვევა რა უნდა, უყოყმანოდ მიატოვებს მაღალანაზღაურებად, ბევრისთვის საოცნებო სამსახურს და მისთვის უფრო საინტერესო და ღირებული საქმით დაკავდება. ფილმში კარიერის და პირადი ცხოვრების ურთიერთგავლენის საინტერესო ეპიზოდებიცაა ასახული, რაც ამ თაობისთვის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია.

პოლიტიკა და ცვლილებების სურვილი

წინამორბედებისგან განსხვავებით („მე არ ვარ ვალდებული სამყარო უკეთეს ადგილად ვაქციო" – ტროი დაიერის პერსონაჟის ფრაზა X თაობის საკულტო ფილმიდან Reality Bites), ამ თაობის წარმომადგენლებს ბევრი რამის შეცვლა სურთ და სერიოზული გამოწვევების მიუხედავად, უკეთესი მომავლის რწმენას არ კარგავენ. ოპტიმიზმი მათი ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია.

შემთხვევითი არაა, რომ 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ამერიკაში, Y თაობის წარმომადგნელთა ორმა მესამედმა ხმა ბარაკ ობამას მისცა. ამერიკელი მკვლევარები ფიქრობენ, რომ ამის მთავარი მიზეზი ობამას მიერ წარმოებული წინასაარჩევნო კამპანიის და ახალგაზრდების შეხედულებებისა და სურვილების თანხვედრა იყო: სლოგანი Yes we can და ცვლილებებზე გაკეთებული აქცენტი, სოციალური რეფორმებით დატვირთული პროგრამა და აქტიური ონლაინკამპანია. ეს ყველაფერი ძალიან ახლობელი აღმოჩნდა ამ თაობისთვის და მათ ისტორიული არჩევანიც გააკეთეს.

„თითქმის მთელი ჩვენი თაობა დაირაზმა 2008 წლის არჩევნებზე ობამას მხარდასაჭერად. ჩვენ გავიზარდეთ ბუშის პერიოდში და უმეტესობას არ მოგვწონდა მისი პოლიტიკა. გვინდოდა ისეთი პრეზიდენტი, რომელიც მისგან სრულიად განსხვავებული იქნებოდა. ასევე ძალიან მნიშვნელოვანი იყო ობამას მრავალფეროვანი ბექგრაუნდი. ჩვენ ხომ ყველაზე მრავალფეროვანი თაობა ვართ ამერიკაში, შერეული რელიგიური, ეთნიკური ბექგრაუნდი გვაქვს. ასე რომ, აფროამერიკელი პრეზიდენტი, რომელსაც საერთაშორისო ფესვები ჰქონდა, ძლიან მიმზიდველ აღმოჩნდა ჩვენთვის. ეს გარღვევა იყო, რომელიც უფრო კარგად წარმოგვაჩენდა ჩვენ. გარდა ამისა, აღსანიშნავია მისი გლობალური ხედვა და ზოგადი ღირებულებები ჯანდაცვის, განათლების საკითხებზე, მას უფრო ლიბერალური ღირებულებები ჰქონდა ლგბტ უფლებებზე და ა.შ. ეს ჩვენსას ემთხვეოდა და ბევრად უფრო კარგად გამოხატავდა ჩვენს სათქმელს, ვიდრე სხვა კანდიდატები აკეთებდნენ ამას", – ამბობს 32 წლის სარა სტუტვილი.

მოწევა კლავს
მოწევა იწვევს კანის
ნაადრევ დაბერებას

საერთოდ, Millennial-ები წინა თაობებისგან განსხვავებით მეტი ნდობით არიან განწყობილი პოლიტიკოსების და ზოგადად, ინსტიტუციების მიმართ. ქედმაღლურად გვერდზე გადგომის და აპათიური ქილიკის ნაცვლად, მათ ურჩევნიათ სასურველი კანდიდატი აირჩიონ და მას დანაპირების შესრულება მოსთხოვონ.

ამას ჩემს მიერ გამოკითხული ქართველი Y თობის წარმომადგენლებიც ადასტურებენ:

„წინა თაობა გარკვეულწილად პოსტმოდერნიზმის პირმშოს წარმოადგენს, რომელიც უფრო აპოლიტიკურია და პოლიტიკას არასაკმარისად „მაგარ" სფეროდ მიიჩნევს. ჩვენი თაობა გაცილებით პოლიტიკურია. პოლიტიკა ჩვენი ცხოვრების დიდ ნაწილს შეადგენს და პრაქტიკულად ყოველდღიურ ყოფას მოიცავს. ხალხს პოლიტიკოსებზე გავლენის მოხდენა, რა თქმა უნდა, შეუძლია, თუ სწორი მიმართულებით მიმართავს ძალისხმევას, პოლიტიკოსებიც ხომ ადამიანები არიან", – ამბობს 29 წლის დათო ლობჟანიძე, რომელიც ჟურნალისტია.

აქტიური ახალგაზრდების ტალღა საქართველოში განსაკუთრებით კარგად 2012 წლის სექტემბერში გამოჩნდა, ციხის წამების კადრების შემდეგ დაწყებულ საპროტესტო აქციებზე. დემონსტრანტების უმეტესობის ასაკი 30 წელს არ აღემატებოდა. ძალადობის დაგმობა და ადამიანის უფლებების დაცვა იყო ასევე მიზეზი, რის გამოც მაისის ბოლოს „დედაენის ბაღში" უამრავი ადამიანი შეიკრიბა, რომლებიც 17 მაისს ლგბტ აქტივისტების დარბევას აპროტესტებდნენ. მათი უმეტესობაც ახალგაზრდები იყვნენ.

29 წლის ირაკლი ჩხაიძე, რომელიც კულტურის მკვლევარია და ამჟამად თსუ-ში დოქტურანტურაში სწავლობს, ფიქრობს, რომ ახალ თაობას ნამდვილად აქვს შანსი საზოგადოების განვითარებაზე ზეგავლენა მოახდინოს და პოზიტიური ცვლილებების მაპროვოცირებელი გახდეს, მაგრამ ამ ეტაპზე ამის საკმარისი შესაძლებლობა არა აქვს. „ჩვენ პოსტსაბჭოთა საზოგადოება ვართ, ამ საზოგადოების ავანგარდში ჯერ კიდევ ძველი კომუნისტური ნომენკლატურა დგას და მასის სიმპათიასაც ის იმსახურებს ინერციით. დრო სჭირდება ამ ყველაფრის დაძლევას. ზოგადად, მე მგონია, რომ უმცირესობის, ანუ პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტის შეხედულებებზე, პოზიციაზე, ფასულობებზე ბევრი რამაა დამოკიდებული და ამიტომ მნიშვნელოვანია, ვინ განსაზღვრავს საზოგადოების ცხოვრებას და რა გეზს მისცემს მას", – ამბობს ირაკლი. მისი აზრით, პოლიტიკოსებს მართლაც შეუძლიათ ბევრი რამის სასიკეთოდ შეცვლა, თუკი ამის სურვილი ექნებათ, თუმცა ქართული რეალობა ამ მხრივ ნაკლებად სახარბიელოდ ეჩვენება: „სამწუხაროდ, ჩვენი პოლიტიკოსების შემყურე, რთულია ოპტიმისტი იყო, თუმცა მაინც არ ვკარგავ იმედს. მეორე პრობლემა ისიცაა, რომ ჩვენს საზოგადოებას პოლიტიკოსებზე ზემოქმედების არა იმდენად ბერკეტები, არამედ კულტურა არა გააჩნია და ამას ღრმა ფესვები აქვს, წინა ეპოქების შედეგებს ვიმკით ახლა", – ამბობს ირაკლი.

ეს საქართველოში, შეიძლება ითქვას, პირველი პოსტსაბჭოთა თაობაა, რომელიც სრულიად გასხვავებულ გარმოში გაიზარდა: რკინის ფარდის, ათასგვარი შეზღუდვებისა და აკრძალვების შემდეგ ისინი პირდაპირ ინფორმაციულ ოკეანეში აღმოჩნდნენ. მათ აღარ უწევდათ საყვარელი მუსიკოსების ჩანაწერებისა თუ სასურველი ფილმების და ფიგურების სანთლით ძებნა მთელ ქალაქში. ტელევიზორში, რადიოში თუ სპეციალურ მაღაზიებში უკვე ყველაფერი იყო. მალე ინტერნეტიც შემოვიდა, რამაც მათ ცხოვრებას ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა ასაკში სრულიად სხვა მიმართულება მისცა და შესაბამისი ქცევები, დამოკიდებულებები და ცხოვრების სტილი ჩამოუყალიბა.

27 წლის დათო ჯიშკარიანი ფიქრობს, რომ სწორედ იმის გამო, რომ ამ თაობას უფრო მეტი პერსპექტივები და შესაძლებლობები აქვს და ნაკლები მძიმე გამოცდილებები, და იმის გამო, რომ გარდამავალი ეპოქის დასასრულისკენ უწევს საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლა, მის ქმედებებს და ძალისხმევას გადამწვეტი როლი ექნება ქვეყნისთვის მოდერნიზაციისთვის და ეს შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვას:

„მე მგონია, რომ ამ ქვეყანაში თუ რამეს შევცვლით, ჩვენი თაობა შევცვლით, ჩვენმა თაობამ თუ ვერ შეცვალა, მაშინ შემდეგ თაობას უკვე არაფერი აღარ შეეძლება, ვფიქრობ, რომ ეს ცვლილებების თაობაა და ოპტიმისტურად ვუყურებ მას", – ამბობს დათო.

გიგა ზედანია სქართველოში ამ თაობის მკვეთრი პოლარიზების გამო, სამომავლოდ კონსერვატორ და ლიბერალ ახალგაზრდებს შორის იდეოლოგიურ და სტრუქტურულ დაპირისპირებასაც არ გამორიცხავს: „ახალგაზრდა თაობაში უკვე ჩადებულია კონფლიქტი, რომელიც აუცილებლობით გათამაშდება, ოღონდ ამ გათამაშების მოდალობაზე გავლენას მოახდენს ის პროცესები, რომლებიც ქვეყანაში იქამდე განვითარდება, ვიდრე თაობა Y აქტიურად გამოვა ასპარეზზე, – ამბობს ზედანია.

GENERATION

7 ფაქტი Y თაობის შესახებ

1. საშუალოდ 26 წლის ასაკის **Millennial**-ს დაახლოებით 7 სამუშაო ადგილი აქვს გამოცვლილი.
2. სამსახურის გამოცვლის ნომერ პირველი მიზეზი მარტივია: „მათ უბრალოდ ცვლილება ესაჭიროებოდათ".
3. **Google** და **Microsoft** ის ლიდერი კომპანიებია, სადაც ეს თაობა ყველაზე მეტად ისურვებდა მუშაობას.
4. ხარისხი არის ყველაზე მთავარი გამსაზღვრელი, როდესაც მათ საყვარელ ბრენდებზეა საუბარი.
5. მათი 66 პროცენტი არ გამოიყენებდა ცნობილ ადამიანს საკუთარი კომპანიის რეკლამირებისთვის.
6. 54 პროცენტს ურჩევნია სამსახურში გადაწყვეტილება კონსენსუსის შედეგად იქნეს მიღწეული.
7. 70% იდენტიფიკაციას ახდენს პერსონაჟებთან, რომლებსაც ვარსკვლავები თამაშობენ, და არა თავად ვარსკვლავებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლუზი მტკვრის პირას

ავტორი: ბიძინა მაყაშვილი
ილუსტრაცია: მაია სუმბაძე

(გაგრძელება; დასაწყისი იხილეთ N 90-94)



1992

ექვსთვიანი (თუ მეტი არა) პოლიტიკური კრიზისის შემდეგ სამოქალაქო ომით და ხელისუფლების ცვლილებით დამთავრებული (დაწყებული) მარაზმი რომ ბევრ რამეს შეცვლიდა საქართველოში, ცხადი იყო. ვფიქრობ, ძალიან მცირე იყო იმის შანსი, რომ ძველი ხელისუფლების მედიას მოუნდებოდა ჩემთან (ან მე მასთან) თანამშრომლობა, ამიტომ პროფესიული თვალსაზრისით, ჩემთვის ეს წელინადი ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.

იმ დროს ჯანდაცვის სამინისტროში ვმუშაობდი, ეკონომისტებთან. იქ როგორ მოვხვდი და რა მინდოდა, როცა არც ჯანდაცვასთან მქონია ცხოვრებაში საქმე და არც ეკონომიკასთან და როცა არც ერთი ეს სფერო ჩემი ჰობი არ ყოფილა, ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ იქ განვითარებულმა მოვლენებმა განსაზღვრეს ის, რომ თქვენ დღეს ამ წინადადებას კითხულობთ.

იმ „კანტორაში“ ჩემთან ერთად ჩემი მეგობარი, ზურა კაკაბაძეც მოხვდა. სათქმელს რომ უფრო სწრაფად მივადგე, გეტყვით – ჩვენი მეგობრობა წლების წინ მელომანობის საფუძველზე ჩამოყალიბდა. ბუნებრივია, რომ იმ პერიოდში ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ სამსახურებრივი საქმიანობით არ შემოიფარგლებოდა. ჩვენ მელომანურ ინტერესებს, სამსახურში ერთმანეთთან ურთიერთობით მაქსიმალურად ვიკმაყოფილებდით. ჩვენი გატაცების შესახებ, ცხადია, ჩვენმა თანამშრომლებმაც იცოდნენ. მათ შორის იყო ერთი ახალგაზრდა კაცი, რომლის ცოლიც, მშვენიერი ხათუნა მაისაშვილი ყოველკვირეული გაზეთის „7 დღის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო.

ჰოდა ამ კაცმა დამიწყო ტვინის „ბურღვა“ იმის თაობაზე, რომ როკ-მუსიკის დარგში ჩემი „განსწავლულობის“ რეალიზაცია მისი ცოლის გაზეთის ფურცლებზე მომეხდინა. თავდაპირველად ეს განცხადება მისგან სერიოზულად ვერ მივიღე. ეს ახლად შექმნილი ყოველკვირეული მომწონდა – სხვებისგან ინტელიგენტურობით გამოირჩეოდა. თავიდან შევუთვალე, არა მგონია თქვენი იმედები გავამართლო-მეთქი, რაზეც მიპასუხეს – ცდას რა უდგას წინაო.

გულწრფელად ვფიქრობდი, რომ როკი ამ გაზეთს არ მოუხდებოდა და ჩემი ყოყმანის მეორე არგუმენტად მათაც ასე მოვახსენე. პასუხმა სრულიად

MELODY·MAKER
TOMORROW'S MUSIC TODAY

MELODY·MAKER

ginning to lapse into self-parody.

There on the screen was the Prince Of Pain, the finest furrowed pate in pop, replete in the same old faded denims and that bloody awful hearing aid, bleating on about how he felt like Joan Of Arc and had no right to take his place in the human race.

Behind him, meanwhile, a four-piece band were coming on like the new Rolling Stones, all rounded rock maturity and polished cocksure authority. With a crucial third LP on the horizon, it was as if the skin of their best had finally fully ripened; as if they had defined and perfected their musical pitch and lost their hunger, their need to grow.

But things are not always as they seem. If 'The Queen Is Dead' arrives in a climate of such doubt, with the above suspicions compounded by stories of "personal differences" within the group and problems with their record label without, it is pleasing to report that it is as exciting and direct a pop or rock record as we are likely to hear this year – a challenging and often extreme piece of work.

While their last LP left off with the torpid 'Barbarism Begins At Home' and the meandering whine of 'Meat Is Murder', 'The Queen Is Dead' goes straight for the jugular. In becoming what is basically a best group again, The Smiths have rediscovered much of the muscular tautness of their earliest session recordings, the cuts immortalised on the 'Hatful Of Hollow' compilation.

Any fears that The Smiths' considered return to insidious-ly catchy, unashamedly beat roots is being made at the expense of their more melancholic, lilting moods are dispelled on the haunting 'I Know It's Over'. Six minutes that stand comparison with the likes of 'Back To The Old House' and 'This Night Has Opened My Eyes', the song is a languid lament that shows The Smiths' more poetic leanings intact and far from crushed by their new bestbound power.

On an LP of only isolated lowpoints, the nadir of the first side – and indeed the whole album – is the virtually immortable 'Never Had No One Ever' in which the salty dog seems to think he is 'Sergeant Pepper' or at least an out-take of the same. A slow, brooding melodrama with dippy psychedelic undertones, it is a poor man's 'How Soon Is Now', minus the latter's lyrical charm and alluring Bo Diddley-esque backbeat.

The following track, in contrast, lies on consecrated ground. 'Cemetry (sic) Gates' is set in a graveyard, but its true target is the crime of plagiarism, a tactic just occasionally employed by the songwriter himself ("talent borrows, genius steals" is teasingly etched on the run-off groove of the 'Bigmouth' single). And, in keeping with the tone of musical irony set earlier on 'Frankly, beat', Smiths detractors will often belittle the man's larynx, forever cringing at his whining. What they conveniently overlook is the great sense of timing and phrasing he brings to his dramatic vocal delivery, his sense of the rhythmic beat behind him never less than acute.

'The Queen Is Dead' is, of course, at least partly allegorical, referring as much to Morrissey's nostalgic yearning for a certain lost Englishness as to the redundancy of the monarchy. The miserable undertow to the Morrissey muse is also introduced in the nagging refrain "life is very long when you're lonely", as is the sense of humour which provides an often black and farcical antidote throughout the album: "And so I broke into the palace/ With a sponge and a rusty spanner/She said: 'I know you and you cannot sing'/I said: 'That's nothing, you should hear me play the piano'."

The wit surfaces again on 'Frankly, Mr Shankly', Morrissey's "lame, lame, fatal lame" song. Couched as a letter or speech of resignation from a mundane job, its humour is as much musical as lyrical, the "worker Smiths" Rourke and Joyce etching out a deliberately hammy helping of cod skank (("reggae is vile", anyone?), with an ironic nod to northern working club cabaret. If anything, the track would perhaps have benefited from an even more exaggerated music hall treatment.

But that is not to fault an unsung rhythm section who maintain an adroit peak of sus-

Mr Shankly', the deft breezeness of the instrumentation – acoustic guitars double and treble tracked in a jaunty cascade – wittily belies the grave subject matter.

With the exception of 'Meat Is Murder' – recorded and mixed, anyway, in 1984 – last year was hardly a vintage one for The Smiths. Most worrying was a discernible fall from grace concerning their position as the nation's most natural and consistent single band.

The group's first four singles – 'Hand In Glove', 'This Charming Man', 'What Difference Does It Make' and 'Heaven Knows' – formed a staccato quartet of practically unimpeachable greatness. For an opening salvo, perhaps only the first four Sex Pistols singles – the only Sex Pistols singles – come close in terms of their classic worth. But any comparison between that initial run of Smiths-on-45 with their four most recent efforts – 'That Joke Isn't Funny', 'Shakespeare's Sister', 'Boy With The Thorn In His Side' and the current 'Bigmouth' – illustrates just how sharply the standards have fallen. Morrissey made his reputation as one of the most concise contemporary pop songwriters largely on his skill in the singles arena, a knack which he seems, at least temporarily, to have lost.

The inclusion, therefore, of the band's last two singles on this LP is not really the inducement to buy that the sticker on the sleeve suggests: 'Bigmouth' finds Morrissey at his glass work, but is a non-song by Smiths standards.

Better looking by far – in its music, its message and its humour – is the racy 'Vicar In A Tutu', a song that would have made a great single. A fanciful tale of transvestism in the clergy that could have been called from a Carry On film, it reverberates with some superb quickfire couplets: "As Rose collects the money in a cannister/Who comes sliding down the bannister?/The vicar in a tutu/He's not strange/He just wants to live his life this way."

The music is speedily souped-up rockabilly, guitarman Marr finally rubber-stamping his metamorphosis from That Chiming Man to The Boy With The Twang In His Strang. It sometimes seems as if he is delving further back into his rock'n'roll roots with each successive LP. If last year's 'Rusholme Ruffians' contained one unashamed reference to a vintage Elvis hit with a guitar riff lifted straight from 'His Latest Flame', then 'Vicar In A Tutu' contains another, with the rhythm and tempo of the track harking back to the manic skiffability of 'That's Alright Mama'.

And if 'Tutu' steals from the Sun sessions, the subsequent 'There Is A Light That Never Goes Out' hijacks a treasured Motown memory, that of Marvin Gaye's 'Hitch Hike' ("talent borrows, genius rads jukeboxes!").

Again, however, Marr's homage to rock history is executed with such fluent aplomb that

best. Smiths detractors will often belittle the man's larynx, forever cringing at his whining. What they conveniently overlook is the great sense of timing and phrasing he brings to his dramatic vocal delivery, his sense of the rhythmic beat behind him never less than acute.

'The Queen Is Dead' is, of course, at least partly allegorical, referring as much to Morrissey's nostalgic yearning for a certain lost Englishness as to the redundancy of the monarchy. The miserable undertow to the Morrissey muse is also introduced in the nagging refrain "life is very long when you're lonely", as is the sense of humour which provides an often black and farcical antidote throughout the album: "And so I broke into the palace/ With a sponge and a rusty spanner/She said: 'I know you and you cannot sing'/I said: 'That's nothing, you should hear me play the piano'."

The wit surfaces again on 'Frankly, Mr Shankly', Morrissey's "lame, lame, fatal lame" song. Couched as a letter or speech of resignation from a mundane job, its humour is as much musical as lyrical, the "worker Smiths" Rourke and Joyce etching out a deliberately hammy helping of cod skank (("reggae is vile", anyone?), with an ironic nod to northern working club cabaret. If anything, the track would perhaps have benefited from an even more exaggerated music hall treatment.

But that is not to fault an unsung rhythm section who maintain an adroit peak of sus-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმაიარაღა – გაზეთს რა სჭირდება, ჩვენ უკეთ ვიცითო.

მაშინ ამ სიტყვებმა ცოტა გამაოცა – რაში უნდა დასჭირვებოდა საკმაოდ დახვეწილ გაზეთს ის, რასაც მისი დამფუძნებლები როკში გულისხმობდნენ?! მხოლოდ ორიოდე წლის შემდეგ მივხვდი, რომ ეს პროფესიონალური გათვლა იყო, რომელიც მიზნად ისახავდა ბაზრის ახალი სეგმენტის ათვისებას. ამ სეგმენტს ერქვა ტინეიჯერები და როკის მოყვარულები, რომლებსაც საშუალება ეძლეოდათ მშობლიურ ენაზე მიეღოთ ინფორმაცია მათთვის საინტერესო თემებზე.

მართალია, თანამშრომლობის დიდ პერსპექტივებს ვერ ვხედავდი, მაინც გადავწყვიტე მეცადა. თუმცა ცხოვრების მოშვებულ, ზლაზვნია სტილს ვერ ვუღალატე და ისე მოვახერხე, რომ დრო ცოტა კიდევ გავუწელე. გაზეთში ჰქონდათ ერთი რუბრიკა – „დაიჯესტი“ ერქვა და თარგმნილ მასალებს ბეჭდავდნენ. ვგრძნობდი, რომ ამ გვერდისთვის მათთვის ბევრად უკეთესი მასალები შემეძლო შემოთავაზებინა, ვიდრე თვითონ აქვეყნებდნენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, იმ ხანებში ინტენსიურად ვეცნობოდი ბრიტანულ პრესას. ამ მხრივ ძალიან გამიმართლა, რომ იქაური მეგობრები დიდი დოზებით მაწვდიდნენ არა მხოლოდ მუსიკალურ გამოცემებს, არამედ ყოველდღიურ გაზეთებს და ჟურნალებს. ნამდვილად შემიძლია ვთქვა, რომ შესავალში „ბიტლზთან“ ერთად ნახსენები ის „ოდნავ მეტი“, ნაწილობრივ, ბრიტანული ჟურნალისტიკაა.

როცა პირველად მივედი რედაქციაში, შევთავაზე – დაიჯესტისთვისაც შემიძლია მოგიტანოთ ნათარგმნი სტატიები-მეთქი. კი ბატონოო, მაგრამ უფრო მეტად ჩემი დაწერილი როკი აინტერესებდათ. მე კი პირიქით – თარგმნა უფრო მეიოლებოდა და ამიტომ სანამ ჩემს პირველ სტატიას მივიტანდი, ორიოდე ნათარგმნი მასალა დამიბეჭდეს. თან მაჩქარებდნენ.

სანამ თხრობას გავაგრძელებ, მინდა „ისინი“ წარმოგიდგინოთ; თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ბევრად მეტს იმსახურებენ, ვიდრე მათი ნაცვალსახელით მოხსენიებაა. ხათუნასთან ერთად გაზეთის დამფუძნებელი იყო მაია გოგოლაძე, ერთ-ერთი ყველაზე კარგი ჟურნალისტი, ვისთანაც ურთიერთობა მქონია; კობა ახალბედაშვილი, რომელმაც იმავე წელს წამოიწყო ახალი, დამოუკიდებელი პროექტი გაზეთ „მიმომხილველის“ სახით; გელა გურგენიძე, რომლის ტექნიკურმა უნარებმა დიდად განსაზღვრეს გაზეთის გამორჩეული ვიზუალი; და ზვიად ქორიძე, რომლის საოცარი აქტიურობა მასმედიის ყველა ფრონტზე უკეთ დაგიხასიათებთ მის პიროვნებას, ვიდრე ჩემი გაცვეთილი კომპლიმენტები. მათთან ერთად იყო მწერლური ნიჭით დაჯილდოებული ორი ძალიან ძლიერი ჟურნალისტი, შორენა ლებანიძე და ლია ტოკლიკიშვილი. იქვე დამხვდა გაზეთების გროვაზე ჩამომჯდარი პირველკურსელი ნიჭიერი ბიჭი, გიო სანაია, რომლის ტრაგიკულმა სიკვდილმა რამდენიმე წლის შემდეგ მთელ საქართველოს დასწყვიტა გული. მოგვიანებით შემომატებულ რამდენიმე ავტორზე, რომლებმაც სხვებთან ერთად „7 დღის“ სახე განსაზღვრეს, ქვევით ვისაუბრებთ, მანამდე კი ჩემი ურთიერთობის პირველ დღეებს დავუბრუნდეთ.

საბოლოოდ, როგორც იქნა, მივიტანე. ორი სტატია და იმ თვის როკმოვლენების კალენდარი იყო. მარტო ერთით რატომ არ შემოვიფარგლე, ვერ ვიხსენებ, სამაგიეროდ კარგად მახსოვს კონკრეტულად ამ ორი სტატიისკენ რამ მიბიძგა.

ინგლისური ყოველკვირეული მუსიკალური გაზეთის Melody Makerის 1989 წლის შემოდგომის ნომერში დისკების მიმოხილვის სექციაში ორმა შემსრულებელმა დამაინტერესა. პირველმა იმიტომ რომ, მანამდე სამი წლის წინ თბილისში ჰქონდა კონცერტი, მეორე კი ცნობილი მუსიკოსის შვილი იყო.

1989 წელს, თბილისის საერთაშორისო ჯაზფესტივალზე, სხვებთან ერთად მონაწილეობდა ამერიკელი სანრა. „ლედ ზეპელინის“ დასარტყამებზე შემსრულებლის, მაშინ უკვე გარდაცვლილ ჯონ ბონემის შვილს, ჯეისონს კი თავისი პირველი ალბომი გამოეშვა. ამ თემების შერჩევის კრიტერიუმი მარტივი იყო: პირველ რიგში რედაქციისთვის უნდა გამეცნო თავი. ანუ უნდა მეჩვენებინა ის არეალი, რომელშიც ვაპირებდი მუშაობას. ჩემი ჭკუით, ამ ორი მასალით ჯაზის და როკის მოყვარულებს მივიპყრობდი, ხოლო კალენდარი იქნებოდა მუდმივი, ყოველკვირეული რუბრიკა, სადაც ისტორიულად მნიშვნელოვანი, მშრალი ფაქტები გამოქვეყნდებოდა.

ვერ გეტყვით, მკითხველზე როგორ იმოქმედა ამ ყველაფერმა, მაგრამ, როგორც შევატყვე, რედაქციაში უკ-

იმ დროიდანვე ვიცოდი, რომ ჩემს სტატიებში არ უნდა ყოფილიყო მუსიკოსების ცხოვრების და შემოქმედების ქრონოლოგიური, მშრალი აღწერა. ასეთ სტატიებს ენციკლოპედიურებს ვუწოდებ, რაც არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს ჩემს დადებით დამოკიდებულებას მათდამი. ასეთი წერილის დაწერა შეუძლია ყველას და ის სავსებით მოკლებულია ინდივიდუალობას. ეს დაახლოებით იგივეა, რაც ფეხბურთში, რომელიმე ქვეყნის ჩემპიონატის ცხრილი რომ გამოაქვეყნო და მას შენი გვარი მიაწერო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაყოფილოები არ დარჩნენ. მათ ორივე სტატია და მთლიანი კალენდარი ერთ ნომერში გამოაქვეყნეს. ჩემს მასალებს მთელი გვერდი დაუთმეს. გაფორმებაც ორიგინალური იყო – გაზეთის სტილიდან აშკარად ამოვარდნილი. ამან ჩემზე გამამხნევებლად იმოქმედა – მივხვდი, რომ ჩემთან დაკავშირებით გრძელვადიან ურთიერთობებს გეგმავდნენ. შევთანხმდით — მინიმუმ თვეში ერთხელ როკ-გვერდი უნდა მომემზადებინა და თან ჩემი სურვილით, თარგმნილი მასალები „დაიჯესტისთვის“.

პირველი სტატიის სათაური – „სან რას მზიური მითი“ – არ მომწონს. დღეს ასე არ დავარქმევდი, თუმცა ქვსათაურად გამოდგება. და რადგან სიტყვამ მოიტანა, აქვე გეტყვით ჩემი დამოკიდებულების შესახებ სათაურების და ქვესათაურების მიმართ. როცა წერ მცირე მოცულობის, 3-4-წინადადებიან ამბავს, ვთქვათ, ახლი ამბების სვეტისთვის, ცხადია, სასურველია, რომ სათაური ინფორმაციული იყოს. ამით მკითხველი ადვილად მიხვდება ამბის თემას და თუ საჭიროდ ჩათვლის, მთლიანად წაიკითხავს. რაც შეეხება მოცულობით სტატიებს, ნარკვევებს, პორტრეტებს, იქ საქმე სხვანაირად არის. მიმაჩნია, რომ სტატიის სათაური უნდა იყოს თავისუფალი, მახვილგონივრული, მხატვრული. მან სტატიისგან დამოუკიდებლად უნდა მიიზიდოს მკითხველი. ხოლო ასეთ სათაურს, თუ რა თქმა უნდა, ამის სურვილი ან საჭიროება არის, უფრო ინფორმატიული, თემასთან ახლოს მდგომი, განმარტებითი ქვესათაური მოუხდება.

არ ვიცი რამდენად დამაჯერებლად ავხსენი ჩემი დამოკიდებულება სათაურების მიმართ, მაგრამ ზემოთ ნახსენები სტატიის სათაურიდან დღეს სან რას ამოვიღებდი და ალბათ „მზიურ მითოლოგიას“ ან რაიმე მსგავს უაზრობას დავარქმევდი. რაც შეეხება სტატიას, ის ფაქტობრივად ჩემი დაწერილი არ არის. ჩემია მხოლოდ ლიდი, რომლის ბოლოში ვაცხადებ, რომ სტატია დაწერილია Melody Maker-ის მასალების მიხედვით.

სხვანაირად არის საქმე მეორე სტატიაში. თუ წინა სტატიას სათაურის ნაცვლად ქვესათაური ჰქონდა, ამას ესეც კი არა აქვს და სათაურის ადგილას მთავარი გმირის სახელი და გვარი წერია – ჯეისონ ბონემი. ძალიან მიკვირს და ვერაფრით ამიხსნია ეს როგორ მოხდა – მოკლედ, სრული კატასტროფა. თვითონ სტატიას ეტყობა, რომ ნამუშევარია. ბევრი წყარო მაქვს გამოყენებული, ბევრი ფაქტი – შეგროვებული და გადამოწმებული. საკმაოდ ბევრის წაკითხვა მომიხდა იმისთვის, რომ გაზეთის ნახევარი გვერდი გამევსო.

იმ დროიდანვე ვიცოდი, რომ ჩემს სტატიებში არ უნდა ყოფილიყო მუსიკოსების ცხოვრების და შემოქმედების ქრონოლოგიური, მშრალი აღწერა. მოგვიანებით, როცა ახალგაზრდებთან დავიწყე მუშაობა, ხშირად მიხდებოდა ასეთი ტიპის წერილების კითხვა, განსაკუთრებით მათგან, ვინც პირველად მოდიოდა ჩემთან. ასეთ სტატიებს ენციკლოპედიურებს ვუწოდებ, რაც არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს ჩემს დადებით დამოკიდებულებას მათდამი. ასეთი წერილის დაწერა შეუძლია ყველას და ის სავსებით მოკლებულია ინდივიდუალობას. ეს დაახლოებით იგივეა, რაც ფეხბურთში, რომელიმე ქვეყნის ჩემპიონატის ცხრილი რომ გამოაქვეყნო და მას შენი გვარი მიაწერო.

ერთ თვეში მეორე მუსიკალური გვერდის დრო დადგა. რატომ, არ მახსოვს მაგრამ მთავარ თემად ერიკ კლაპტონი ავირჩიე. ეს ალბათ ჩემი ყველაზე სუსტი სტატიაა. სტატიის სისუსტეს საშინელი რედაქტირება და კორექტორულ-სტილისტური ხასიათის ყოვლად ამოუხსნელი შეცდომებიც დაემატა და მივიღეთ კოშმარი. როცა მასალა გაზეთში ვნახე, ისეთ ცუდ ხასიათზე დავდექი, გადავწყვიტე მათთან თანამშრომლობა შემეწყვიტა. მერე, რა თქმა უნდა, გადავიფიქრე, მაგრამ რედაქციაში ჩემი უკმაყოფილება არ დამიმალავს.

სტატია ორი ნაწილისგან შედგებოდა. პირველი, ძირითადი ნაწილი იყო ჩემ მიერ დაგმობილი ე.წ. ენციკლოპედიური სტილის, მეორე კი კლაპტონის ერთ-ერთი უკანასკნელი კონცერტის მიმოხილვა, რომელსაც ინგლისურ ყოველდღიურ გაზეთ „გარდიანში“ გავეცანი. პირველი ნაწილის სრულიად მოსაწყენ თხრობას ემატებოდა მეორე ნაწილის ყალბი, მაღალფარდოვანი აღმატებული სტილი.

წერილი უამრავი შეცდომით გამოქვეყნდა, რაც ძირითადად არაპროფესიონალურმა შემოკლებებმა გამოიწვია. არაპროფესიონალურში აქ იმას ვგულისხმობ, რომ ის, ვინც ეს ტექსტი შეამოკლა, კარგად არ იცნობდა თემას.

საილუსტრაციოდ ერთ მაგალითს მოვიყვან. ფრაზა „ქრიმი“ (კლაპტონის ჯგუფი) ამჟავდა“ ინგლისური ენის არმცოდნეებზე ვერავითარ ეფექტს ვერ ახდენს. შემოკლებამდე კი ქრიმს მიწერილი ჰქონდა თარგმანი – ნაღები.

მას შემდეგ ბევრი დროა გასული და ამ ამბავმა ისე შედეგიანად იმოქმედა ჩემზე, რომ დღემდე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ტექსტის შემოკლებას. მანიაკალურად ვცდილობ, რომ შემოკლებული ტექსტი მაქსიმალურად ახლოს იყოს ავტორის ორიგინალთან. ეს საკმაოდ პედანტური, შრომატევადი სამუშაო დიდ დროს მოითხოვს, რისი ფუფუნებაც ხშირად არ გაქვს.

გარდა ამისა, სტატიაში უამრავი ადგილია, სადაც სიმღერების ინგლისურენოვანი დასახელებები არ არის გადაყვანილი ლათინურ შრიფტზე და ტექსტი სავსეა ისეთი ლაფსუსებით, როგორიცაა sqvxs, wsju და ა.შ. მესამე ტიპის შეცდომები ისევ ინგლისურენოვან დასახელებებს უკავშირდება და მათი რაოდენობა ძალიან ბევრია. შეცდომები იმდენად აბსურდულია, რომ არც კი ვიცი, ვის დავაბრალო მათი გაჩენა. მოკლედ, ეს სტატია ჩემთვის სერიოზული ჩავარდნა იყო.

ამის მიუხედავად, იმედგაცრუება დავძლიე და მუშაობას ვაგრძელებდი. ამას მხოლოდ მატერიალური მოტივი ჰქონდა: რაც უფრო უკეთ დავწერდი, მით უფრო გაიზრდებოდა მოთხოვნა და მით უფრო ხშირად დამბეჭდავდნენ; შესაბამისად, ჩემი ანაზღაურებაც გაიზრდებოდა. უცნაურია, მაგრამ იმ დროს სხვა ინტერესი, დავბეჭდილიყავი, თუნდაც პრესტიჟის მომენტი, არ მამოძრავებდა. არადა, ჯერ კიდევ სანამ იქ დავიწყებდი წერას, ამ გაზეთს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ პატივს ვცემდი და საერთოდაც, საზოგადოებაში დამსახურებული პოპულარობით სარგებლობდა.

მომავალი წერილის თემად ჯონ ლენონი, უფრო სწორედ კი მის შესახებ დაწერილი წიგნი შევარჩიე. წიგნი ახალი წაკითხული მქონდა. ამას კი ის დაემატა, რომ იმავე ხანებში ჩემს საყვარელ Melody Maker-ში გავეცანი ცნობილი როკ-მწერლის პოლ გამბაჩინის ინტერვიუს ამ წიგნის ავტორთან, ალბერტ გოლდმანთან. ეს ყველაფერი რომ სტატიად არ გადამექცია, დანაშაული იქნებოდა. მაგრამ მანამდე ოდნავ გადავუხვევ თემას.

უკვე არაერთგზის ნახსენებ ინგლისურ პრესაში, ცხადია, განსაკუთრებული ადგილი ეჭირა მუსიკალურ გამოცემებს. „ბიტლზის" მეშვეობით, ძნელი იყო.

ალბერტ გოლდმანის ერთი წიგნი ელვის პრესლის შესახებ წაკითხული მქონდა და ეხლაც სახლში მაქვს. ბევრი ვერაფერი წიგნია, მაგრამ მაინც სიამაყით ვინახავ. ლენონზე რომ გამოსცა წიგნი, ინგლისში ვიყავი. ეს ის პერიოდია, როცა სალმან რუშდის „სატანური ლექსები" გამოვიდა. ჰოდა, გოლდმანის წიგნმა ისევე გააღიზიანა ლენონის თაყვანისმცემლები, როგორც რუშდის ნაწარმოებმა ისლამისტები. ეს ის დრო იყო, როცა ფუნდამენტალისტები იმ წიგნის მაღაზიების აფეთქებით იმუქრებოდნენ, სადაც რუშდის წიგნი გაიყიდებოდა. ამის მიუხედავად, მაღაზიები ისე იყო გადავსებული რუშდის წიგნებით, როგორც საბჭოთა გასტრონომების ვიტრინები შედედებული

და ამიტომ საეჭვო ღირსების წიგნის ძვირფას ფუნტებს ვერ შეველეოდი. სამაგიეროდ, ამ თემასთან დაკავშირებული სამი წიგნი შევიძინე: ერთ წიგნში გაერთიანებულია ლენონის ნონსენსების ორი კრებული – In His Own Write da A Spaniard In The Works, ლენონის ყოფილი ცოლის, cintias A Twist Of Lennon (1978 წელს, როცა ეს წიგნი პირველად გამოიცა, ცინტიას მესამე ქმარი ჰყავდა – ჯონ ტვისტი; სწორედ ამ გვარს ეფუძნება სათაურში გამოყენებული სიტყვების თამაში) და მეტად პრაქტიკული ნაშრომი, ჯეფ რასელის „ბიტლზის" სრული დისკოგრაფია". სწორედ ამ უკანასკნელის დამსახურებაა, რომ მივხვდი, რა მიმართულებით უნდა განმევითარებინა ჩანაწერების კოლექციონერობა.

ეს ის დრო იყო, როცა ფუნდამენტალისტები იმ წიგნის მაღაზიების აფეთქებით იმუქრებოდნენ, სადაც რუშდის წიგნი გაიყიდებოდა. ამის მიუხედავად, მაღაზიები ისე იყო გადავსებული რუშდის წიგნებით, როგორც საბჭოთა გასტრონომების ვიტრინები შედედებული რძის ქილებით. ზუსტად იგივე ითქმის გოლდმანის წიგნზეც. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო სადგურების მიმდებარე ტერიტორიებზე განლაგებულ მაღაზიებზე – თითქოს, ამ ორის გარდა, სხვა წიგნი არ არსებობდა.

Melody Maker-ის არსებობის შესახებ ბავშვობიდან ვიცოდი. იმ პერიოდში ის მეორე ყოველკვირეულთან, New Musical Express-თან ერთად ბრიტანული მუსიკალური პრესის ლიდერი იყო. ცხადია, საქართველოში ამ გაზეთების ხელში ჩაგდებაზე მაშინ ვერც იოცნებებდი. მეორე ათასწლეულში Melody Maker-მა ვეღარ „გაქაჩა". ის თანამშრომლებიანად შეუერთდა New Musical Express-ს და ამ სახელით და შეცვლილი ფორმატით აგრძელებს წარმატებულ არსებობას. იმ დროს კი, როცა ინტერნეტი არ არსებობდა, ეს გაზეთი და კიდევ სხვა მრავალი, რომელიც ხელში ჩამივარდებოდა, დიდ ინფორმაციულ უპირატესობას მანიჭებდა ამ თემატიკით დაინტერესებულ თანამემამულეებთან შედარებით. ამ უპირატესობას უფრო აძლიერებდნენ წიგნები, რომელთა შოვნა კიდევ უფრო

რძის ქილებით. ზუსტად იგივე ითქმის გოლდმანის წიგნზეც. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო სადგურების მიმდებარე ტერიტორიებზე განლაგებულ მაღაზიებზე – თითქოს, ამ ორის გარდა, სხვა წიგნი არ არსებობდა.

მიუხედავად იმისა, რომ გოლდმანის „ლენონი" ძვირი არ ღირდა – 6 ფუნტი სტერლინგი – წიგნი არ ვიყიდე. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობდა: პირველ რიგში, ლენონზე უკვე მქონდა რეი კონოლის წიგნი და იმ დროისთვის დიდი ფუფუნება იქნებოდა ერთი ადამიანის ორი ბიოგრაფიის შეძენა. გარდა ამისა, მაშინ უკვე ვიცოდი, რომ ეს არ იყო ობიექტური ბიოგრაფია. და მესამე: როგორც უკვე აღვნიშნე, ინგლისში, ისევე როგორც კაპიტალისტური სამყაროს სხვა ქვეყნებში წამსვლელებს, საბჭოთა ხელისუფლება ძალიან ცოტა ფულს უხურდავებდა

ბევრი რომ არა გავაგრძელო, გოლდმანის ლენონი ამხანაგის მეშვეობით თბილისში წავიკითხე და ჩემი შთბეჭდილებები სტატიად ვაქციე.

წინა სტატიებისგან განსხვავებით, ეს უკანასკნელი კარგად იყო ილუსტრირებული. სულ 5, იმ დროისთვის იშვიათი ფოტო დაიბეჭდა, მათ შორის ერთი გოლდმანის, ერთი კი საკმაოდ თამამი – გაშიშვლებულ ლენონს და იოკოს წინ გაზეთი აქვთ აფარებული. ბუნებრივია, ფოტოებზეც მე ვზრუნავდი. თუმცა გაზეთის ვიზუალურ სახეს, როგორც ვთქვით, გელა გურგენიძე განსაზღვრავდა. აღსანიშნავია, რომ „7 დღე" შინაარსთან ერთად, დიზაინითაც გამოირჩეოდა.

ჩემი შემდეგი წერილი ჯორჯ ჰარისონს მიეძღვნა. წერილის საფუძველი გახდა, ჟურნალ „როლინგ სტოუნში" გამოქვეყნებული ძველი ინტერვიუ.









sound of The Smiths. It's ir languid dreams
without stopping to ques s man Morrissey
should be placed in the i eaven and pillow.
Just how clinical and h ucer of our
imaginations? How genu d often mutually
exclusive) stances as co formed literary
libertine and celibate qa mplation of his
flamboyant advances I'v on as to what
precisely he bears betor is after. What
remains at the core of M ue that has so far
proved impenetrable – h t, but there is never
enough glimpsed to disp

Consideration of The Smiths always ends up as attempted penetration of Morrissey's singular charms, primarily because The Smiths in plural are as average as their unchariismatic name suggests. Where Morrissey is a wielder of the archaic art of the word, his cohorts are merely competent workers in the grimy craft of pop. Musically The Smiths are little more than mildly regressive. What saves them is Morrissey's rare grasp of the myriad distortions of the pastel worlds of nostalgia. Much of the intrigue behind The Smiths is not what they have to offer but the seductive manner in

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსობრივი თვალსაზრისით, აქამდე გამოქვეყნებულ ყველა წერილს სჯობდა, ძალიან ინფორმაციული იყო და კარგად იკითხებოდა. თუმცა ამაში ჩემი დამსახურება თითქმის არაფერი იყო; მე ერთგვარად, კარგი მემონტაჟის როლი შევასრულე. მიუხედავად იმისა, რომ მასალა ბევრად უფრო სრულყოფილად იყო მიტანილი მკითხველამდე, აქაც გაიპარა ორიოდე კორექტურული შეცდომა. მაგალითად, „პლაგიატორის" ნაცვლად „გლადიატორი" ეწერა.

კიდევ უფრო ინფორმაციული გამოვიდა ნოემბრის როკგამოშვება, რომელიც რომელიმე კონკრეტულ მუსიკოსს კი არ აშუქებდა, არამედ მოვლენას, რომელსაც „როკ-ენ-როლის დიდების დარბაზი" ერქვა. ამ წერილში მუსიკოსებთან ერთად წარმოდგენილები იყვნენ კომპოზიტორები, მენეჯერები, პროდიუსერები და მუსიკალურ ბიზნესში მოღვაწე სხვა პიროვნებები. ბუნებრივია, ამ სტატიაზე განსაკუთრებით ბევრი ვიმუშავე. ვთვლი, რომ შრომა დამიფასდა (მატერიალურად არ ვგულისხმობ), რადგან ჩემი ადრეული სტატიებიდან, ერთ-ერთ საუკეთესოდ მიმაჩნია. ისეთია, რომ დღესაც არ შემრცხვებოდა მისი.

ამ წერილისთვის, გარდა ბეჭდური წყაროებისა, გამოვიყენე ვიდეოთი ნანახი ინფორმაცია. მახსოვს რამდენი ვიწვალე, მიკ ჯაგერის მიერ სცენაზე ნათქვამი ერთი ფრაზა რომ გამეშიფრა. მიუხედავად იმისა, რომ ვიდეოტექნიკა უკვე საყოველთაოდ ხელმისაწვდომი იყო, ხარისხიანი როკ-მუსიკალური ვიდეოები მაინც რეალურ დეფიციტს წარმოადგენდა.

საბჭოთა პერიოდის ბოლო წლებში საქართველოში, მუსიკის მოყვარულთა შორის პოპულარული იყო ერთადერთი – ევგენი მაჭავარიანის გადაცემა. 90-ანი წლების დასაწყისში მდგომარეობა შეიცვალა. პირველ რიგში, არსებობდა ერთი „გაურკვეველი" წარმოშობის არხი, Super Chanel, რომელიც უხვად ატრიალებდა პოპ და შედარებით იშვიათად, როკ კლიპებს. ამ არხთან დაკავშირებით ღირებულს ვერაფერს ვიხსენებ, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მისი მეშვეობით გავიცანი ამერიკული ჯგუფი Red Hot Chili Peppers. 1991 წელს ჯგუფმა გამოუშვა თავისი კარიერის უმნიშვნელოვანესი ალბომი, Blood, Sugar, Sex, Magic და ეს არხი ხშირად ატრიალებდა ორ სიმღერას ამ დისკიდან – Give It Away და Under The Bridge.

უფრო მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ ამ მხრივ, ქართული არხები გააქტიურდნენ. პირველ რიგში ეს ეხება ახლადშექმნილ და ხანმოკლედ არსებულ დამოუკიდებელ ტელეკომპანიებს. მათ შორის პირველი გაჩნდა „მერმისი". მისი მუსიკალური პოლიტიკა ოდნავ გაუგებარი იყო, ამიტომ ბევრი ვერაფრით დაგვამახსოვრა თავი.

მალე სახელმწიფო მაუწყებლის მეორე არხს გასართობის ფუნქცია დააკისრეს. მუსიკაში ეს იმით გამოიხატა, რომ არხმა დაიწყო ქართული როკის პროპაგანდა. ამ საქმეს კი არხის თანამშრომელები სერგი გვარჯალაძის მეთაურობით, ნამუსიანად ემსახურებოდნენ.

მერე იყო „იბერვიზია". ამ არხისთვის მე და ზურა კაკაბაძემ გადაცემა მოვამზადეთ. წამყვანებიც ჩვენ ვიყავით. ამ ტელევიზიის ერთ-ერთი პირველი გადაცემა იყო და ჯერ კიდევ საცდელი მაუწყებლობის დროს გავიდა ეთერში. ნებვორთის როკფესტივალის ვარსკვლავები ვაჩვენეთ და თან ვყვებოდით ფესტივალზე და შემსრულებლებზე. კარგი რეზონანსი მოჰყვა. მეორე დღეს გახარებულმა არხის ხელმძღვანელმა გვითხრა, ძალიან მაგარი იყო, თუმცა ზედმეტად ინტელექტუალურიო.

შევეცდები ამ შემთხვევაში ეს „ინტელექტუალური" გავშიფრო. მიუხედავად იმისა, რომ გადაცემის ფორმატი ორიგინალურობით არ გამოირჩეოდა, ამ ტიპის მუსიკალური გადაცემა მაშინ არ არსებობდა. ან კლიპების კრებულს აჩვენებდნენ ხოლმე, ან ვინმეს კონცერტს, ყოველგვარი კომენტარის გარეშე. ამ მხრივ უნიკალური იყო ე.წ. „ბუნკერის ტელევიზია", რომელიც ხელისუფლების მხარდასაჭერად მაუწყებლობდა, როცა ტელევიზიის შენობა ოპოზიციას ჰქონდა დაკავებული. Hhoda ამ ტელევიზიამ ერთი-ორჯერ მშვენიერი მუსიკალური საჩუქარი გაგვიკეთა. ეტყობა ვიღაცას სახლიდან საკუთარი ვიდეოები მოჰქონდა და ისე უშვებდა, უკომენტაროდ. განსაკუთრებით ერთი ვიდეო უნდა გამოვყო. აჩვენეს ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ ჩვენში ნაკლებად ცნობილი კანადურ-ამერიკული როკჯგუფის, The Band-ის გამოსამშვიდობებელი ფილმ-კონცერტი The Last Waltz, რომლის რეჟისორი მარტინ სკორსეზე იყო. კონცერტზე სხვებთან ერთად გამოდიოდნენ ისეთი დონის სტუმრები, როგორებიც არიან რინგო სტარი, ერიკ კლაპტონი, ბობ დილანი, ნილ იანგი, ვენ მორისონი და რონი ვუდი. ცხადია, ეს ვიდეოც ყოველგვარი გამოცხადების და შესავლის გარეშე გაუშვეს, როგორც კი საინფორმაციო გამოშვება მორჩა. საკმაოდ

მერე იყო „იბერვიზია". ამ არხისთვის მე და ზურა კაკაბაძემ გადაცემა მოვამზადეთ. წამყვანებიც ჩვენ ვიყავით. ამ ტელევიზიის ერთ-ერთი პირველი გადაცემა იყო და ჯერ კიდევ საცდელი მაუწყებლობის დროს გავიდა ეთერში. ნებვორთის როკფესტივალის ვარსკვლავები ვაჩვენეთ და თან ვყვებოდით ფესტივალზე და შემსრულებლებზე. კარგი რეზონანსი მოჰყვა. მეორე დღეს გახარებულმა არხის ხელმძღვანელმა გვითხრა, ძალიან მაგარი იყო, თუმცა ზედმეტად ინტელექტუალურიო.

გრძელი ფილმია და მისი დამთავრების შემდეგ ძალიან ბევრი ახლობელი მირეკავდა კითხვით – რა ჯგუფი იყო ასეთი საინტერესო მუსიკით და ამდენი ვარსკვლავ-სტუმრითო.

მას შემდეგ დიდი დრო არ იყო გასული, რომ ჩვენი გადაცემა აჩვენეს. ჰოდა, ასეთ ფონზე არ არის გასაოცარი, რომ ჩვენი კომენტარები „ინტელექტუალურად" ჩაითვალა. თანაც, სიმართლე რომ ითქვას, ინტელექტი (თუ არსებობდა) ალბათ ჩვენი ერთადერთი უპირატესობა იყო. ასეა თუ ისე, „უპირატესობის" მიუხედავად, ჩვენი მოღვაწეობა ამ არხზე მალევე შეწყდა. ამ ამბებიდან საკმაოდ მალე კი „7 დღესთან" დავიწყე ურთიერთობა.

შემდეგი, ანუ დეკემბრის როკ-გამოშვება გაზეთში ერთი ახალი რუბრიკით „გავამდიდრე". ეს იყო როკკულტურის შესახებ გამოქვეყნებული წიგნების მიმოხილვა. თავისთავად ბევრს არაფერს წარმოადგენდა, მაგრამ მკითხველებში როკის პოპულარობისთვის წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. გამოშვების მთავარი მასალა კი ჯგუფ Byrds-ს შეეხებოდა. არა უშავდა. 5-ბალიანი სისტემით რომ შევაფასოთ, თითქმის ოთხიანამდე ქაჩავდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ სტატიით მთლად კმაყოფილი არ ვიყავი, სწორედ მაშინ გამიჩნდა ერთგვარი სტაბილურობის, თვითრწმენის მსგავსი განცდა. თვე არ მახსოვს, მაგრამ სწორედ იმ ზამთარს შემომთავაზა ზვიად ქორიძემ „7 დღის" რედაქციის შტატში ჩასმა. უარი ვუთხარი: პირველ რიგში იმიტომ, რომ იმ პასუხისმგებლობის აღება არ მინდოდა, რაც მოჰყვებოდა შტატში ჩასმასთან დაკავშირებით, ჩემი ფუნქციების გაზრდას. თანაც მაშინ, როცა დამოუკიდებელი ქართული პრესა პირველ ნაბიჯებს დგამდა, დასაქმებულთა ხელფასები არცთუ შესაშური იყო. თუმცა ეს გადაწყვეტილება არ ნიშნავდა, რომ მე ნაკლებს დავწერდი. პირიქით, უკვე თითქმის ყველა ნომერში იყო ჩემ მიერ მომზადებული მასალა. იმ პერიოდის ინფორმაციული ვაკუუმის გათვალისწინებით, ეს მასალები ნამდვილად გამოირჩეოდა, რადგან თითქმის მთლიანად ბრიტანულ პრესას ეყრდნობოდა.

ასეა თუ ისე, არცთუ დიდი ხნის შემდეგ, გაზაფხულზე, ისე, რომ ჩემთვის არაფერი უკითხავთ, ჩამსვეს შტატში და დამინიშნეს სტაბილური ხელფასი. მაშინ ამაზე არ მიფიქრია, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ სწორი გადაწყვეტილება იყო – ჩემთვისაც კარგად გამოვიდა და გაზეთისთვისაც.

ახალ წლამდე კიდევ ერთი როკ-გამოშვება მოვამზადე. წინა გამოშვებებთან შედარებით ოდნავ მრავალფეროვანი იყო და გაზეთში გვერდნახევარი ეკავა. ერთი ახალი რუბრიკაც ვისესხე ინგლისური პერიოდიკიდან – „ფრაზები".

ასე დამთავრდა ეს წელი. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი დებიუტი პრესაში წარუმატებელი არ იყო, მაინც არ ვფიქრობდი ამ საქმიანობაზე, როგორც ჩემი მომავალი შემოსავლების ერთადერთ წყაროზე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

„გულივერის მოგზაურობა“

„გულივერი“, „მაკბეტი“ და სხვა თამაშობანი ლეპაჟის მთვარის შუქზე

თბილისის მეხუთე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი

ავტორი: დავით ბუხრიკიძე

უკვე დაფრთიანებულ თბილისის მეხუთე საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს საკმაოდ ჰყავდა ფავორიტები – გაბედული და ექსტრემალური პოლონელი რეჟისორი მაია კლეჩევსკა, რომლის პოსტმოდერნისტულ „მაკბეტს“ უფრო მაყურებლის იმედგაცრუება მოჰყვა (გასულ წელს წარმოდგენილი „ღმერთების სიკვდილისგან“ განსხვავებით); ევროპაში ერთობ წარმატებული რუმინელი რეჟისორი სილვიუ პურკარეტე, რომლის დასი „რადუ სტანსა“ ორი სპექტაკლით ეწვია თბილისს („გოდოს მოლოდინში“ და „გულივერის მოგზაურობა“); იტალიელი მსახიობი და რეჟისორი პიპო დელბონო (ერთ დროს პინა ბაუშის დასის წევრი და ალტერნატიული თეატრალური ენისა და სივრცის მოტრფიალე (თეატრალებმა იხილეს მისი სპექტაკლი „ბრძოლის შემდეგ“); ნიჭიერი ბრიტანელი რეჟისორისა და ქორეოგრაფის, ამიტ ლაჰავის ექპერიმენტით შთაგონებული ბრიტანული დასი „გეკო“, რომელთა მარდი ფეხგასმა მაყურებელს ჯერ კიდევ ორი წლის წინანდელი ფესტივალიდან ახსოვდა.

თუმცა ფესტივალი მსოფლიოში გამორჩეულმა თეატრალურმა პერსონამ – კანადელმა რეჟისორმა რობერ ლეპაჟმა გახსნა. სიმართლე ითქვას, შედევრად შერაცხული მისი სპექტაკლი „მთვარის შორეული მხარე“, შესანიშნავი სარეკლამო სატყუარა იქნებოდა ნებისმიერი ფესტივალისთვის. იმიტომ, რომ ხარისხის ნიშანი ლეპაჟი ყოველთვის უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე თუნდაც ყველაზე თავზეხელაღებულ ახალგაზრდა რეჟისორთა გაბედული თარეში.

მაშ ასე, რობერ ლეპაჟი – რეჟისორი, სცენარისტი, მსახიობი, მთხრობელი. მრავალი თეატრალური ფესტივალის მონაწილე და დედამიწაზე თითქმის ყველა ცნობილი თეატრალური პრემიის ლაურეატი. მისი უნივერსალური, პოეტური და დახვეწილი ირონიით გაჯერებული წარმოდგენის „ტესტირება“ სახელწოდებით „მთვარის შორეული მხარე“ რუსთაველის თეატრში დაახლოებით ორი საათისა და ოცი წუთის განმავლობაში მიმდინარეობდა და გულგრილი არავინ დაუტოვებია. სპექტაკლი დაახლოებით ათი წლის წინ დაიდგა და მასში თავად ლეპაჟი თამაშობდა. თუმცა კარგა ხანია იგი შესანიშნავი აქტიორული ტექნიკის მქონე მსახიობმა, ივ ჟაკმა შეცვალა, რომლის თამაში რუსთაველის სცენაზე ასევე გულწრფელობის, ირონიისა და პოეზიით ნაზავით გამოირჩევა.

...ორმოცი წლის ფილიპი კულტურის ფილოსოფოსია და დისერტაციას ამზადებს თემაზე: რა გავლენას ახდენს მეცნიერული აღმოჩენები კოსმოსზე. სინამდვილეში ის განუხორციელებე-

„მაკბეტი“

ლი ოცნებით, კოსმოსში მოგზაურობითაა შეპყრობილი. ფილიპი ყველაფერში ხელმოცარულია: გარდაეცვალა დედა, ვერ იცავს დისერტაციას, არ უმართლებს სამსახურში და პირად ცხოვრებაში, უარს ეუბნებიან უნივერსიტეტში და სარეკლამო სააგენტოში.

სპექტაკლის გმირის ერთფეროვან ცხოვრებაშიც და წარმოსახვაშიც უმთავრესი კოსმოსია. ვიდეოპროექციით ეკრანზე ჩნდება ციოლკოვსკის ბავშვობის დროინელი ფოტო. შემდეგ ალექსეი ლეონოვის კადრები მთვარეზე, გაგარინი კოსმოსში გაფრენის წინ, 1975 წელს „სოიუზ-აპოლონის“ ოპერაცია, გატრუნული საბჭოთა მოსწავლეები, რომლებიც რადიომიმღებით სერეგი კოროლიოვს უსმენენ... ასევე ირკვევა, რომ კოსმოსური სივრცის ათვისებაში, მთავარ მეტოქეებს – ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის – ფილიპი სიმპათიებს უფრო რომანტიკოსი საბჭოთა „კოსმონავტების“ მიმართ ამჟღავნებს და ნაკლებად მოსწონს პრაგმატული ამერიკელი „ასტრონავტები“.

ფოლიპი ამაოდ ელოდება კოსმონავტ ლეონოვს ბარში, დააგვიანებს კონფერენციაზე მოსკოვში (მიუხედავად იმისა, რომ გაფრენის ეშინია), წაეჩხუბება „ერთადერთ დარჩენილ ნათესავს“, ძმას. მის ბინაში უწყლობისგან კვდება ოქროსფერი თევზი სახელად „ბეთჰოვენი“. წარუმატებელი, მაგრამ მუდამ რომატიკოსი ფილიპი „ჰოუმ-ვიდეოსაც“ იღებს, რომელსაც წარადგენს კონკურსზე – „საუკეთესო რეპორტაჟი დედამინის შესახებ უცხოპლანეტელებისთვის“. და ეს ალბათ, მისი ერთადერთი წარმატებაა ცხოვრებაში.

“მთვარის შორეული მხარე“ თითქოს აერთიანებს მონოლოგს და აღსარებას. საკუთარ პროზაულ ცხოვრებაზე ფილიპი უინტერესოდ ყვება, თითქოს მაყურებელს ანგარიშს აბარებს, კოსმოსის შესახებ კი – პოეტური აღფრთოვანებით და მორიდებით, მაგრამ ყოველთვის სხარტი ირონიით. მიწიერ და კოსმიურ ცხოვრებას ლეპაჟი თეატრალური ფანტაზიით აღავსებს. სარეცხის მანქანის მრგვალი კარი ზუსტად ერითმება კოსმოსური ხომალდის ილუმინატორსა და საათის ციფერბლატს, საუთოო მაგიდა უმალ „გარდაიქმნება“ ფიტნესკლუბში დადგმულ სავარჯიშოდ, ხოლო აკვარიუმი მოულოდნელად იქცევა იდუმალ, სავსე მთვარედ. რეჟისორი მინიმალისტური ხერხებით გარდაქმნის სცენურ „შავ კვადრატს“ ხან პატარა ბინად, ხან თვითმფრინავის სალონად, ხან მოსაცდელად. განათების სულ უბრალო ცვლილება და დახუთული ბინიდან ღია კოსმოსში გადიხართ...

ლეპაჟი მხოლოდ ორჯერ იყენებს გიგანტურ სარკეს. ჯერ სპექტაკლის დასაწყისში, როცა მაყურებელი საკუთარ ანარეკლს ხედავს და შემდეგ ფინალში – როცა ფილიპი სცენაზე გორავს, მაგრამ სარკის წყალობით იქმნება შთაბეჭდილება, რომ მისი სხეული უწონადობაში ლივლივებს! ამ ყველაფერს კი ბეთჰოვენის „მთვარის სონატის“ ტაქტები საოცრად პოეტურ და ამავე დროს ფაქიზ ირონიას სძენს.

სხეული ცვდება, უძლურდება, ავადდება, ფერფლად იქცევა, ციოლკოვსკის ბავშვობის ფოტო და გაგარინის ღიმილი – არასოდეს! ლეპაჟის იდუმალი და ამავე დროს ძალიან პირადული სპექტაკლი (რეჟისორმა ის დედის გარდაცვალებას მიუძღვნა) მიწისა და მთვარის მოკრძალებულ გაბაასებასაც ჰგავს... ვინ იცის, იქნებ აღთქმული მიწის საძიებლად გაგარინის მსგავსად, ჯერ აღთქმულ მთვარეზე უნდა გაემგზავრო?!

პუბლიკა განსაკუთრებული ინტერესით ელოდა გასული წლის ფავორიტის, პოლონელი რეჟისორის მაია კლეჩევსკას „მაკბეტს“. ამ მოლოდინს უთუოდ განაპირობებდა თეატრალთა მეხსიერებაში სამუდამოდ აღბეჭდილი სპექტაკლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ღმერთების სიკვდილი“, რომელიც იან კოხანოვსკის სახელობის თეატრმა ქალაქ ოპოლედან გასულ წელს წარმოადგინა ფესტივალზე. „მაკბეტი“ ძალაუფლების, ძალადობის და ბედისწერის თემების მუდმივი კომბინაციაა. იცვლება დრო, მაგრამ ადამიანთა სურვილები, ვნებები და მისწრაფებები უცვლელია. პოსტმოდერნისტულად აჭრელებული და ამავე დროს, ზარდამცემი და ცინიკურია მაია კლეჩევსკას სპეტაკლი, მის მთავარ გზავნილებს სცენოგრაფი და მხატვარი, კატარჟინა ბორკოვსკა ვიზუალურად „ახმოვანებს“.

სპექტაკლში მოქმედება მაქსიმალურად აბსტრაჰირებულია, მოქმედება ხან ტრანსსექსუალ-კუდიანთა ბარში ხდება, ხან ახლად დაქორწინებული მილიონერის ბინაში, ხანაც კოლუმბიელი ნარკომაფიოზების აგარაკზე. სცენურ სივრცეს დამცინავ მეტაფორად გასდევს დისკო და პოპმუსიკა. მისი შესრულებით გართული კუდიანები თითქოს არც იმჩნევენ სისასტიკეს და ძალადობას. პირიქით, ისინი თავადაც ხალისიანად მონაწილეობენ ძალადობის კარნავალში.

შექსპირის პიესის მთავარ გზავნილს – რატომ იზიდავს და ანადგურებს ადამიანს ძალაუფლება – რეჟისორი დაუნდობელი და ცინიკური თამაშის წესებით გადმოსცემს. დანკანი, ბენკო, მაკდაფი, მაკბეტი თანამედროვე ბიზნესმენები არიან, რომელთა გარყვნილი და ძალადობრივი ფანტაზია არსებობისათვის ჰაერს არავის უტოვებს.

თუ „ღმერთების სიკდილში“ ღმერთის არსებობის დამადასტურებელი კონვულსიები ფონ ესებეკების ოჯახის არისტოკრატიული მგრძნობელობისა და წარსულის დიდების წყალობით ჯერ კიდევ შემორჩენილია, „მაკბეტში“ ის მართლაც მკვდარია. უფრო ზუსტად, ეგზიტენციურად მკვდარი და, შესაბამისად, აღარც ისმება კითხვა, თუ ვინ აგებს ბოროტების ქარბორბალაზე პასუხს. მაკბეტ-ლედი მაკბეტის დუეტში მაინც მიხალ მაჟნიცის მიერ განსახიერებული მაკბეტი გამოირჩევა, რომელიც ფსიქოლოგიურად დაუნდობელ, ბოროტებით მოწამლულ და დეპრესიაში ჩავარდნილ კაცს თამაშობს. სიმართლე რომ ითქვას, პოპმუსიკით და ხმაურით გადატვირთული სცენები, ტრანსსექსუალ-მჩხიბავთა მხიარული როკვა, (გლორია გეინერის ჰიტის ფონზე) ალმოდოვარის, ბობ ფოსის ფილმების ციტირება და ოდნავ უხამსი ტონალობა, ხარისხს ნამდვილად უკარგავს სპექტაკლს.

სილვიუ პურკარეტეს სპექტაკლი „გოდოს მოლოდინში“ გაცილებით ახლოა ჩეხოვის პიესების ატმოსფეროსთან და ჩაპლინის „პატარა ადამიანის“ განგების აღწერასთან. სად მთავრდება რეალობა და სად იწყება უსასრულობა? რა ხდება ორი უსახლკარო, მივიწყებული ადამიანის გულში? არის თუ არა „გოდო“ მხოლოდ მეტაფიზიკა, თუ ეს თითოეული ჩვენგანის მოლოდინია? ბეკეტის უნივერსალური ტექსტი იმიტომაც არის გამორჩეული, რომ ავტორი არ მიუთითებს სავლდებულო ვექტორზე – საით მიისწრაფის კაცობრიობა. იგი ეგზისტენციურ არჩევანს თავად პიესის მკითხველს, შემდეგ უკვე მაყურებელს უტოვებს.

პურკარეტეს სპექტაკლი კონკრეტული პერსონაჟების – გოგოსა და დიდის თამაშის წყალობით (აღსანიშნავია, რომ დიდის როლს ცნობილი რუმინელი მსახიობი, „რადუ სტანცას“ დასის მთავარი პერსონა კონსტანტინ კირიაკი ასრულებს) ჩვეულებრივი, სიუეტის მქონე პიესის კონტურებს იძენს. რეჟისურის წყალობით ის ბევრად რეალისტური, ადამიანური და ზუსტია, ვიდრე აბსურდული; ცოტათი ბუნდოვანი და განყენებული, რაც უმეტეს შემთხვევაში ამ პიესის დადგმისას ხდება ხოლმე.

მაყურებელსაც თითქმის იგივე მოლოდინი უჩნდება, რაც პერსონაჟებს. ისიც ვიღაც გოდოს მოლოდინშია – იმედით, რეფლექსიით, უსაასოობით, ვედრებით. სილვიუ პუკარეტე ბეკეტის სამყაროს ცხადად და ატმოსფეროს შეგრძნებით აღწერს. ამავდროულად, მოქმედება მოქცეულია პოლიეთილენის კედლებით შემოსაზღვრულ, ადამიანური გრძნობებით გამთბარ სივრცეში. სცენოგრაფია თითქოს ლტოლვილთა ბანაკსაც ჰგავს, რაც ასე მტკივნეულ ასოციაციებს აღძრავს მაყურებელში.

უფრო შთამბეჭდავი აღმოჩნდა პურკარეტეს მეორე საფესტივალო სპექტაკლი „გულივერის მოგზაურობა“. როგორც პროგრამაშია მითითებული – „სამსახიობო სავარჯიშოები ჯონათან სვიფტის ნაწარმოებზე“ (კომპოზიტორი: შონ დავი, სცენოგრაფი და მხატვარი დრაგოს ბუჰაგიარი). ხილვები, კოშმარული სიზმრები თუ პერფორმანსული ხედვა რეჟისორს ჯონათან სვიფტის ნაწარმოების სრულიად ახლებური გააზრების საშუალებას აძლევს. ფანტასტიკა მოულოდნელად პოლიტიკურ სატირას ერწყმის. მრავალრიცხოვანი პერსონაჟები შონ დავის ორიგინალური მუსიკის ფონზე (მკითხველს შევახსენებთ, რომ შონ დავი „მხიარული სასაფლაოს ხმების“ ავტორია) წარმოადგენენ სხვადასხვა თემებს: მოგზაურობას, გაქცევას, გადასახლებას, სიმარტოვეს, კილექტიურ სიგიჟეს... სპექტაკლს თავად სვიფტი იწყებს, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ წლებს თავშესაფარში ატარებს; გონებრივად უკვე დეგრადირებული და ფიზიკურად დასუსტებული.

აბსოლუტურ სცენურ სითეთრეს, სიმართლე რომ ვთქვათ, პეტერ ვაისის ცნობილი პიესა „მარატ-სადი“ უფრო მოუხდებოდა. სცენიდან თავად რეჟისორის ხმა ისმის, რომელიც „გულივერის მოგზაურობის“ მეოთხე წიგნიდან ფრაგმენტს კითხულობს. ის იაჰუების ქვეყნიდან ბრუნდება. სცენაზე ცხენის ფორმაში გადაცმული ქალბატონები მოძრაობენ, შემდეგ სცენაზე ნამდვილი ცხენიც გაივლის. ყველაფერი, რაც სცენაზე ხდება, ან ავტორის სიზმრის ნაწილია, ან რეალური კოშმარი. პატარა ბავშვი კი ცხენის ფორმის ველოსიპედზე ზის და იაჰუს შთამომავალთა საშინელ ყოფას უყურებს...

„გულივერი“ პირქუში, უცნაური და ფანტასმაგორიული სანახაობაა. ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს რეჟისორის ინსპირაცია ერთდროულად ბოსხის ტილოებს, გოგოლის ნაწარმოებებს და პაზოლინის „სალოს“ მოიცავს. რობოტებივით მომუშავე კაცები და საშინელი და დასნეულებული ქალები უცოდველი ბავშვებისგან (რომელიც ჯონათან სვიფტის ნაშრომებში ღმერთის სიმბოლოს წარმოადგენს) ცოდვების შეწყალებას ითხოვენ. მაგრამ გვიანაა – ისინი გადარჩენისთვის ერთმანეთს ხოცავენ. თუმცა ფინალში მოხუცი სვიფტი და ბავშვი ერთმანეთს ხვდებიან და მთელი ეს საათნახევრიანი სცენური სიგიჟე მოულოდნელად პოეზიით ივსება.

„გოდოს მოლოდინში“

„მთვარის მრრი მხარე“

სამაგიეროდ, პოეტური და უჩვეულოდ აღმგზნები გამოდგა ამიტ ლაჰავის სპექტაკლი „დაკარგული“, რომელიც თანამედროვე „ფიზიკური თეატრის“ ტიპურ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს. ერთმოქმედებიანი სპეტაკლი მთავარი გმირის, ლილის მეხსიერების ლაბირინთში ხეტიალს ჰგავს. მაყურებელიც თვალს ადევნებს მის წარსულსა და მის მომავალს, მის შიშებს, კომპლექსებს, ისტორიას და ვერ ხვდება, აცნობიერებს ამას თუ არა თავად გმირი. ბრიტანული პრესის მკაცრი და არტისტული „მეთვალყურე“ – გაზეთი „გარდიანიც“ ამას ადასტურებს: „წარმოდგენა დაუმთავრებელ, ჰალუცინაციურ ბოდვას ჰგავს, იგი უჩვეულო და ტანგოს ვნებიან-მელანქოლიური პოეზიითაა გაჟღენთილი“.

პიპო დელბონოს „ბრძოლის შემდეგ“ პუბლიცისტიკის, პოლიტიკური დრამისა და ფიზიკური თეატრის ნაზავია. რეჟისორი და ავტორი ქმნის უჩვეულო ნაცრისფერ გარემოს, სადაც თემები: პატიმრობა, ციხე, იზოლირება და თავისუფლების მოპოვების უუნარობა ვერდის ოპერების და „რექვიემის“ ფონზე იქმნება. ადამიანი ემორჩილება მმართველებს, მეფეებს, ღმერთს და ეს უტყვი მორჩილება დღითი დღე აზროვნების უნარს უკარგავს, ასუსტებს. შიზოფრენია, ყალბ სიხარულთან და რეალურ ტკივილთან ერთად ადამიანს შუაზე ხლეჩს. პასუხისმგებლობა მოვლენათა მიმართ, რომლებსაც მსხვერპლად ვეწირებით, მუდმივად გვაწუხებს. რელიგიური, ფანატიკური დანაშაულის შეგრძნებაც მუდმივია.

„მე ვეძებ ავადმყოფურ ფიქრებს, ბნელ, დახშულ ფიქრებს ჩემს გონებაში და ჩემი გონების გარეთ – სხვების აზრებში. თუმცა ზოგჯერ, ამ ნაცრისფერ, მჩაგვრელ, კლაუსტროფობიურ სივრცეშიც გამოანათებს სინათლის სხივი.

ჩვენ გვჭირდება კვლავ დავიბრუნოთ ამბოხებული სული, რწმენა, საღი გონება და კვლავ სიყვარულზე ლაპარაკის უნარი; ჩვენი სხეულით, ბგერებით და ცეკვით“ – თითქოს აღსარებას აბარებს მაყურებელს პიპო დელბონო... გამახელებელი და ნაზი, დამაბნეველი და ოცნებით სავსე სპექტაკლის ავტორი.

...ჩაო პიპო, მერსი მისიე რობერ! მომავალ საფესტივალო შეხვედრამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნები

ავტორი: სალომე აფხაზიშვილი

ქართულენოვანი გამოცემები



„მტკვარი და მისი ორი ნაპირი“

დავით ქარდავა (ჯიმშერ რეხვიაშვილი)

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
232გვ.

„მტკვარი და მისი ორი ნაპირი“, დავით ქარდავა (ჯიმშერ რეხვიაშვილი), „მტკვარი და მისი ორი ნაპირი“ – მწერლისა და ჟურნალისტის ჯიმშერ რეხვიაშვილის რიგით მესამე წიგნია, რომელსაც ის კვლავ ფსევდონიმით – დავით ქარდავას სახელით აქვეყნებს. გამოცემა შექმნილია მრავალფეროვან ილუსტრაციებსა და დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით. მწერლის მიერ თბილისის შესახებ მოყოლილი ამბები და შთაბეჭდილებები მდინარე მტკვრის ფონზე ირეკლება. სწორედ მტკვარია წიგნის მთავარი პერსონაჟი: „მრავალი საუკუნის განმავლობაში მტკვარი იყო თბილისის, მისი ყოფისა და კულტურის ნაწილი, მისი სასიცოცხლო ძარღვი, თუმცა ასეთი ვითარება იყო მანამ, ვიდრე ქართველმა კომუნისტებმა მტკვარი „გრანიტის აკვანში“ არ ჩააწვინეს და საავტომობილო მაგისტრალებით არ ჩახერგეს მდინარემდე მისასვლელი გზები. შედეგად მტკვარი დაიკარგა, გაქრა თბილისელთა ყოფიდან, რასაც ხელი შეუწყო წყლის დაბინძურებამ მასში ჩაღვრილი საწარმოო თუ საყოფაცხოვრებო ნარჩენებით. „მტკვარი და მისი ორი ნაპირი“ მცდელობაა დაუბრუნოს თბილისს „დედა მდინარე“, როგორც მიხეილ ჯავახიშვილი უწოდებდა მტკვარს“.

„არაბულის მასწავლებელი“

გიორგი ლობჟანიძე

გამომცემლობა „საუნჯე“
131გვ.

და გასწავლი,
როგორ აუღლო
სიყვარული სამივე დროში
უმარტივესად,
რადგან არაბულს
დროის გრამატიკული კატეგორია
არა აქვს
და, შესაბამისად,
არაფერი
წარსულად, აწმყოდ და მომავლად
არ ნაწილდება“...

ეს ნაწყვეტია პოეტისა და მთარგმნელის გიორგი ლობჟანიძის რიგით მეოთხე პოეტური კრებულიდან – „არაბულის მასწავლებელი“, რომლის პრეზენტაციამაც ოქტომბრის დასაწყისში „მწერლის სახლში“ უამრავი ადამიანი შეკრიბა. კრებული გიორგი ლობჟანიძის გამოუქვეყნებელ და ახალ ლექსებს აერთიანებს, რომელთაც ავტორი ბოლო 8-9 წლის განმავლობაში წერდა. აღსანიშნავია, რომ ამ წიგნში არ შედის ლექსები წინა კრებულებიდან – „ობლის კვერი“, „დუღილის ტემპერატურა“, „ბაბუაწვერების თაიგული“, თუმცა არსად იკარგება ავტორისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური თავისებურებები: დამოკიდებულება ცხოვრების, მისი სისასტიკის, დაუნდობლობისა თუ მშვენიერების მიმართ, მდიდარი ლექსიკა, ღრმა პოეტური და ინტელექტუალური აზროვნება. ასეთ პოეზიას აქვს უნარი მოგხიბლოთ, აგიყოლიოთ და თანაგანცდით განგაწყოთ, რადგან მასში მკითხველის დღევანდელობა სუნთქავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თევზის ოთახი“

გურამ ჯახუტაშვილი

გამომცემლობა „სიესტა“
196 გვ.



თანამედროვე ქართული პოეზიით დაინტერესებული ადამიანებისთვის საინტერესო საკითხავი უნდა იყოს ახალგაზრდა პოეტის, გურამ ჯახუტაშვილის ლექსები, რომელთაც მკითხველი პოეტური კრებულის – „თევზის ოთახის“ საშუალებით გაეცნობა. გურამ ჯახუტაშვილი განათლებით იურისტია და წლებია საბანკო სექტორში მუშაობს. ეს მისი პირველი პოეტური კრებულია, რომელიც გამომცემლობა „სიესტამ“ დაბეჭდა. გურამ ჯახუტაშვილის პოეზიაზე საუბრისას, ლიტერატორი და მთარგმნელი გაგა ლომიძე თომას ელიოტის „მსოფლმხედველობითი მთლიანობის“ თეორიას იშველიებს, რომლის მიხედვითაც ასოციაციური აზროვნების წყალობით, პოეტი თავის წარმოსახვაში ერთმანეთთან სრულიად განსხვავებულ მოვლენებს აკავშირებს და გამოცდილებების ახალ მთლიანობას ქმნის. მისივე თქმით, კრებულში შესული ლექსები პოეტური „სიმსუბუქით“ და ინდივიდუალური მეტაფორებით გამორჩევა – „დიდმა მუხებმა/ საბედისწერო გამწვავებულ შემოდგომაში/ ფეხისწვერებით აიარეს აღმართი ტყისკენ...“, „ვინც დაკარგავდა საკუთარ მზის სხივს...“, ნოემბრის ხეებს შემოდგომა გაუმწვავდათო...“. ექსპერიმენტების სახით კრებულში წარმოდგენილია როგორც იდეოგრამული პოეზიის, ისე თანამედროვე მუხამბაზის ნიმუშები.

„შევეგუებით“

ზოია ფირზადი

გამომცემლობა „დიოგენე“
522გვ.

ისლამურ სამყაროში ქალის როლის კვლევით დაინტერესებული ადამიანებისთვის „დიოგენემ“ ირანელი მწერლის, ზოია ფირზადის წიგნი გამოსცა. „შევეგუებით“ – წიგნის ეს სახელწოდება მწერლის ყველაზე პოპულარული რომანის სახელწოდებას ემთხვევა. სწორედ აღნიშნულ რომანს უკავია ქართულენოვანი გამოცემის ძირითადი ნაწილი, რომელშიც ავტორი ირანში არსებულ ფემინისტურ პრობლემებს სამი თაობის მაგალითზე აანალიზებს. ირანის ლიტერატურულ სამყაროში ზოია ფირზადი გასული საუკუნის მიწურულს გამოჩნდა და დღემდე მისი შემოქმედება ორ რომანს, ნოველებს, მოთხრობებსა და თარგმანებს აერთიანებს. გენდერული საკითხების გარდა, მისი ნაწერების მეორე წამყვანი თემა – ისლამურ რესპუბლიკაში სხვადასხვა კონფესიების არსებობას ეხება. სწორედ ამ პრობლემატიკას ეფუძნება წიგნში შესული სამი მოთხრობაც, რომელთაც ასეთი საერთო სათაური აქვთ – „აღდგომამდე სამი დღე რჩება“. მთარგმნელების, მზია ბურჯანაძისა და თინათინ შურღაიას და გამომცემლის ერთობლივი გადაწყვეტილებით, ირანელი მწერლის ამ სქელტანიან კრებულს სამი ნოველაც („ყვავილები გადასაფარებელის შუაგულში“, „ლაქები“, „პერლაშეზი“) დაემატა, რომელიც, მართალია წიგნის მთავარ იდეებს არ ეხმიანება, თუმცა მკითხველს მწერლის შემოქმედების სრულად გაცნობის საშუალებას აძლევს.

„შიმშილის თამაშები 3 (კაჭკაჭჯაფარა)“

სიუზენ კოლინზი

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
412 გვ.



გასართობ-შემეცნებითი ღონისძიებებით აღინიშნა ამერიკელი ავტორის პოპულარული ტრილოგიის – „შიმშილის თამაშების“ მესამე წიგნის გამოჩენა საქართველოში, რომელსაც მსოფლიო ტინეიჯერების მრავალრიცხოვანი არმიის გარდა, საქართველოშიც განსაკუთრებული ინტერესით შეხვდნენ. სამეცნიერო ფანტისტიკის ჟანრში შექმნილი ტრილოგია ავტორმა კაპიტოლიუმზე განხორციელებული გადამწყვეტი აჯანყებით დაასრულა. ტრილოგიის დასკვნითი ნაწილის მიხედვით, აჯანყებას მე-13 რაიონი და მისი პრეზიდენტი კოინი ხელმძღვანელობს, მის სიმბოლოდ კი კაჭკაჭჯაფარა მიიჩნევა, რომელიც თანახმაა აჯანყებულებს დაეხმაროს და ამით შური იძიოს ქვეყანაში გამეფებულ უსამართლობაზე. „შიმშილის თამაშები“ პირველად 2008 წელს გამოიცა, რომელსაც მალევე ფილმიც მოჰყვა. ამ პოპულარული ტრილოგიის პირველი წიგნის თარგმანი საქართველოში 2012 წელს გამოჩნდა. მეორე და მესამე წიგნები კი წელს ითარგმნა. ტრილოგიის ქართველი მთარგმნელი ნიკა სამუშიაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუსიკა

ავტორი: ლევან ძნელაძე

Vapor City
Machinedrum
UK Garage, D'N'B
Ninja Tune

ტრევის სტიუარტი, სასცენო ფსევდონიმით Machinedrum ერთ-ერთი წარმატებული ანდერგრაუნდ არტისტია თანამედროვე ელექტრონულ სცენაზე. მისი განსაკუთრებული პოპულარობა (ცხადია, ვიწრო წრეებში) მნიშვნელოვნად განაპირობა 2011 წელს გამოცემულმა მისმა ალბომმა, რომელსაც Room(S) ეწოდება. სტიუარტის ახალი ჩანაწერი, სახელწოდებით Vapor City leibl Ninja Tune-ზე გამოვიდა, რომელიც უამრავი თანამედროვე მუსიკოსის თავშესაფარია და რომელსაც კიდევ ათობით წარმატებული, ჟანრში საუკეთესოს პრეტენზიის მქონე ალბომი გამოუცია. წლების მერე Vapor City რამდენად გახდება ერთ-ერთი მათგანი, დღესდღეობით რთული სათქმელია, მაგრამ ის ნამდვილად საინტერესო და კარგი ნამუშევარია. უფრო ბნელი, უხეში ატმოსფეროთი და ურბანული ესთეტიკით.

Wooden Shjips
Back To land
Psychedelic Rock, Garage
Thrill Jockey

Wooden Shjips თანამედროვე ავანტ-როკის, კერძოდ კი Space / Psychedelic სცენის ანდერგრაუნდ წარმომადგენელია, რომელიც ოთხი წევრისგან შედგება და 2006 წლიდან მოღვაწეობს. მათი მუსიკა ისეთი ცნობილი ჯგუფების ტრადიციებზე დგას, როგორებიც იყვნენ The Velvet Underground, Suicide, The Doors, Guru Guru და სხვა მრავალი ფსიქოდელიური მიმართულების მქონე კოლექტივები. Back To land მათი რიგით მეექვსე ალბომია, რომელიც სტილისტურად იმავე ესთეტიკას აგრძელებს, მაგრამ წინა ნამუშევრებისგან განსხვავებით ნაკლებად მოტორულია და კრაუტ-როკის ნაკლებ გავლენას განიცდის. ჯგუფი უფრო მეტად დამძიმებული საუნდით და ინტენსიური ვოკალური ხაზით წარდგა მსმენელის წინაშე; მუსიკაში მეტი დოზით იგრძნობა „გარაჟული" ატმოსფეროც. საბოლოო ჯამში, შეგვიძლია Back To land ჯგუფის ერთ-ერთ წარმატებულ ალბომად ჩავთვალოთ.

Beautiful Rewind / Four Tet /
Deep House, Experimental / Text Records

ინგლისელი მუსიკოსის, კირან ჰებდენის (Four Tet) სახელი ფართოდ არის ცნობილი ქართველ ელექტრონული მუსიკის მოყვარულთა წრეში და დიდი პოპულარობითაც სარგებლობს. მიუხედავად იმისა, რომ მისი მუსიკა 1999 წლიდან მოყოლებული – დღემდე საგრძნობლად შეიცვალა და უფრო მეტად კლუბზე ორიენტირებული გახდა, ხელწერა კვლავ ადვილად საცნობი რჩება და ხარისხსაც წარმატებით ინარჩუნებს. Beautiful Rewind-ით ის კიდევ უფრო მიუახლოვდა „დენსფლორზე" ორიენტირებულ სტრუქტურას და შესაძლოა წარმოდგენილი ალბომი ნაკლებად ჰგავდეს იმავე პროდიუსერის ნამუშევარს, რომელსაც ოდესღაც ისეთი განსხვავებული ალბომები გამოუცია, რომლებსაც მისი კარიერის პირველ ეტაპზე ვიცნობდით, თუმცა ის მაინც უნიკალური ესთეტიკის პატრონად რჩება და ამის კიდევ ერთი დასტური სწორედ ეს ახალი ალბომი გახლავთ.

New / Paul McCartney / Rock, Pop / Hear Music



71 წლის ლეგენდარული პოლ მაკკარტნის რიგით მე-16 ახალი ალბომი, რომელსაც New ეწოდება, ყველაზე ნაკლებად ჟღერს ისე, როგორც უნდა ჟღერდეს ამ ასაკის ადამიანის მიერ გამოცემული სტერეოტიპული ნამუშევარი. ეს ერთ-ერთი ყველაზე უფრო კრეატიული, რომანტიკული, ნოსტალგიური და ახალგაზრდული ენერგიით გაჟღენთილი ალბომია მისი მთელი სოლო კარიერის მანძილზე და 47 წუთის მანძილზე, არცერთ ყოფილ ბიტლმანს თუ უბრალოდ კარგი მუსიკის მოყვარულს არ დატოვებს გულგრილს. დანაჩენი ვეტერანი მუსიკოსებისთვის კი ის ნამდვილად სამაგალითო ნამუშევარს წარმოადგენს. ალბომზე სამმა ტოპპროდიუსერმა იმუშავა: ესენი გახლავთ Mark Ronson, Paul Epworth და Beatles-ის ლეგენდარული პროდიუსერის, ჯორჯ მარტინის შვილი – Giles Martin.

Static / Cults / Indie, lo-fi / Columbia

duet Cults-ის სახელი ე.წ. ინდი-როკის მოყვარულების წრეში, ფართოდ 2011 წელს გავრცელდა, როცა მათმა სადებიუტო ალბომმა სხვადასხვა მუსიკალურ გამოცემებში მაღალი შეფასებები დაიმსახურა და ბევრისთვის წლის აღმოჩენაც გახდა. ორი წლის შემდგომ გამოვიდა ჯგუფის მეორე ალბომიც, სახელწოდებით „შტატი", თუმცა თავდაპირველ წარმატებას ნამდვილად ვერ მიაღწია. ახალი ნამუშევარი უფრო მეტად ხმაურიანი და ატმოსფერულია, ამავე დროს უფრო მეტად მომწიფებულიც – თუმცა არც თუ ისე კარგი გაგებით. ჟანრისთვის დამახასიათებელი ნაივურობა და ფეთქებადობა, რაც ამ დუეტის სადებიუტო ალბომს ასე შარმიანს ხდიდა, თითქოს სადღაც გაქრა. ვოკალისტი მედელინ ფოულინი კი ისე ჟღერს, თითქოს კარგად გამოცდილი, მსხვილ ლეიბლებზე მომუშავე მუსიკოსი იყოს. საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი ამ ბენდს აშკარად არ მოუხდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

#2

photography/style GREGORY REGINI
apparel DALOOD GROUP
by G O L A D A M I A N
model TINA SHARASHENIDZE
make-up CHRISTINA REGINI
hair LENA (ELEVEN STUDIO)

ეროვნული
ბიბლიოთეკა



generation Y

photography *Gregory Regini*
styling *Lenka Tsitsishvili, Gregory Regini*
apparel *Pierrot le Fou*
model *Guri Sultanishvili*
make-up *Christina Regini*

ეროვნული
ბიბლიოთეკა



jacket Damir Doma
shirt Balenciaga
pants Margiela
shoes Nike(vintage)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

vest Damir Doma
robe Ann demeulemeester

ეროვნული ბიბლიოთეკა



Coat Damir Doma
shirt Givenchy
pants Damir Doma
shoes (vintage)

ეროვნული ბიბლიოთეკა

Coat Rundholz
pants Damir Doma
hat Ewa Kulasek /SCHA/

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Unimotions, შალვა კალაგონი

ონლაინ მაღაზია
ნახატები / ფოტოები / ხელნაკეთი ნივთები

BUY
ART

www.buyart.ge

ცხელი შოკოლადი - ახლა უკვე თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

იოტა iOS-ისთვის

იკითხე ყველგან!

იკითხე კომფორტულად!

www.lit.ge

იოტა iOS-ისთვის საშუალებას გაძლევთ მარტივად იკითხოთ lit.ge-ს წიგნები და პერიოდიკა თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

აპლიკაციის გადმოსაწერად, თქვენი მოწყობილობიდან iTune-ზე მოძებნეთ „IOTA READER"

lit.ge